საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

**თინათინ ქობულაძის**

# მარტოობის ნეორომანტიკული განცდა
# გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**ხელმძღვანელი: ლელა კუკულაძე - ასოც. პროფ.**
**აკადემიური დოქტორი**

ხიჭაური
2021

# ა ნ ო ტ ა ც ი ა

საქართველოს პოეზიის მეფისა და მეტრის, გალაკტიონ ტაბიძის, ლირიკულ მემკვიდრეობას საპატიო ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში, მასთან ზიარება დიდი პატივია, სრულყოფილი აღქმა - ურთულესი პროცესი, ანალიზი კი - უდიდესი პასუხისმგებლობა. ამ დიდი შემოქმედის ჭეშმარიტად ქართული, ეროვნული პოეზია გამოირჩევა ერის ჭირ-ვარამის შეგნებითა, ღრმა იდეურობით, ეროვნული ლექსის ტრადიციებისადმი ერთგულებით, ხალხური ზეპირსიტყვიერების პოეტური საგანძურის ორიგინალური გამოყენებით. წინაამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებული გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში თავჩენილ მარტოობის ნეორომანტიკული განცდის გამომხატველ ლექსებზე და ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ  მარტოობა შემოქმედისთვის მხოლოდ სალექსო თემა როდია. ეს ის გრძნობადი  ნიადაგია, რომელის გათვალისწინებითაც გაიაზრება მთელი მისი პოეზია. სწორედ ამ მოსაზრების შეძლებისდაგვარ დასაბუთებას წარმოადგენს ჩვენი სამაგისტრო ნაშრომიც.

# Annotation

The lyrical legacy of Galaktion Tabidze, the King and Meter of Georgian Poetry, has an honorable place in Georgian literature, communion with him is a great honor, perfect perception - the most difficult process, and analysis - a great responsibility. Truly Georgian, national poetry of this great creator is distinguished by the consciousness of the nation's suffering, deep ideology, devotion to the traditions of national poetry, the original use of the poetic treasure of folklore.

The present paper focuses on Galaktion Tabidze's poems expressing the neo-romantic feeling of loneliness in his poetry and emphasizes that loneliness is not just a textual theme for the creator. It is the tangible ground by which all his poetry is understood. Our master's thesis is the best possible proof of this opinion.

# შ ი ნ ა ა რ ს ი


შესავალი ---------- 5

I საკითხის კვლევის ისტორიისათვის ---------- 10

II მარტოობის რომანტიკა გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში ---------- 33

III ღამისა და მთვარის მისტიკა გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში ---------- 52

IV სიკვდილის ფენომენი გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში ---------- 64

V სიყვარული - მარტოობის ნეორომანტიკული სევდის საბურველში ---------- 80

ძირითადი დასკვნები ----------93

გამოყენებული ლიტარატურა ----------96

# შესავალი

პოეზიის მეფე - გალაკტიონ ტაბიძე - ეპოქალური მოვლენაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მან შემოქმედებითად აითვისა და გაითავისა კლასიკური ქართული პოეზიის უმდიდრესი პოეტური ტრადიციები. მისი ლირიკის სიახლენი მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ ტრადიციათა წიაღში იღებენ სათავეს და სრულიად ახალ პოეტურ თვისებრიობად გარდაისახებიან.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტურმა ბედმა განსაცვიფრებელი სიზუსტით აირეკლა ქართველი ერის სულიერი ცხოვრების შუქჩრდილი. ეს ანარეკლი სინამდვილის უბრალო პოეტური ილუსტრაცია, ასლი ან ექო კი არ იყო, არამედ გენიოსის დიაალოგი მარადისობასთან. თანამედროვეთა და ლიტერატურული პროცესების მონაწილეთა თვალით გალაკტიონისა და მისი თაობის პირველივე ლექსები უაღრესად ახალი მოვლენა იყო. როგორც უშუალო წარსულის, ასევე ქართულ ნეორომანტიკულ ტრადიციაში შექმნილი საერთო ვითარების ფონზე გალაკტიონის პირველი კრებული თვისებრივად ახალი და ცალკეული მონაცემით - არსებითად ახალი გზის ძიების მაუწყებელი მოვლენაა. ნეორომანტიკულ განწყობილებათა, მოტივთა და ვერსიფიკაციის გამრავალფეროვნებისაკენ სწრაფვის თვალსაზრისით გალაკტიონსა და საერთოდ მის თაობას ნიადაგი მომზადებული დახვდათ. 900-იანი წლების ლირიკაში ნეორომანტიკული მოტივებისა და შესაბამისად, ლექსიკის ერთ-ერთი მთავარი აკუმულატორი იყო იმ დროის ლიტერატურული პროცესების ისეთი უაღრესად საყურადღებო (დანაკლებად შესწავლილი) მოვლენა, როგორიცაა თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე ფართოდ გავრცელებული და მაშინდელი ჟურნალ-გაზეთების ლამის სავალდებულო ჟანრი - ლექსი პროზად, ფილოსოფიური ხასიათის მინიატურები, ესკიზები, მცირე პროზის სხვადასხვა ფორმები. ამ ტიპის ჟანრთა გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი ბოდლერის, ედგარ პოუს, ოსკარ უაილდის, კატულ მენდესის, მალარმეს, ჟ.როდენბახის, პ.ალტენბერგის, მაქსიმ გორკის და სხვა ლექსებმა პროზად და ფილოსოფიურმა მცირე პროზამ, რომელთა თარგმნა და ანარეკლი ჩვენში უკვე XIX საუკუნის დამლევს იწყება. ამ პროცესების ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოძახილთაგანია ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი“ და სხვა. შედარებით მოგვიანებით - ჯაჯუ ჯორჯიკიას, ჭოლა ლომთაძის, ტიციან ტაბიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, სანდრო ცირეკიძის მცირე პროზა და სხვ.

ამასთანავე პარალელურად ლირიკაშიც გროვდებოდა ნეორომანტიკული თემები და ახალი ფორმის ძიების ტენდენციები. ამის ერთ-ერთი წყარო რუსული პოეზია (ს.ნადსონი და სხვა დეკადენტები) იყო. ასეთია, მაგალითად, 1903 წელს „კვალში“ დაბეჭდილი თარგმანი ნადსონის ლექსისა: „მთლად შენი არ ვარ, მე მეძახიან/ სხვა ცხოვრება და იდეალები/ და მხნედ მივცურავ მძვინვარ ტალღებში,/ ბრძოლასა ითხოვს წყვდიადი შავი. ამ „იდეალებს“, „წყვდიადს“ და ბრძოლის მოტივს არაერთგზის შევხვდებით გალაკტიონის პოეტური დებიუტის ხანის ლექსებში.

გალაკტიონის პოეზიამ თანდათან მოიპოვა მეტრის უფლება და მასთან მიმართება განსაზღვრავს ამა თუ იმ პოეტის ღირსებას, თვითონაც ასე ვარაუდობდა: ყოველმა პატიოსანმა ქართველმა მწერალმა საბოლოოდ უნდა გაარკვიოს თავისი დამოკიდებულება გალაკტიონ ტაბიძისადმი, ვინაიდან ამით იგი გაარკვევს თავის დამოკიდებულებას მეოცე საუკუნის მწერლობისადმი. გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში უკვე გამოიკვეთა ის მოქალაქეობრივი იდეალი, რომლის ერთგული პოეტი სიცოცხლის ბოლო დღემდე დარჩა. ეს ყველაფერი კი ამძაფრებდა მარტოსულობის შეგრძნებას. ლირიკული გმირის სულიერი ობლობისა და მარტოობის გალაკტიონისეული გამოხატვა განსაკუთრებულ მასშტაბებს „მე და ღამეში“ იძენს. ამ თვალსაზრისით, წინამორბედ პოეტთაგან ყველაზე მეტ სულიერ სიახლოვეს გალაკტიონ ტაბიძე ნიკოლოზ ბარათაშვილთან ავლენს. გალაკტიონის ადრინდელ პოეზიაში თითქმის ხელმეორედაა განცდილი ის პრობლემატური საკითხები, რომლებიც ბარათაშვილის ლირიკის უმთავრესი განსჯის საგნადაა ქცეული.

გალაკტიონ ტაბიძის პირველსავე ლირიკულ რვეულს ემჩნევა უკმარობის გრძნობა, ისევე, როგორც თითქმის ერთი საუკუნით ადრე ნიკოლოზ ბარათაშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს არ შეეძლო უცხოდ არ ეგრძნო თავი ჩაგვრის, უსამართლობის, მერკანტილიზმის კანონებით წარმართულ საზოგადოებაში. არაა გასაკვირი, რომ იგი ბევრ ადრეულ ლექსში ეხმიანებოდა თავის დიდ წინაპარს: „თავგანწირულად მინდორ ველად მიმაფრენს ცხენი“ - იწყებს გალაკტიონი თავის „მგზავრის სიმღერას“ (დაწერილია 1914 წლამდე), რომელშიც სწორედ ბარათაშვილისეულ ტრადიციას ავითარებს და „არე-მიდამოს ღვთაებრივ სიმშვიდეს“ შემოქმედის მეამბოხე სულს უპირისპირებს:

ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე

ვერც სიტკბოება,
ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო
და სანეტარო.
დაჭქროლე, ქარო... მე არ მიყვარს
ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შებმა მინდა,
დაჭქროლე, ქარო!

(გალაკტიონი, 1966:193)

თუმცა გალაკტიონი შინაგანად არასდროს შერიგებია უსასოო, დამარცხებული ადამიანის კონცეფციას. ამიტომაა, რომ მისი პოეზიის წიაღში წარმოშობილი სულიერი შემართება კვლავ „მერანის“ ავტორს მოგვაგონებს. არც „ლურჯა ცხენების“ მხედარს შეუძლია იყოს უსიტყვო, დაბეჩავებული მასის ერთი ნაწილაკთაგანი, უუფლებობით დაღდასმული მონა. გულისტკივილითა და სიმწრით წარმოთქვამს პოეტი:

მომბეზრდა ყოფნა..... სულს შეეთვისა
აზრი: დაფარვა ქარიშხლის ფიფქით,
ვით ყრუ ძახილი უკვდავებისა:
დროთ საზღვარს იქით!
დროთ საზღვარს იქით!

(ტაბიძე, „შემოდგომა“,1966:104).

გალაკტიონის შემოქმედებაში, განსაკუთრებით ათიანი წლების ლირიკაში სულიერი ობლობის გრძნობას სხვა ფაქტორებიც განაპირობებდნენ: ლიტერატურულ ტრადიციათა თავისებური ზეგავლენა და გამოძახილი, ქვეყნად დამკვიდრებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, თავად პოეტის პიროვნულ-ფსიქოლოგიური ბუნება და ადამიანებთან მისი დამოკიდებულების შინაგანად რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი.

„გალაკტიონ ტაბიძემ უმდიდრეს ცხრაკლიტულებს მოარგო გასაღები და პოეტური აზროვნების უმაღლეს ნეტარებას გვაზიარა. მან გვასწავლა, როგორ უნდა დავარღვიოთ პოეზიის კანონები - პოეზიის სასარგებლოდ! ალბათ - ცხოვრების კანონებიც! ბევრი საიდუმლო ამოგვიხსნა. კითხვის ნიშნებიც ბლომად დაგვიტოვა. მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულან!“ (ჯავახაძე, 1988 : 489)

არაიშვიათად გაიელვებს გალაკტიონთან ნეორომანტიზმში დამკვიდრებული „ქარიშხლის“, „შავი ღრუბლის“, „მწუხრის“, „შავი ბურუსისა“ და „ღამის“ ალეგორიული სახეები. ერთობ ხშირია მარადიული თემები, რომელთა დამუშავებისას უფრო რომანტიკული ელეგიის გამოძახილი იგრძნობა: „მიყვარს საღამო წყნარი, მშვიდი და მოწყენილი. მწუხრის ზეწარი ეფინება მდუმარ მიდამოს“. ასეთ ლექსებში „სრული სახით წამოიმართება ბარათაშვილის აჩრდილი. იგრძნობა მისი სევდიანი სახისა და მისი თვალბედითი შავი ყორანის „ასოციაცია“.

საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა სასაფლაოთა თემას: „სასაფლაოზე“ (1909), „საფლავი“, „სასაფლაოზე“ (1910), „სასაფლაოზე“ (1912), „მესაფლავე“ (1912), „სასაფლაოზე“ (1914) და სხვ. „ხშირად გვხვდება უდაბნოსა და ოკეანის სიმბოლური სახეები“ (1, 35), რომლებიც ასევე რომანტიკულ პოეზიაში იღებენ სათავეს.

გ.ტაბიძის 1906-1914 წლების ლექსების თავისებურება არ ამოიწურება რომანტიკული ტრადიციის ზოგი ასპექტი აღორძინებით ეს პერიოდი წმინდა ნეორომანტიზმით არ იფარგლება. აშკარაა აგრეთვე გადახრა ნეორომანტიზმისაგან „ახალიპოეზიისაკენ“, თავს იჩენს მრავალი სიახლე, მათ შორის სიმბოლიზმისა და ესტეთიზმის გამოძახილი, ფორმის კულტურისა და არსებული პოეტური ნორმის დეკანონიზაციის მისწრაფება და სხვ. ამ სიახლეს თანამედროვენი განსაკუთრებულად გრძნობდნენ.

ჩვენც დიდი რიდითა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით მივუდეგით პოეზიის მეფის ლირიკული მემკვიდრეობის კვლევას. გავითავისეთ ისიც, რომ გალაკტიონ ტაბიძის მოქცევა ერთი კონკრეტული ლიტერატურული მიმდინარეობის ჩარჩოში შეუძლებელია, რადგან იგი თავის თავში იტევს თითქმის ყველა ლიტერატურულ მეთოდს, რაც არახალია ლიტერატურული სამყაროსთვის. მართებულად შენიშნავს ეწვაზ მიშველაძე: „გალაკტიონთან ყოველგვარი კლასიფიკაცია ლიტერატურულ სკოლასთან თუ რომელიმე მოტივთან მისი თანაზიარობის დასამტკიცებლად, პირობითია. სიმბოლისტად მიჩნეული გალაკტიონის ლექსები ბოლომდე არ არის სიმბოლისტურნი, ამ სკოლის ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს ბოლომდე ვერ აკმაყოფილებენ. ასევე ნებისმიერ ლექსში, როცა მას რომელიმე მოტივს აკუთვნებ, შეიძლება აღმოჩნდეს სხვა თემის და პრობლემის ნიუანსებიც... ასე რომ, ვფიქრობ, გალაკტიონის შემოქმედების

მოტივებად დაყოფაც სახიფათოა ისე, როგორც „ეფემერის“ ავტორის შემოქმედებაში ორი პერიოდის აშკარად ხელოვნური ძიება.“

„ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა საფუძველზე, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებში, ჩვენ ვხედავთ მწერალთა ცალკეულ ჯგუფებს, რომლის წევრებსაც მთელი შემოქმედების ინდივიდუალურობასთან ერთად იდეურ - მხატვრული თავისებურებების ერთობლიობა ახასიათებს“ (გაჩეჩილაძე, 1957: 414). თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ცალკეულ ლიტერატურულ მიმდინარეობებსაც აქვთ, ცხოვრების მოვლენათა შერჩევისა და გამოსახვის ისეთი პრინციპები, რითაც რამდენიმე ლიტერატურული მიმდინარეობა ერთ უფრო დიდ, მთელში ერთიანდება და სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა ჯგუფს უპირისპირდება. ასეთი უფრო დიდი გაერთიანების გამოსახატავად ტერმინი „მიმდინარეობა“ უფრო შეუფერებელი ხდება და მის ნაცვლად უნდა ვიხმაროთ, ლიტერატურული მიმართულება ანუ მეთოდი, ან, კიდევ, მხატვრული მეთოდი, მხატვრული მიმართულება. ამრიგად, მხატვრული მეთოდი ან მიმართულება ხელოვნების მიერ სინამდვილის ასახვის ისეთი თავისებურებაა, რომელიც ერთის ნაცვლად, რამდენიმე მონათესავე მხატვრულ მიმდინარეობას ახასიათებს“ (გაჩეჩილაძე, 1957 : 418-419).

ჩვენი სამაგისტრო **თემის მიზანი** სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შევისწავლოთ „პოეზიის მეფის“ ლირიკული მემკვიდრეობის ის უბანი, რომელიც ნეორომანტიზმის, როგორც მხატვრული მეთოდის, გავლენას განიცდის. ეს საკითხი ჯერაც უკვლევია და, შესაბამისად, ჩვენი სამაგისტრო **ნაშრომის მეცნიერული სიახლეც** განისაზღვრება უშუალოდ თემის აქტუალობის, საკვლევი მასალის კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებით. თემა ნაკვლევია **ისტორიულ-შედარებითი მეთოდით.**

**თემის აქტუალობა:** გალაკტიონ ტაბიძის ნეორომანტიკული განწყობის ლირიკული ლექსების აქტუალობას განსხვავებული ხელწერა და მარტოობის, როგორც კოსმიური მსოფლგანცდის, ორიგინალური გააზრება განსაზღვრავს.

# თავი I

## საკითხის კვლევის ისტორიისათვის

ქართველ ერს  გენეტიკაშივე აქვს ჩაქსოვილი შემოქმედობითობის შეუფასებელი და ამოუცნობი ნიჭი. ეს ვლინდება არაერთ კულტურულ სფეროში. ამ ნიჭის გამოვლენისას ზოგი იჩაგრებოდა გამორჩეულობის გამო, ზოგიც კი დიდების საპატიო გვირგვინს დამსახურებულად იდგამდა, ზოგიერთს კი ყველაზე ხშირად გარდაცვალების შემდგომ აღიარებდნენ - ეს გვყოლია რაცა გვყოლიაო ... უკანასკნელთა რიგებში შედის გალაკტიონ ტაბიძე, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე, პოეზიის მეფე, პოეზიის ღმერთი, მსოფლიო სევდის მატარებელი, უხვად დაჯილდოებული ღვთიური ცეცხლით. მისი გენია დღემდე ამოუცნობ და შეუცნობ ფენომენად რჩება. რამდენადაც ის ცხოვრობდა ადამიანთა მოდგმასთან  ერთად, იმდენად იმყოფებოდა  იგი ასტრალურ სამყაროში. მწერალს მისი თანამედროვეები ხშირად უწუნებდნენ სახელში კ თანხმოვნის წერას ქ-ს ნაცვლად, უცხოა ჩვენი ენისთვის ასეთი სახელიო, მაგრამ იგი ხელს ყოველთვის თავის ლექსებს „გალაკტიონის“ სახელით აწერდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან გალაკტიონი იყო „ღმერთკაცი“,  გალაქტიონობა კი მას უბრალო მოკვდავად აქცევდა. „გალაკტიონი“ გახდა ერთგვარი სიმბოლო - დიდებული შემოქმედებისა.

მისი პოეზიის მასტიმულირებელ წყაროებზე საუბრისას  არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ქართული კლასიკური მწერლობა და  ხალხური პოეზიის უმდიდრესი საგანძური.  „ფორმის საშენი მასალა - სიტყვა გალაკტიონ ტაბიძესთან უმაღლესი ფასეულობაა, ის რთული ესთეტიკური ერთეულია და აზრის გარდა შეიცავს ფერს, მუსიკალურ ჟღერადობას, აქვს ემოციური და ასოციაციური დატვირთვა. ლექსში “ქებათაქება ნიკორწმინდას“ გ.ტაბიძე წერს: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“. ლია სტურუა მიგნებულად აღნიშნავს: „ასეთი პოეტური თავისუფლება ძალუძს მხოლოდ ნოვატორს, პოეტს, რომელსაც ემორჩილება სიტყვა, რომელიც ფლობს მის საიდუმლოებას, ვისი შემოქმედებაც მატარებელია იმ განუმეორებელი პოეტური სიახლისა, რომელსაც არ იძლევა არც ბრჭყინვალე პოეტური ტექნიკა, არც პოეტიკის კანონების ცოდნა, არც მხოლოდ საიტერესო აზრი, რადგან პოეზია არის აზრისა და ფორმის, ფაქტურის ბედნიერი ჰარმონია“ ( სტურუა 1984:347).

გალაკტიონ ტაბიძემ ლექსში „წიწამურში რომ მოკლეს ილია“ დიდი პოეტის შეუმცდარი ალღოთი  განსაზღვრა ძველი ლიტერატურული ეპოქის დამთავრებისა და ახლის ჩასახვის თარიღი: „წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“, „დადგა ცხრაას რვა, ახალი ლანდი  ჩემთვის სიზმრებში უცნობია, ჯერ... და მთელი ხანა წიგნის “ Crance aux fleurs”.  ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან ერთბაშად არ დაწყებულა ახალი ეპოქა, ისახება ახლის ყლორტები. იწყება ლექსის ფერისცვალება. „არტისტული ყვავილების“ ხანა 1915-1919 წლებია და ამ ხანის საწყისი ეტაპი, 1915 წელი, უკვე რეფორმის წლად  შეიძლება მიჩნეულ იქნას. 1915 წელი თემებისა და მოტივების თვალსაზრისით ახალი ეტაპია გ. ტაბიძის შემოქმედებაში. ამ დროს იღებს სათავეს ბევრი საინტერესო, დიდად მნიშვნელოვანი თემა და მოტივი /მერის მოტივი, ლურჯა ცხენების მოტივი, ატმის ყვავილების მოტივი და სხვა/. რომლებიც, შემდეგ მთელი ქართული პოეზიის შენაძენად იქცა. რად ღირს თუნდაც ატმის ყვავილების სიმბოლიკა, რომელშიაც ჩვენი სისხლიანი ისტორიის ფურცლებია გადაშლილი.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე საუბრის დროს არშეიძლება რამდენიმე სიტყვა კლასიკური ქართული მწერლობისადმი მის დამოკიდებულებაზეც არ ითქვას. ამ თვალსაზრისით, მწერლის ლიტერატურულ ჩანაწერებთან ერთად, დიდად ფასეულია მისი პოეტური ნაწარმოებებიც. როგორც უკვე ითქვა, ქართველ პოეტთაგან გალაკტიონი ექვს უდიდეს წარმომადგენელს მიიჩნევს განსაკუთრებული თაყვანისცემის ღირსად - შოთას, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკისა და ვაჟას. ამ ექვსეულს ის არაერთხელ გამოყოფს და ხოტბას არ იშურებს მათ განსადიდებლად. ეს ყველგან ასეა, გარდა ერთი შემთხვევისა - „რარიგ კარგია, სამშობლოვ“, ამ ლექსში აღნიშნულ ექვსეულს აკლდება გურამიშვილი და ბარათაშვილი:

რარიგ კარგია, სამშობლოვ, შენი მტკვარი და რიონი,

შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა...

(ტაბიძე, 1971;200).

გალაკტიონი წინამორბედთა ღვაწლის მხოლოდ ამგვარი შეფასებით არ კმაყოფილდება და მათ უშუალო მემკვიდრედ თავის თავსაც აცხადებს. ერთ-ერთი ლექსის („თენდება, გათენდა“) ვარიანტში ეს თვითშეფასება ასეთ სახეს იღებს:

ავიღებ ხელში ისევ შოთას, გვეყო სიმშვიდე,

მე ჩვენთა დღეთა ავაგებ ოდას, რიცხვით მეშვიდეს.

(ტაბიძე, 1971: 190)

როგორც ვხედავთ, საკუთარი შემოქმედებითი ღვაწლის შემფასებელი ლექსებით გალაკტიონმა თამამად განსაზღვრა თავისი როლი და ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამ თვითშეფასების დროს მთლიანადაა გამორიცხული ოდნავი დაშვებაც კი. მისთვის „დღესავით იყო ნათელი“, რას იტყოდა მასზე შთამომავლობა. ამგვარი თვითრწმენა განსაკუთრებული ძალით გამოიხატა სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერილ არაერთ ლექსში. და როცა პოეტის შემოქმედებითი ღვაწლის ღირსეული დაფასება და წარმოჩენა ხდება საჭირო, უწინარესად, სწორედ მათ ვიხსებთ ხოლმე, ვინაიდან ამ ლექსებზე უფრო ზუსტად და შთამბეჭდავად ძნელია ამის გაკეთება (ნიკოლეიშვილი, 2002:222).

გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი შემოქმედება უხვად იყენებს ძველი ქართული პოეზიის, განსაკუთრებით შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებით ტრადიციებს. პოეტი ყოველთვის ცხოველ შემოქმედებით ინტერესს იჩენდა ქართული ხალხური პოეზიის მდიდარი საუნჯისადმი და თავის შემოქმედებაში ფართოდ იყენებდა ნაციონალური პოეტური ზეპირსიტყვაობის სიუჟეტებს, მოტივებს და ხშირად სალექსო ფორმასაც კი. მაგრამ ყველაზე მეტად გ. ტაბიძის პოეზია თავიდანვე აღბეჭდილი იყო ღრმა და განუწყვეტელი შინაგანი კავშირით მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციებთან. მისი ლექსები „აკაკის ლანდი“, „წიწამურთან რომ მოკლეს ილია“, „არწივებს ჩასძინებოდათ“ და მრავალი სხვა, უშუალოდ მოწმობენ გ. ტაბიძის შეგნებულ მისწრაფებას თავისი დიდი წინაპრების შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი . ლექსებში „მთაწმინდის მთვარე“ , „ლურჯა ცხენები“, „შავი ყორანი“, და სხვა. პოეტმა ხაზგასმულად გამოხატა თავისი სულიერი ნათესაობა ნიკოლოზ ბარათაშვილთან.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გენეტიკური, მემკვიდრეობითი, შინაგანი კავშირი, რომელიც აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას შორის არსებობს. წინამორბედ პოეტთაგან გალაკტიონის პოეზია რიტმულ-მელოდიური თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ალბათ აკაკის შემოქმედებას უნდა დავუკავშიროთ. ეს კავშირი კიდევ უფრო გაღრმავდა 40-50-იან წლებში.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში იმდენად არ არსებობს შეზღუდვის ცნება, რომ ჩნდება ასეთი სტრიქონები:

სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული,

სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას.

ან კიდევ:

ბედი ქროლვის გარეშე ჩემთვის არაფერია...

გალაკტიონმა ალბათ პირველმა აღნუსხა წამიერი შთაბეჭდილებები, უმნიშვნელო, წვლილმანი, თითქმის უჩინარი სულიერი მდგომარეობები (განწყობილებები) და აიყვანა ისინი მაღალი პოეზიის რანგში.

ლექსებით ნაფერებ სამშობლოს სიყვარულს სხვა ხიბლიც აქვს და მკითხველში თანაგანცდის გამოწვევის უნარიც, მით უფრო მაშინ, თუ პოეტს „მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლის“ დაუოკებელი სურვილი კლავს და ამ გზაზე არც დაღლასა და დაბრკოლებას უშინდება:

თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ,
მარად მანთებს შუქი სვეტის ცხოვლისა:
პოეზია - უპირველეს ყოვლისა!
სიკვდილივით მარადია სურვილი
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,
ყველაფერში შუქით შემობურვილი:
პოეზია - უპირველეს ყოვლისა!
თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,
მე მოვკვდები - როგორც პოეტს შეჰფერის,
სიმღერები ხალისის და ბრძოლისა,
პოეზია - უპირველეს ყოვლისა!

(ტაბიძე, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, 1971:151).

გალაკტიონი ქართველი კაცის გონებაში ასოცირდება ყოველგვარ მშობლიურთან, ნაცნობთან, ათასგზის შენივთებულთან, ეროვნული სიამაყის საგნად ქცეულთან. ალბათ, ამასვე გულისხმობდა **არჩილ სულაკაური,** როცა შემდეგ სტრიქონებს წერდა:

მტკვარი,

არაგვი,

ალაზანი,

ბზიფი,

რიონი...

გზა, მეგობრებო!

მობრძანდება გალაკტიონი!

მთრთოლვარე აზრი,

გადაწნული სიმწრით თითები.

სიტყვა-

ხავერდზე გაბნეული მარგალიტები.

გრემი,

გელათი,

ნიკორწმინდა,

ჯვარი,

სიონი...

გზა, მეგობრებო!

მობრძანდება გალაკტიონი!

ნათელი სული,

იისფერი ზეცის თავანი.

მამულის გრძნობა-

ო, ყველაზე უფრო მთავარი!

უშბა,

თეთნულდი,

შხარა-

ლურჯი კავკასიონი...

გზა, მეგობრებო!

მობრძანდება გალაკტიონი!

(სულაკაური, „გალაკტიონი“, 1986: 3)

მიგნებულად შენიშნავს ტარიელ ჭანტურია: „უფრო შორს რომ გადაეხედა, ჩემი თაობა გალაკტიონის ღონიერ მხრებს დაეყრდნო და ისე აიწია მაღლა, ხოლო რა დაინახა მან ისეთი, რაც თვით გალაკტიონის ყოვლისმხილველ თვალდსაც კი

შეუმჩნეველი დარჩენოდა - ეს საგანგებო კვლევის საგანია და ექსპრომტად ამის გამო საუბარი გამართლებული არ იქნებოდა“ (ჭანტურია ტ. 2009:89).

ბუნებრივია, „პოეზიის მეფეს“ გაცნობიერებული ქონდა საკუთარი მუზის ფასი, ამიტომაც აღიქმება მკითხველის მიერ ასე ორგანულად მისი სტრიქონები:

„როგორც ერთია ქვეყანა ვრცელი, ისე ერთია გალაკტიონი“;

„რომ მეფე ვარ და პოეტი და სიმღერით ვკვდები“;

„ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა...“

ამგვარი გალაკტიონის ხელშესახებად ცოცხალი სურათია დახატული მურმან ლებანიძის ლექსში:

ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ
(ის „მთვრალი“ იყო, როგორც ყოველთვის!):
- ბატონო გალაკტიონ, თქვენ პირველი ხართ,
დაგვისახელეთ
მეორე პოეტი...
უცებ ჭინკებით გაევსო თვალი -
თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი,
- საქართველოში?! - ჩაიქირქილა
და ლომურ წვერზე
მოისვა ბრჭყალი...
( ლებანიძე, 1991:9).

პოეტი მურმან ლებანიძე აღნიშნავს: „უსაზღვროა გალაკტიონ ტაბიძის დამსახურება ქართული ლექსის განვითარების საქმეში, განუზომელია გალაკტიონის გავლენის ძალა მეოცე საუკუნის მთელ ქართულ პოეზიაზე. მსოფლიო პოეტური კულტურის გამოცდილებაზე დაყრდნობით გალაკტიონ ტაბიძე თვისობრივად აახლებს ქართულ ლექსს, ნახევარი საუკუნის გრძელ გზაზე ტიტანურ შრომას ეწევა და ქართული პოეზია ახალ შარაზე გამოჰყავს. გენიოსის გუმანი შეუცდომლად უკარნახებს, არ მოსწყდეს მშობლიურ ნიადაგს, ქართული სიტყვის ფერ- ხორცით, ქართული კლასიკური თუ ხალხური პოეზიით იკვებებოდეს, ერის ჭირ - ვარამითა და ეროვნული იდეალებით საზრდოობდეს. უახლეს ქართულ პოეზიაში არ არსებობს პოეტი, რომელსაც ამდენი შედევრით გაემდიდრებინოს მშობლიური ლიტერატურა. მეოცე საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის - გალაკტიონ ტაბიძის სახელი

მშობელმა ერმა ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე ჩაწერა უკვდავთა თანავარსკვლავედში“... (ლებანიძე, 1991:5-6). აკი თავადაც ამბობდა:

დღეები ბრუნავს, ვით კამათელი,
და ყვავილების არის მრავლობა.
ჩემთვის დღესავით არის ნათელი,
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.
წელიწადები წავლიან ძველნი.
შეიცვლებიან ქარით სიონი,
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაკტიონი.

(ტაბიძე, „წელიწადები წავლიან ძველნი“, 1971:69).

„გალაკტიონის შემდეგ ქართული პოეზია წავიდა და მიდის გალაკტიონის გზით. თითქოს სხვა გზა არ ჩანს. თითქოს გალაკტიონმა მაქსიმალურად ამოწურა თანამედროვე პოეტური სიტყვის შესაძლებლობანი, თავისუფალი ლექსიდან - ვიდრე ვირტუოზულად აჟღერებულ სტრიქონებამდე, თვით პალინდრომამდე, მაგრამ აქ იგულისხმება არა მარტო განუსაზღვრელად მრავალხმიანი რიტმი: ღრმა ქვეტექსტიც და დიდი სინათლეც. ვაჟკაცური ომახიც და ლირიკული სინაზეც. ამაღლებული ტონიც და ზომიერი ირონიაც. მსოფლიო ლირიკის გამოძახილიც და ქართული კლასიკის გამოცდილებაც. ხალხური პოეზიის სურნელიც და ზეპირი მეტყველების მადლიც, უახლესი ლექსიკაც და დროული არქაიზმებიც, ურბანიზმიც და იდილიაც, პირადი განცდებიც და საკაცობრიო იდეალებიც...“ (ჯავახაძე, 1988 :488). საინტერესოდ შენიშნავს ვახტანგ ჯავახაძე გალაკტიონზე საუბრისას: „იგი მთელი საქართველოს რჩეული ნაცნობი იყო და ყოველი თბილისელის განუყრელი თანამგზავრი. ყოველთვის ჩენთან იყო, ჩვენს გვერდით, როგორც რუსთაველის ძეგლი და გამზირი, როგორც მტკვარი, როგორც მთაწმინდა.

მეც თბილისის ქუჩებიდან ვიცნობდი. ბევრჯელ შევხვედრილვარ და ავდევნებივარ. როგორც პატარა ბავშვი ვეებერთელა მონასტერს, ისე ვუვლიდი გარშემო, და რაკი მონასტერს კარი ვერ ვუპოვნე, ფეხის წვერებზე ვდგებოდი, რათა მაღალი სარკმლიდან მაინც მომეკრა თვალი, რა ხდებოდა კედლებს იქეთ...

ერთ მშვენიერ დღეს იმ ტაძარში აღმოვჩნდი და ეკლესიაში პირველად შესული ბიჭივით დავიბენი. როდესაც დავმშვიდდი და თვალი კედლებსა და თაღებს

შევაჩვიე, გავოცდი: კვლავ ტაძრის წინ ვიდექი, ტაძარში ტაძარი დამხვდა. და ეს ტაძარი მეტი იდუმალებით იყო მოცული, რადგან არც კარი გააჩნდა, არც სარკმელი და შიგ ფეხი არავის დაედგა“... (ჯავახაძე, 1988:7).

თქვეს ერთხელ სამთა ანგელოსთა: – როგორ დავბადოთ
კაცი ყველაზე ბედნიერი და უბედურიც,
რა დავაწყევლოთ, ან ისეთი რა დავანათლოთ,
ათასჯერ ბედის თქვას მადლობაც და საყვედურიც.
პირველად თეთრმა ანგელოსმა წარსდგა ნაბიჯი:
დავბადოთ კაცი მდიდარიო, მაგრამ მახინჯი.
წითელმა: ის სჯობს, ყრმა ოცნებებს ნუღარ მიეცეს,
ულამაზესი იყოს, მაგრამ უღარიბესიც.
ბოლოს კი შავი ანგელოსი წამოიმართა
და შავი სიტყვა განუცხადა ცათა ბინადართ:
სასჯელი გინდათ? მაშინ დიდი კაცი დავბადოთ,
სახელ-დიდებით შესწვდებოდეს ცათა კაბადონს,
ოღონდ დავბადოთ სულთა მედროშედ,
დავბადოთ მგოსნად
და უთუოდ –
საქართვალოში…
იმ ღამეს ჭყვიშთან ვერ დიოდა წყნარად რიონი,
თურმე იმ ღამეს დაიბადა გალაკტიონი (ნიშნიანიძე, „ლეგენდა“).

გალაკტიონ ტაბიძე სინამდვილეს, ცხოვრების მოვლენებს ნაზ, ლირიკულ ამღერებაში ითვისებდა, მას არ ახასიათებდა ეპიკური ან დრამატული საწყისები, მისთვის ნიშნეული იყო მარტოოდენ ლირიკული, თხრობის სრული ინტონაცია, ამიტომ მისი საუკეთესო ლექსები ყოველთვის მოკლეა, ჩამოსხმულია ოქროს ერთი ზოდისაგან. გალაკტიონ ტაბიძის სტიქიაა ლირიკული მედიტაციები. იმ პერიოდის ქართულ პოეზიაში ლირიზმის სიძლიერით მას თითქმის ვერავინ შეედრებოდა. იგი არა მარტოოდენ მსჯელობდა გრძნობებზე, არამედ ცხოვრობდა ამ გრძნობებით. შემთხვევითი როდია, რომ ქართული სალიტერატურო კრიტიკა მას უწოდებდა „ლირიკოსთა ლირიკოსს“ .

გალაკტიონ ტაბიძე დიდი დიაპაზონის შემოქმედია, რომელსაც ემორჩილება ადამიანის სულიერი განწყობილების ყველა ნიუანსი. მისი ლექსები გამოირჩევა გრძნობის უჩვეულო ძალით და სიღრმით, განცდათა მრავალფეროვნებით, ჰარმონიითა და ფერების სიმდიდრით, უნაზესი მუსიკალური ბგერადობით, რიტმული მოდულაციებით, რითმების სილამაზით. ამ ლექსებში ემოციური საწყისები ბუნებრივად შერწყმულია ინტელექტუალურ სიბრძნესთან. გალაკტიონ ტაბიძე უაღრესად რთული პოეტია, თავის ნაწარმოებებში იგი ეხება ყოფის დიდ პრობლემებს, მიისწრაფვის ფილოსოფიური განზოგადებისაკენ, გალაკტიონმა ქართულ ლექსს დიდი ელვარება და ბრწყინვალება მოუპოვა. მან გამოიმუშავა თავისი ინდივიდუალური პოეტური მანერა ლექსის წერისა, შექმნა ეპითეტები, განსაცვიფრებელი სახეები და მეტაფორები, ულევი სიმდიდრე რითმისა და ნაწარმოების თავისებური კომპოზიცია. ლექსის იდეური შინაარსის ემოციურ - პოეტური განვითარებისათვის იგი ფართოდ იყენებს რომანტიკულად გამახვილებულ მხატვრულ საშუალებებს.

გალაქტიონის შემოქმედებაში ძლიერია სპეციფიკური ამღერება, რითაც იგი გამოირჩევა თავისი თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსობრივი მელოდიისგან. განსაცვიფრებელი შეხამება მუსიკალური სიტყვიერი თქმებისა, გალაქტიონის ლექსებს აძლევს განსაკუთრებულ სიმშვენიერეს. მან კარგად იცის, რომ საუკეთესო ის ლექსებია, რომლებიც დაბადებულია ისევე უშუალოდ, როგორც ხმები ბუნებაში და რომლებიც სურნელებასავით ეფრქვევიან ყველაფერს. რიტმის ინსტიქტი ჩვენს პოეტს არა მარტო საუცხოო აქვს, არამედ თითქმის აბსოლუტურად უზადო. აზრის, შინაარსის მუსიკალური გამოთქმის ხელოვნებას იგი სრულყოფილად ფლობს. ამიტომაა, რომ ამ ლექსებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული პოეზიის განვითარებაში. გაამდიდრეს ის მუსიკალური ჰარმონიით და ფერებით, შემატეს მას უჩვეულო ბგერადობა, გახადეს ლექსი მოქნილი, მოძრავი, გალაქტიონი არის ერთ-ერთი ყველაზე მუსიკალური პოეტი ქართულ პოეზიაში.

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა, ადრე ერთგვარად დაკავშირებული იყო სიმბოლიზმთან, მაგრამ ის მაინც ვერ თავსდებოდა ამ ლიტერატურული მიმდინარეობის ფარგლებში ვერც თავისი ღრმა ადამიანური ხასიათით, ჯანსაღი ტენდენციებით და ვერც სოციალური პრობლემატიკით. გალ. ტაბიძის იდეურ-შემოქმედებითი განვითარების არსი მდგომარეობდა მის მიერ სუბიექტურობის

პრინციპის დაძლევაში და თანდათან რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის დაუფლებაში, მაგრამ არავითარი აუცილებლობა არ მოითხოვს, რომ იგი თავიდანვე ჩავრიცხოთ რეალისტებში, როგორც ამას ცდილობს და ცდილობდა ზოგიერთი მკვლევარი. უდავოა, გალაკტიონის შემოქმედებაში ადრიდანვე გვქონდა ნათლად გამოხატული რეალისტური ტენდენციები, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, იგი გამოვაცხადოთ რეალიზმის წარმომადგენლად. მხატვრული ბუნებით გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებები უმთავრესად რომანტიკული პოეზიის მოვლენაა, რომელშიც გამომჟღავნებულია ინტერესი სინამდვილისადმი, რეალური მოვლენებისადმი; თვით მის ყველაზე ინტიმურ-ლირიკულ ლექსებშიც კი გვესმის ცხოვრების ხმები. თავისთავად რომანტიკული სახე ჯერ კიდევ არ ნიშნავს ცხოვრებისგან გაქცევას. პოეტის კავშირი სინამდვილესთან შეიძლება გამოითქვას არა მარტო რეალისტურ, არამედ, რომანტიკულ სახეებშიც. რომანტიზმი სრულებით არ უშლის ხელს გალაკტიონს, კავშირი ჰქონდეს სინამდვილესთან, რომანტიზმი ხომ თავისებური ფორმაა სინამდვილესთან ურთიერთობისა. ეს კარგად ესმოდა პოეტს, ამიტომაც იგი რომანტიკულ საწყისს პოეზიაში, თვლიდა მებრძოლ, ბუნტარულ სტიქიად. სასიცოცხლო მოვლენების რომანტიკულ გაგებას და განმარტებას პოეტი ამჟღავნებს ლექსის სიუჟეტში, სახეებში, სიტუაციებში.

გალაკტიონ ტაბიძის პირველი პერიოდის შემოქმედებაში ძლიერი იყო რომანტიკული სტიქია. შემთხვევითი როდი იყო, რომ იგი წერდა: „რომანტიზმი ყოველთვის იყო, არის და იქნება ხელოვნების ერთი უმთავრესი თვისებაო“. აქედან მომდინარეობს მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ცისფერისადმი. როგორც ცნობილია, რომანტიკოსებისთვის ცისფერი ყვავილი - ეს უმაღლესი ბედნიერებაა, რომლის დასაკუთრებისათვის თავგამოდებით იღწვის ადამიანი, მაგრამ ვერ აღწევს; ცისფერი ყვავილინ- ეს არაამქვეყნიური, მისტიკური სილამაზეა. ქართულ ლიტერატურაში ცისფერის კულტი დაკავშირებულია ნიკოლოზ ბარათაშვილთან. რომანტიკული პოეზიის დამახასიათებელი სიყვარული ცისფერისადმი გალაკტიონსაც ახასიათებს. მის ლექსებში „გზაში“, „ვინ არის ის ქალი“, „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“, „ის’, „შენს ცისფერ თვალებს“, - ეს მისწრაფება ცისფერისადმი ფილოსოფიურად არის გააზრებული.

„აქ მრავალია ცისფერი ფერი,
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება.

როგორც ქალწულის სახელი მერი-
არის ცისფერი და მწუხარება.“
(“გზაში“)

რომანტიკოსების პოეზიაში ცისფერი იყო პროტესტი  მკაცრი სინამდვილის წინააღმდეგ და აგრეთვე გამოხატულება თავისებური მისწრაფებისა. ასევეა ის მოცემული გალაკტიონის პოეზიაშიც.

გალაკტიონ ტაბიძე ქართულ პოეზიაში ბოლომდე დარჩა რომანტიკული ლექსის ვირტუოზად, რომანტიკული მსოფლთათვისების პოეტად. სწორედ ამიტომ მისი პოეზიის ანალიზის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რომანტიზმის პრობლემას. ცნობილია, რომ ლიტერატურის ისტორიამ მრავალი სახის რომანტიზმი იცის, მისი შინაარსი იცვლებოდა ეპოქის გემოვნებასთან ერთად. გალაკტიონის რომანტიზმი სხვადასხვა ხანაში არ იყო ერთნაირი - არც შინაარსით და არც შემოქმედებითი პრინციპით. სხვაა მისი რომანტიზმი რევოლუციამდე და სხვაა რევოლუციის დროის რომანტიზმი.

გალაკტიონის რომანტიკული ლექსებისათვის დამახასიათებელია პოეტურ სახეთა უჩვეულო თავისებურება. არსებულ  სინამდვილეს  იგი კი არ იმეორებს უბრალოდ, არამედ აძლევს მას მაღალმხატვრულ გამოხატულებას, რაც მკითხველში ბუნებრივად იწვევს ძლიერ ემოციებს. პოეტი ფლობს პოეტური ხელოვნების ყველა საიდუმლოებას. იგი ოსტატურად იმარჯვებს ყოველ აუცილებელ სიტყვას, რომელიც კი ესაჭიროება თავისი ოცნებისა და განცდის გადმოსაცემად. გალაკტიონ ტაბიძის სიტყვარი თავისი მრავალფეროვნებით და ემოციურობით პირდაპირ აცვიფრებს მკითხველს. ფრაზები და სიტყვები ყურისათვისაც და თვალისათვისაც არის განკუთვნილი. იგი სიტყვებს ორიგინალურად და ბუნებრივად განალაგებს ხოლმე. ასე აყალიბებს პოეტი მომაჯადოებელ სახეებს.

ოცდახუთი წლისაც არ იქნებოდა და უკვე დაეწერა  „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“, „მერი“, „მთაწმინდის მთვარე“, „მამული“, „მესაფლავე“, „ატმის ყვავილები“, „გეტერა“, „რომელი საათია“, „უსიყვარულოდ“, „მე და ღამე“, „გურიის მთებს“, „შემოდგომის დღე“... პოეზიის ცაზე ასე ერთბაშად და მკაფიოდ გაბრწყინებულს უკვე დაესწრო ლუპემომარჯვებულ ისტორიკოსთათვის და მორცხვობაგაშვებით ეთქვა: „ რომ მეფე ვარ და პოეტი... თუმცა, როგორც რევაზ მიშველაძე შენიშნავს, „სალიტერატურო ასპარეზზე გალაკტიონის გამოჩენას როდი ახლდა პოეტური

სიყრმის გაუბედავი ნაბიჯები. თითქოსდა იგი ახალგაზრდა პოეტი არასოდეს ყოფილა, ამ ცნების საშეღავათო გაგებით. იმთავითვე დასრულებული ოსტატი იყო. „არტისტული ყვავილები“ გალაკტიონის მეორე წიგნია და პოეტის მხატვრული ოსტატობის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაც“.

გალაკტიონ ტაბიძის ნიჭის არსებით ნიშანს შეადგენს უჩვეულო პოეტური გრძნობა ბუნებისა, რომელიც ათვისებულია სავსებით რომანტიკულად. მის მიერ გამსჭვალულია უნაზესი გრძნობით, გვიხსნის ლირიკული გმირის სულიერ მდგომარეობას, მის შინაგან ცხოვრებას.

სულიერი ობლობისა და ცხოვრების ამაოების ტრაგიკული განცდა გალაკტიონის ადრინდელ ლექსებშივე ფილოსოფიური თვალთახედვითაა გააზრებული. მათში მძაფრად იგრძნობა ლიტერატურულ ტრადიციათა, უპირველეს ყოვლისა კი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის გამოძახილი. ყოველივე ამას პირად ცხოვრებაში თავჩენილი წინააღმდეგობებიც ემატება, მისი ცხოვრება სავსეა მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობებით და სირთულეებით. უმეგობრობითა და მარტოობით შეწუხებული პოეტი სულიერი ობლობის მტანჯველი გრძნობითაა შეპყრობილი. „უფაქიზესი სულის პატრონს პრაქტიკულ ცხოვრებაში სრულიად უსუსურ, თავგზააბნეულ არსებას, ჩვენი მაშინდელი უსასტიკესი ყოფის სისხლშერეული, მღვრიე, პაწია ტალღაც კი დაუნდობლად ახეათქებდა სხვისთვის თითქმის არარსებულ აისბერგს. პოეტის გამძაფრებული, რეალობიდან აყოლილი წარმოსახვები, თავზარდამცემი, კოშმარული სიზმრების ფრაგმენტებად ილანდებოდნენ და შეუყოვნებლად მიექანებოდნენ 1959 წლის 17 მარტისკენ“ (აბულაშვილი, 2009:91).

თავისი ყოფის საშინელება შემაძრწუნებლად გადმოსცა ლექსით:

შენ არ გინახავს კაცის ღიმილი,
შურმა და მტრობამ ისე მიგინდო,
შენი ცხოვრება და სიმძიმილი,
არის ეს ქუჩა და სამიკიტნო.
შენი ცხოვრება არის ეს ძაღლი,
რომელიც კვდება ცივი, ბებერი,
მისთვის არ არის ამქვეყნად სახლი.
არც კარებია, შესაღებელი.

შენი ცხოვრება არის ეს ბუჩქი,
ჩამოფლეთილი ყოფნის კარამდის.
სადაც სიკვდილი და სადაც ჭუჭყი
განუყოფელად მიდის მარადის
შენი ცხოვრება, ვით შემოდგომა,
არასდროს აღარ დაიზამთრება.
აცივდა და შენს გარშემო დგომა
ეხლა არავის არ ენატრება.
შენი ცხოვრება ღონემიხდილი
არის ტალახი, ბოსელი, ქართა.
რისთვის გაშინებს, მითხარ, სიკვდილი,
თუ არვინ მოვა სიკვდილის გარდა?
ვიცი, თუ როგორ გადიხარხარებს,
როცა გაიგებს სიკვდილი ხველას,
შენი ცხოვრება არვის ახარებს,
შენი სიკვდილი ახარებს ყველას.
ეს აზრი უნდა გავიგოთ ესე.
რომ მხეცი არ თმობს თავის ხელობას
და გალაკტიონ ტაბიძეს ურჩევს
წერტილს ტყვიისას.
რას?
თვითმკვლელობას.

(ტაბიძე, 1971:54 )

1959 წელს პოეტმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. აკი თავად ამბობდა, „სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი და ქვაფენილზე შურდულივით დაენარცხება“. ეს ტრაგიგული მომენტი მხატვრულად ასახა თავის ლექსში „ყვავილების მდინარე“ პოეტმა მურმან ლებანიძემ:

ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა:
იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა.
არმართ- აღმართ მდინარე მთაწმინდისკენ დიოდა:
იწვა გალაკტიონი - მოხუცს ბეჭი სტკიოდა.

ალბათ, შუბლიც სტკიოდა - მაინც, მეფურ იერით,
იწვა მკერდბუმბერაზი, ხნიერი და ძლიერი.
რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა:
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.
ეს სიკვდილი, ეს დაფნა, ეს მზე ოქროცურვილი -
იყო ეს ყველაფერი მხოლოდ მისი სურვილით.
დირიჟორი თვით იყო! რაც მოხდა და გათავდა
და რაც ახლა ხდებოდა, - მისი ჟინი მართავდა...
ყვავილების მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა,
იწვა გალაკტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა.
ერთი- ორი სხვაც ჰყავდა, ვინც მშობლისთვის იბრძოდა,
მაგრამ ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა !

(ლებანიძე, 1991:88)

„არიან ადამიანები, რომელთაც სულ პატარა მიზნის მისაღწევადაც კი გრძელი გზის გავლა უწევთ. ზოგს ადვილად გამოსდის, ზოგნი კი მხოლოდ ტანჯვით, მხოლოდ ნერვების წყვეტით მიიწევენ წინ ნაბიჯ-ნაბიჯ. გალაკტიონის ცხოვრება კი სწორედ ასე აეწყო. ერთადერთი, რაც მისთვის ყველაზე უხვად გამოიმეტა განგებამ, ნიჭი იყო, ნიჭი და სულიერი სიწმინდე. პარადოქსია, მაგრამ პირველიცა და მეორეც იმ სახელმწიფოში, რომელშიც გალაკტიონმა გაატარა თავისი შეგნებული ცხოვრება, ხელისშემშლელი პირობა იყო მატერიალურად უზრუნველყოფილი არსებობისათვის“(მიშველაძე, 1998:316). ასე ნაწვალები წავიდა ჩვენგან პოეზიის მეფე, თუმცა მისი გარდაცვალება ახალი ლეგენდის დაბადებას გავდა. აკი თავად ამბობს:

მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალება,
თითქო ზღვის კარად თივას თიბავდე,
ვინა თქვა შენი  გარდაცვალება?
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.
მიდიხარ... აღარ  დაგემდურება
არც მიწიერი, არც ზეციერი,
ვინა თქვა შენი  უბედურება?
არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.
მიდიხარ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა,

სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი.
ვინა თქვა შენი მიუსაფრობა?
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.
მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს -
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.
(ტაბიძე, 1971:186).

გალაკტიონს შეეძლო ნებისმიერ სიტუაციაში ან ადგილზე (ყრილობაზე, შეკრებებზე, იტერატურულ საღამოებზე, ეტლში, მატარებელში და ა.შ) დაეწერა და სულის სიმებიდან გამოძახილი რითმები ქაღალდზე გადაეტანა.აღსანიშნავია რომ ბუნებით მელანქოლიკი პოეტი ყოველდღიურად წერდა დღიურებს, თავისნაირი განსხვავებული ტაქტით. წერის პროცესში თითქოს ეთიშებოდა ამ სამყაროს წამიერად. დღიურები არ იყო ერთ რვეულში მოქცეული, მის ცხოვრებისეულ ამბებით სავსე, წერდა რამდენიმე ფრაზით, წერდა ყველაფერზე რაც იმ მომენტში ქაღალდს შეუცვლიდა, ხშირად ადამიანების ნაცვლად თავის დღიურ ჩანაწერებს ეკონტაქტებოდა. მნიშვნელოვანია რომ მისი ადამიანებს თან ესმოდათ და თან არ ესმოდათ. მიუხედავად იმისა რომ გ.ტაბიძე რამდენიმე ლიტერატურულ გაერთიანებაში ირიცხებოდა ( „არიფიონი“ ), იყო მწერალთა კავშირის წევრი, იგი მაინც განყენებულად ცალკე მდგომი პერსონა გახლდათ მწერალთა და მოღვაწეთა შორის. ჯერ კიდევ 1916 წელს თავისმა ბიძაშვილმა პოეტმა და ცისფერყანწელმა ტიციან ტაბიძემ მას უწოდა „მარტოობის ორდენის კავალერი“.

„გალაკტიონის შემდეგ თანდათან იზრდება მანძილი გალაკტიონსა და დანარჩენებს შორის. საერთოდ, ცოცხალი ხელოვანის შესახებ ყოველთვის აჭარბებენ, ცოცხალი გენიოსის შეფასებისას კი - პირიქით. ამიტომ სიცოცხლეში გენიოსები აშკარად არც გამოირჩევიან. დიდად აღმატებულს თანამედროვენი ღირსეულად ვერც შეაფასებენ და ვერც დააფასებენ. მაგრამ დრო და სიკვდილი ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს ხოლმე: შესამჩნევად იზრდება მანძილი გალაკტიონსა და დანარჩენებს შორის, და მისი პოპულარობა დისტანციის პროპორციულად იზრდება. მეოცე საუკუნის პოეზია უკვე გაყოფილია ორ მკაფიო ბანაკად: გალაკტიონი და სხვები, გალაკტიონი და დანარჩენები, გალაკტიონამდე და გალაკტიონის შემდეგ.

მთელი საუკუნის პოეზია გალაკტიონის ინტონაციითაა განმსჭვალული: ვისაც გალაკტიონის სხივი არ გაჰკარებია, ღირსეულიც არაფერი შეუქმნია. გალაკტიონის შემდეგ გამომჟღავნებული და დამკვიდრებული სიახლეებიც გალაკტიონის სახელს უკავშირდება (ლირიკული პოემა, ვერლიბრი, თეთრი ლექსი, ირონიული ლირიკა..) კვლავაც დაუკავშირდება. გალაკტიონის შემდეგ ქართულ მწერლობას დარჩა გალაკტიონის მწარე გაკვეთილი: პოეზია უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს! ჭეშმარიტმა პოეტმა უნდა დაივიწყოს მიწიერი ინტერესები და არასდროს არ უნდა გამოეთიშოს შთაგონების წამებს. ვინც პირადად იცნობდა დამეთანხმება: ამ თვალსაზრისით - გალაკტიონი ყველაზე მეტად „შეწირული“ ლირიკოსია( ჯავახაძე, 1988 : 488-489).

„იდეური აქტუალობით, აზრის სიღრმით და გრძნობის სიწრფელით აღბეჭდილი ლექსები გალაკტიონ ტაბიძისა ხასიათდებიან მომხიბლავი მელოდიურობით, მგზნებარე ლირიზმით, დიდი ემოციური ზემოქმედების იშვიათი ძალით. თავის საუკეთესო პოეტურ ქმნილებებში მან ლექსის ფორმის კლასიკურ ბუნებრიობას, ჭეშმარიტ ხალხურობას მიაღწია. ამიტომაც გალაკტიონ ტაბიძის პოეზია ღრმად წვდება ხალხის გულს. ცხოველ გამოძახილს პოულობს მკითხველთა ფართო ფენებში, აქტიურად მონაწილეობს ხალხის, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობის იდეური აღზრდისა და სულიერი შეიარაღების დიად საქმეში“( ბ. ჟღენტი 1976 : 459) .

გალაკტიონს, ბუნებით სიტყვაძუნწს, პოეზიაში გაჩუმება ვერ წარმოედგინა; გამოსავალს ეძებდა სულში დაგუბებული ლექსების ნიაღვარი. რა უნდა დაეპირისპირებინა პოეტს მცონარე არსებობისავის, თუ არ თავისი მშფოთვარე ცხოვრება:

გულო ჩემო მღელვარევ,
სულო ჩემო მყივარო -
ერთი დღეც არ გქონიათ
მშვიდი, უსატკივარო.

(ტაბიძე,1966:18).

თუკი ბედისადმი საყვედური დასცდებოდა, თუკი ტანჯულად წარმოისახავდა თავს, ეს საყვედურიც და ეს ტკივილიც ისევ სამშობლოსა და პოეზიის სამსხვერპლოზე მიჰქონდა:

არის ცხოვრების უსამართლობა
შენთან მოსული მწარე ფიალით,
ის ეკლის გვირგვინს შუბლზე დაგადგამს
და შუბლი ელავს სისხლის სიალით.
ნუ დაუმალავ ხალხს ამ იარას,
დადექ იქ სადაც შუქი ინთება:
ეკლიან შუბლზე უფრო ძლიერი
და მშვენიერი მზე გაბრწყინდება.

(ტაბიძე,1966: 38).

თამამად შეიძლება ითქვას - მთელი საუკუნისა და განა მარტო ერთი საუკუნისა?! გალაკტიონმა გვასწავლა, რომ უნდა შეგვეძლოს ჩვენი სიმართლის სადარაჯოზე მკვიდრად, გაუტეხავად დგომა და, დროებით დამარცხების შემთხვევაშიც კი, ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე ქედი არ მოვიხაროთ, მოიგონეთ:

რა საჭიროა ახლა გოდება,
მე ვიცი, ამ გზას რა ეწოდება,
მატარებლისგან როს მიმიღია,
ამ მოწყალება, ამ შეცოდება.

როცა შემოდგომის მზე მოახლოვდა და ირგვლივ „ყოველივე განაზდა“, გალაკტიონმა მოიცილა განზე მდგომი ბევრ რამეში ვერგარკვეული კაცის ნიღაბი და დაიჩივლა :

არ ვემდური ამ ცხოვრებას,
არ ყოფილა თითქმის,
არყოფილზე საყვედური
აბა, როგორ ითქმის.

პოეზიის მეტრის თვითმკვლელობის მიზეზი გაუბედურებულ სინამდვილესთან პოეტის დამოკიდებულებით გამოწვეული სასოწარკვეთა იყო: ცხოვრება გაცვდა ვით ძველი გროში, უბედურებად იქცა ყოველი ...

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში გამოკვეთილად შეიგრძნობა მარტოობის ნეორომანტიკული მსოფლგანცდა. ეს განსაკუთრებით ითქმის მისი პირველი პერიოდის ლექსების შესახებ. ნეორომანტიზმი XIX ს-ის დასასრულსა და XXს-ის დამდეგის მხატვრული, მიმდინარეობაა, რომანტიზმის განვითარების გვიანდელი

პერიოდი , რომლისთვისაც დამახასიათებელია შემოქმედების მცირე ფორმებიდან, (რაც რომანტიზმისთვის იყო დამახასიათებელი) კვლავ დიდ, მასშტაბურ ფორმებზე გადასვლა, რომანტიკული პრობლემატიკის ფილოსოფიური გართულება, ყოველდღიურობის, რეალური სინამდვილის უარყოფა, იდუმალ-მაგიურისაკენ მიბრუნება. სხვადასხვა ქვეყანაში ნეორომანტიზმმა, სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძინა, ამიტომაც მას ნაკლებად უწოდებენ, ერთიან, ზოგად მიმდინარეობას. ნეორომანტიზმი მოიცავს, მაგალითად: ფრანული სიმბოლიზმს, პოსტ-იმპრესიონიზმს; უფრო მკაცრად მიმდინარე ინფორმაცია ამავე დროის ინგლისურ ლიტერატურაში (ჯ.კონრად, რ.კიმპლინგი). მუსიკაში, ჩვეულებრივ, ნეორომანტიზმი გაგებულია, როგორც გვიანი რომანტიზმი (ფ.ლისტი, რ.ვაგნერი), ისევე როგორც 70-80-იანი წლების კომპოზიტორების ნამუშევრები.

„ნეორომანტიზმის ძირითადი მახასიათებლებია: რეალიზმის კრიზისის გრძნობა, როგორც ხელოვნების სისტემა; რეალობის ხელახლა შექმნის სურვილი; ინდივიდუალიზმი, სუბიექტივიზმი, ესთეტიზმი, ფორმის უპირატესობა შინაარსზე. ნეორომანტიკული ლიტერატურის სამყარო სავსეა მოულოდნელობებით, თავგასულობითა და საფრთხეებით, მაგრამ აქ ჩვეულებრივი ხალხი მონაწლეობს და მოქმედებს. ამ მოქმედების მთავარ გმირობად კი ითვლება ცხოვრების მკაფიო სურვილი, ისე რომ ამავდროულად, არ დავკარგოთ საკუთარი თავის პატივისცემა . ნეორომანტიზმი ძალიან ნაყოფიერი ლიტერატურული მოძრაობა აღმოჩნდა, ამ მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს შორის არიან, ისეთი მწერლები, როგორებიცაა ჯოზეფ კონრად, ეტელ ლილიან ვოინჩი, ჯეკ ლონდონი,რობერტ სტივენსონი, მაქსიმ გორკი, ჰერმან ჰესი და სხვანი“ (https://ka.info-4all.ru/obrazovanie/literatura/chto-takoe-neoromantizm/).

ნეორომანტიზმისათვის ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიულობა, ამ მიმდინარეობის გამოხატვის სფერო, ძირითადად ისტორიული რომანი და ისტორიული მოთხრობაა. ისტორიული კონტექსტის არჩევა შემთხვევითი როდია, ამ მიმდინარეობის მიმდევარნი მიზანმიმართულად ირჩევენ ქვეყნის ისტორიაში გარდამტეხ მომენტებს.

ნეორომატიკოსებმა მიიჩნიეს, რომ თანამედროვე ადამიანი დიდად განსხვავდებოდა, წარსულში მცხოვრები ადამიანისგან, ის თითქოს მოკლებულია ყოველგვარ განცდას, არ შეუძლია დიდი და მნიშვნელოვანი შეგრძნებების

განცდა,თითქოს დაჭიანდა, ჩარჩოებით შემოსაზღვრული, მას აღარ ძალუძს ჩაიდინოს საგმირო საქმეები. სწორედ, ამიტომ აუცილებელი გახდა , შექმნილიყო პერსონაჟი, რომელიც არ ემსგავსება თანამედროვე ადამიანს, რომელსაც ექნება ძალისხმევა, უნარი სურვილი და მიზანი, დიადი საქმეების ჩადენისა. ნეორომანტიზმს მიაჩნია, რომ ადამიანებმა უნდა შეძლონ აღმატებულად და სრულყოფილად განიცადონ  განცდები, რადგან თანამედროვე ადამიანების პრობლემა ის იყო, რომ არ შეეძლოთ სუფთა სახის შეგრძნებები, სწორედ ამ ყველაფერის შეცვლა დაისახა მიზნად ამ მიმართულებამ (https://ka.info-4all.ru/obrazovanie/literatura/chto-takoe-neoromantizm/).

არა მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძის პირველი პერიოდის ლირიკის, არამედ იმ დროის ქართულ პოეზიაში მიმდინარე პროცესების თავისებურების ერთ -ერთი განმსაზრვრელი და ნოვატორულ ძიებათა მძლავრი ბიძგის მიმცემი ფაქტორია ბალმონტიზმი  (კონსტანტინე ბალმონტის ლირიკიდან მიღებული იმპულსი) ბალმონტიზმის ნიადაგზე შექმნილი ლექსებისთვის ( ისინი უმეტესწილად ბესიკური და 16-მარცვლიანი საზომებიტაა დაწერილი) დამახასიათებელია ამღერებული, ნარნარა და მონოტონური მელოდიურობა, და შესაბამისად - ალიტერაციების სიხშირე, ერთგვაროვან მორფოლოგიურ ერთეულად გამეორება, შინაგანი რიტმების სიჭარბე და სხვა.

მართალია, არც ბალმონტია განსაკუთრებული რანგის ხელოვანი და არც ქართული ბალმონტიზმის დამწყები პოეტები ( ა.აბაშელი, ს. შანშიაშვილი)  არიან ბალმონტზე დიდი პოეტები, მაგრამ ხელოვნებას თავისი კანონები აქვს. „საგულისხმოა, რომ პირველ ხანებში ბალმონტმა თავის თანამემამულეებზეც გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდხანს არავის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ მისი სახით რუსულ პოეზიას ახალი კლასიკოსი, პუშკინზე და ლერმონტოვზე არა ნაკლები ლირიკოსი მოევლინა.  ასე რომ ბალმონტის მელოდიური ლექსის მძლავრი ზეგავლენა იმ დროის ქართულ ლირიკაზე და შესაბამისად გ.ტაბიძის, ი.გრიშაშვილის, ს.აბაშელის, შ.შანშიაშვილის და სხვათა ლექსებში საერთო ადგილების გაჩენა სავსებით ბუნებრივია. ბალმონტიზმი ქართულ ლირიკაში ნეორომანტიკული მატრიცების დაძლევისა და პროსოდიული ძიებების თვალსაჩინო ფაქტორად იქცა. ქართულ ლექსში შემოჭრილი ეს ახალი ნიავქარი უაღრესად თავისებურად მიიღო იოსებ გრიშაშვილმა. მუსიკალური ეფექტებით აღსავსე

ბალმონტისეულმა ლექსმაც უბიძგა ი.გრიშაშვილს (საგულისხმო ა.აბაშელის ბალმონტისებური ტაეპის - „გაწყდა სიმი, გლოვის ჰიმნი კვნესით მოწყდა ხმას მშობლიურს“ 1909 - რემინისცენცია გრიშაშვილს ლექსში - „გაწყდა სიმი, გატყდა ჩანგი, დაიკარგა ოქროს წკირა“, 1911) ბესიკის, საიათნოვასა და მუხამბაზების ტრადიციისაკენ“(თვარაძე, 1978: 20).

ბალმონტიზმი ასევე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გალაკტიონის პირველი პერიოდის ლირიკის თავიშებურებას, განაპირობებს როგორც გრძელი, ასევე მოკლე და ჰატერომეტრული საზომებიანი მელოდიური ლექსების დამკვიდრებას და, რაც მთავარია, მისი პოეტური ხელოვნების გარკვეული პრინციპების ჩამოყალიბებას. ბალმონტისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გალაკტიონს ბოლომდე შერჩა: ერთ თავის გვიანდელ ჩანაწერში გოტიესა და ვერლენის გვერდით მოიხსენიებს: „არ შეიძლება უარყო მომაჯადოებელი სილამაზე თეოფილ გოტიეს პლასტიკური ლექსების, არ შეიძლება უარყო ვერლენის ნაზი და მძლავრი მუსიკალური აკორდები, რომლებიც გადმოგვცემენ პოეტის ნისლიან, გაურკვეველ ემოციებს, და ბოლოს, ბალმონტის პოეტური სიტყვის გადამღერების, მრისხანების, სინაზის ჟღერა“ (20, 572), იმავე ხანებში უნდა იყოს დაწერილი ლექსი „ბალმონტს“.

შენ ლაჟვარდისკენ მონახე გზები,
შენ ჩაისუნთქე ხალისით ზეცა:
გრიგალებს, ქარებს ემიზეზები,
ქაოსმა თმები გადაგიკეცა.
მზის სიდიადით თრებოდი, გულო,
გაოქროვებდა მთვარის მაგია;
სხვას ატყვევებდი და ტყვევდებოდი,
ოცნება შენი ამხანაგია.

გალაკტიონის ლირიკაში ბალმონტის „პოეტური სიტყვის გადამღერების, მრისხანების, სინაზის ჟღერის“ პირველი გამოძახილთაგანია „სასაფლაოზე“, „გაზაფხულის ღამე“ (1910), ხოლო შედარებით გვიანდელ ნიმუშთაგან ამავე მონოტონური „სინაზის ჟღერის“ მსგავსი ხმა ისმის ლექსში „მე და ღამე“ (1913).

ბალმონტმა ბიძგი მისცა გალაკტიონის ლექსში „სიტყვის გადამღერებას“, მუსიკალური ეფექტების ძიებას:

Если горные вершины развернутся предо мной,

В снежном царстве я застыну под серебряной луной.

მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,

სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.

ბალმონტიზმმა ხელი შეუწყო ძიებებს ევფონიის სფეროში, ალიტერაციებისა და შინაგანი რიტმების აქტუალიზაციას, სტროფის ფარგლებში საზომთა მონაცვლეობას და სხვ. შდრ:

Как живые из ваянья в искрах лунного сиянья,

Чуть трепешут очертанья сосен елей и берез.

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,

ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში.

ბალმონტის სტილს ჩვეულებრივ იმპრესიონიზმს უკავშირებენ. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი - წამიერი შთაბეჭდილებათა აღბეჭდვა ბალმონტისეული სტილის ლექსთა თავისებურაბათაგანია. ამ გაგებით „იმპრესონისტულია“ გ. ტაბიძის პირველი პერიოდის არაერთი ლექსი. მაგრამ ისიც უდაოა რომ ამ „იმპრესიონისტულ“ სტილს გალაკტიონმა არაერთ ლექსში ბალმონტისაგან სრულიად განსხვავებული ფუნქციაც დააკისრა. კერძოდ, სიმბოლისტური უხილავის გაცხადების ამოცანა. „უხილავის“, „არაამქვეყნიური ლანდის“, იდეალის მოტივი, ანუ სიმბოლისტური ესთეტიკისა და პოეტური პრაქტიკის საკვანძო სიტყვების დეკლარირება და მათი აქცენტირება სათაურებში გამოტანის გზით ერთობ თვალსაჩინოა გალაკტიონის პირველ კრებულში.

ნეორომანტიზმის გარღვევის პირველი მცდელობა ახალი ესთეტიკური ორიენტირების ძიებისას იყო ჟურნალი „ფასკუნჯი“ (1909), რომელშიც დიდი ადგილი დაეთმო სიმბოლისტურ კონტექსტთან გაიგივებულ ედგარ პოს. უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ახალი ლიტერატურული გეზის მოთხოვნა 1913-ის 19 მაისს გამოსულ ჟურნალში „ოქროს ვერძი“, რომელშიც თანამშრომლობდნენ გ.ტაბიძე, პ.იაშვილი, შ.დადიანი, ს.კლდიაშვილი და სხვ. ამ ჟურნალის მეთაურ წერილში ცხადად ჩანს ლიტერატურის უშუალო წარსულთან გამიჯვნისა და ახალი სახის ლიტერატურის აუცილებლობის მოთხოვნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გალაკტიონის ლირიკის ძირითადი უნივერსუმი, ანუ მისი თვალთახედვის მთავარი საგნობრივი სამყარო - ბუნება, პეიზაჟები, ფლორა ადრინდელ ლირიკაშივე იღებს სათავეს, რაც არსობრივად რომანტიზმის, როგორც

ლიტერატურული მეთოდის, პეიზაჟური ხედვის გამეორებაა, თავისთავადი ფერებითა და შტრიხებით. ვახტანგ ჯავახაძე აღნიშნავს, „როგორც ყველა პოეტს ბუნებით შემოქმედს, მასაც ენით აღუწერლად უყვარდა ბუნება. მის წიაღსვლებში ქარგავდა რითმებს და პოეზიის მუსიკალურაბას. ადამიანებზე გულაცრუებული და განდეგილი - სხვებზე უფრო ხშრად იყურებოდა ცისკენ“ (ჯავახაძე 2013: 88).

პოეტური ენა საოცრად ათრთოლებს სისხლს ძარღვებში, მთელი სიმძაფრით წარმოგადგენინებს ღამის პეიზაჟს ან დაისს, ბუნების მშვიდ აუღელვებელ სურათს, რომანტიკულ ოცნებებში გამოგზაურებს ისე რომ ვერც კი გაიაზრებ, გხიბლავს ყოველი ფრაზა, მუსიკასავით ჩაგესმება ყურში და გონებაში ყოველი რითმა, მონუსხულივით მიყავხარ შემოქმედს თავის ილუზიაში. მსგავსი „მუსიკალური ცახცახი და პოეტური ჟრუანტელი, არ ქონია არც ერთ ქართველ პოტს...

ქართული პატრიოტული რომანტიზმის სულისკვეთება გალაკტიონის სამშობლოსადმი ძლიერ სიყვარულის გამომხატველ ლექსებშიც იკითხება. პოეზიის მეფის პოეტურმა ბედმა განსაცვიფრებელი სიზუსტით აირეკლა ქართველი ერის სულიერი ცხოვრების შუქჩრდილი. ეს ანარეკლი სინამდვილის უბრალო პოეტური ილუსტრაცია, ასლი ან ექო კი არ იყო, არამედ გენიოსის დიაალოგი მარადისობასთან. ქართული ლიტერატურა ხომ ერთი გაბმული სიმღერაა სამშობლოზე. „გალაკტიონის შემოქმედებაში პატრიოტიზმის გაგებაც იმდენად პოეტურია, რომ ის რომ ყოველგვარ ძალდატანებულ და თავსმოხვეულ ფსევდოპატრიოტიზმს ცდება და საოცარი ჰარმონიითა და სილამაზით გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას სამშობლოსადმი.

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...
და არსად მთელ ქვეყანაზე არ ჰკოცნიან ისე ვნებით,
ისე ცეცხლით, ისე ჟინით და იმგვარი გატაცებით.
ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს გამოუცნობ ცეცხლის ტბაში,
როგორც ლერწამ-ქალწულები აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში

რომ ყველაზე ღირებული, რაც ადამიანს გაჩენის დღიდან ბოძებია უფლისგან - სამშობლოა, ეს გალაკტიონმა კარგად იცის, ამიტომ აცნობიერებს, რომ მისი მოვლა და პატრონობა „ვალად ადევს“, თითოეულ ქართველს უპირველესად კი ლირიკულ გმირს:

„ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა

მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია,
სანამ გმირმა შენთვის სული დალია-
სთქვა:,, სამშობლო - უპირველეს ყოვლისა!“

(ტაბიძე, „ჰე, მამულო!“, 1971:131).

გალაკტიონმა ალბათ პირველმა აღნუსხა წამიერი შთაბეჭდილებები, უმნიშვნელო, წვლილმანი, თითქმის უჩინარი სულიერი მდგომარეობები (განწყობილებები) და აიყვანა ისინი მაღალი პოეზიის რანგში. ლექსებით ნაფერებ სიყვარულს სხვა ხიბლიც აქვს და მკითხველში თანაგანცდის გამოწვევის უნარიც, მით უფრო მაშინ, თუ პოეტს „მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლის“ დაუოკებელი სურვილი კლავს და ამ გზაზე არც დაღლასა და დაბრკოლებას უშინდება:

„თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ,
მარად მანთებს შუქი სვეტისცხოვლისა:
პოეზია - უპირველეს ყოვლისა!
სიკვდილივით მარადია სურვილი
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,
ყველაფერში შუქით შემობურვილი:
პოეზია - უპირველეს ყოვლისა!
თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,
მე მოვკვდები - როგორც პოეტს შეჰფერის,
სიმღერები ხალისის და ბრძოლისა,
პოეზია - უპირველეს ყოვლისა!“

(ტაბიძე, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, 1971:151).

# თავი II

## მარტოობის რომანტიკა გალაკტიონთან

(მარტოობის ორდენის კავალერი)

„უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა,
იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტოობა.
გავაღე კარი, თეთრი თოვლი შემომეფეთა
მივხურე კარი, მარტოობამ დაისადგურა“

*გალაკტიონი*

პოეზიას დასაბამიდან დღემდე, ყოველთვის, ადამიანის მსოფლმხედვლობის სარკის როლი აქვს. მწერალი თავის ესთეტიკურ, ეთიკურ თუ სხვა იდეურ თვითაღქმას მეტნაკლებად გადმოსცემს კალმით; ჩვენ, მკითხველებს, გვაქვს იმის ფუფუნება, რომ მათი თვალითაც შევხედოთ სამყაროს და ამოვიცნოთ ის სივრცეები, რომლებშიც ბევრი ახლის პოვნა შეიძლება და, რაც მთავარია, მხატვრულ სამყაროში კარგი მკითხველი იპოვის პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებიიც გაჩენის დღიდან აწუხებს. გარდა ამისა, პოეზიას შეუძლია ერთგვარი ნუგეშის მოცემა, ადამიანის სულის დავანება ამიერ ქვეყანაში. სევდით, მწუხარებითა და რეალური სამყაროს მიმართ ნიჰილისტურად განწყობილი პიროვნება აუცილებლად იპოვის მზის სხივს მრავალი მწერლის შემოქმედებაში.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება გამოირჩევა თავისი სიმარტივით, ჟღერადობით, სიტყვაკაზმულობით, მუსიკალურობით ,აღმატებული სისადავით. მწერლის პოეტური ნიჭი არასდროს არ ყოფილა კრიზისში, რასაც ვერ ვიტყვით პოეტის სულიერ განწყობილებასა და ყოფიერ ცხოვრებაზე. მის ადრეულ შემოქმედებას 1910-იან წლებში თან გასდევს ფონად სულიერი ობლობის მოტივი. რევაზ თვარაძის სიტყვებით თუ ვიტყვით, სულიერი ობლობა გალაკტიონის შემოქმედებაში იყო „ბავშვობის დროინდელი ჰარმონიის რღვევისა“ და „პიროვნების მიერ საკუთარი არსების ძიების“, თავისთავში ჩაღრმავებისა და მეობის შეცნობის შედეგად გაჩენილი ადამიანური მარტოობის განცდა, მეორეს მხრივ კი „გარდამავალი ასაკის ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ ცვლილებათა“ საფუძველზე აღმოცენებული სულიერი ობლობის ეს სევდა, „შემეცნების პროცესით ვერ დაძლეული - აზროვნებით

დადასტურებული მარტოობით, როგორც მსოფლმხედველობრივი ფაქტითაც, იყო გამოწვეული (ნიკოლეიშვილი, 2002: 219).

ახალგაზრდა გალაკტიონის პირადი წერილებიც თავისებურად ცხადყოფენ, რომ სამწერლო ასპარეზზე გამოსული პოეტური თაობა დეკადენტური ნეორომანტიზმის „სენით“ იყო შეპყრობილი: „სულიერ ობლობას განვიცდი“ (1913), „აშკარად ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტოობას. მე დღეს შესაძლებელია ორასი ადამიანი ვნახო და დაველაპარაკო, შეიძლება გული გადვუხსნა კიდეც წუთის გავლნის ქვეშ და მაინც მარტო ვარ“ (1912), „ხომ იცი, ჩემი ჩვეულებრივი მელანქოლია როცა დამიპყრობს, ყველაფრის ხასიათი მეკარგება. ბაკურიანში მომკლა ამ მელანქოლიამ“ (1915). ეს სევდიანი ლიტერატურული კილო, რომელიც ბარათაშვილის წერილების ასოციაციებს იწვევს, არსებითად განსხვავდება ილიას, აკაკის, ვაჟას წერილების საქმიანი კილოსაგან. ჩვენს წინაშეა ადრესანტის მიბრუნება ბარათაშვილისეულ კოდთან, რომელიც ხელოვნებასა და სინამდვილეს შორის საზღვრის წაშლას გულისხმობს.

პირველი კრებულის ლირიკული გმირი როგორც წესი „საუკუნეთა მიჯნის“ პოეზიისათვის დამახასიათებელი რომანტიკული ინდივიდუალისტია. მეორდება არა „მერანი“ -სებური გმირული პათოსი, არამედ „შემოღამების“ ელეგიურობა. აწმყო დანახულია როგორც უდროობის ჟამი:

ყრმა მგოსანს ჩანგი ხელში ეპყრა აკვნესებული
და არ იცოდა ქვეყნად ვისთვის ეძღვნა ეს ქნარი.
(„მუზა“,1909)

არაიშვიათად გაიელვებს გალაკტიონის ლირიკაში ნეორომანტიზმში დამკვიდრებული „ქარიშხლის“, „შავი ღრუბლის“, „მწუხრის“, „შავი ბურუსისა“ და „ღამის“ ალეგორიული სახეები. ერთობ ხშირია მარადიული თემები, რომელთა დამუშავებისას უფრო რომანტიკული ელეგიის გამოძახილი იგრძნობა: „მიყვარს საღამო წყნარი, მშვიდი და მოწყენილი. მწუხრის ზეწარი ეფინება მდუმარ მიდამოს“. ასეთ ლექსებში „სრული სახით წამოიმართება ბარათაშვილის აჩრდილი. იგრძნობა მისი სევდიანი სახისა და მისი თვალბედითი შავი ყორანის „ასოციაცია“ (27, 267).

პირველი კრებულის წმინდა ნეორომანტიკული ლექსების საერთო განწყობილება ცხადად ირეკლება ლექსში „სად“ (1913)

საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას,

სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?
რას მომცემს ისეთს მე საქართველო
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?
არ ვიცი. . . მაგრამ უმიზნობაში
ფიქრს ვერ ვიკავებ ცრემლად მონაქუხს. .
ვწუხვარ. . . ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს...

ეს ლექსი იკრებს დეკადენტი ნეორომანტიკოსის სულიერი დაღლილობის, მელანქოლიისა და მარტოობის მოტივებსა და მათ თანმხლებ მინორულ განწყობას. „მარტოდმარტო ვარ“, - აცხადებს პოეტი და თავის თავს „მიუსაფარს“ უწოდებს ამ დეკადენტური სტერეოტიპს მიღებას ორგვარი ახსნა აქვს. ნეორომანტიზმი თავისი ზოგადევროპული იერსახით და დახვეწილ პოეტურ ტექნიკაზე პრეტენზიით უფერო მეტად იყო ასოცირებული ნოვატორობასთან და ახალ პოეზიასთან, ვიდრე წინა თაობის მიერ მრავალგვარად გამოყენებული და უკვე სისხლნაკლული პოეტური ხელოვნება იყო მეორე მიზეზიც „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს სტრიქონები იწერებოდა იმ დროს, როდესაც ეროვნული მოძრაობის ყველაზე ნაცად ებრძოლი შეგნებაშიც კი ნაციონალური ოპტიმიზმი უმწვავეს კრიზისს განიცდიდა სწორედ ამ წლებში დაიწერა სამოციანელთა ქედუხრელი პლეადის დიდებული მედროშისა და ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენლის - მოხუცი აკაკის ცნობილი ლექსი „ჩაფიქრება“, რომელიც აღსავსეა ამ პოეტისაგან თითქმის წარმოუდგენელი უკიდურესი პესიმიზმით“.

მარტოსულობის განცდას, ხშირად, უკიდურეს დეპრესიამდე მიჰყავდა და ეს ძალიან კარგად ჩანს მისი შემოქმედების ყველა პერიოდის ლექსში. თუმცა ამ თანმდევი დარდის გარდა, ქმნა პოეტურ სახეებად შესანიშნავად გამოსდიოდა. სწორედ ათიანი წლების ლექსების მთავარ თემას მარტოსულობის მტანჯველი განცდა წარმოადგენს და ეს გრძნობა მიჰყვება მის შემოქმედებას ბოლომდე, რადგან თავად პოეტიც არასოდეს დაუტოვებია ობლობის შეგრძნებას.

პოეტს, თავისი ცხოვრების მანძილზე, ალბათ ყველაზე მეტად ის გრძნობა უწამლავს სულს , რომ სრულიად მარტო იქნება და არ იცის რაჰ პოვოს მარტოობაში. უსიყვარულოდ დარჩენა მისთვის აუტანელი და შემზარავია . თითქოს გზას ეძებს,

თავი რომ დააღწიოს მტანჯველ გრძნობეს და ვერც სიმღერა, ვერც სხვა რამე ვერ შველის მის ვნებულ გულს :

,,ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა ჩემი სიმღერა?

წუთით მიტაცებს, სამუდამო წყლულს ვერ შლის, ვერა!''

(ტაბიძე,1982:45)

ლირიკული გმირი შავ ნისლს მოუცავს და რაიმე უჩვეულო ძალის მოხმობით ცდილობს თავის დაღწევას, მაგრამ ეს უფრო განწირულის ვედრებას გავს :

,,ო,სად ხარ ,სადა უჩვეულო რაიმე ძალო,

სიცარიელის შავი ნისლი რომგამაცალო!''

,,ქარით დატირებული'' ფოთოლიც, თითქოს გალაკტიონის ობოლი სულისგამოხატულებაა. აქ საოცარი კონტრასტი იქმნება პოეტის შინაგანი სამყაროსი ბუნებასთან :

,, შემდეგ თოვლი მოვიდა , და ვით სულს მოტივტივეს,

შევაჩვიე სიცივე ჩემი გულის სიცივეს“.

(ტაბიძე,1982:51)

გალაკტიონის შემოქმედება მიუწვდომელი და შორეულია და ყველა მკითხველი განსხვავებულად კითხულობს მას. ის იყო გენია, რომელსაც ყოველი მომდევნო საუკუნე თავიდან სწავლობს დავფიქრობ, ასეც გაგრძელდება . მან შეძლო და ცხოვრებისეული, სულიერი ტკივილი სასწაულად აქცია პოეტური სახეებით. დარდიც კი შინაარსიანი ჰქონდა, მაგრამ ტანჯავდა, ამ დარდის გამზიარებელს რომ ვერსად პოულობდა.

ყველა ზემოთ განხილული ლექსის მთავარ თემას უადამიანოდ, უმეგობროდ დარჩენა წარმოადგენს, თუმცა როგორც უდიდესი ოსტატი, სხვადსხვაგვარად გამოხატავ სსულიერ განცდებს.

მარტოობის განცდის მიზეზთა გასათავისებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, თუ როგორ პერიოდში უწევდა მას ცხოვრება, ქვეყნად დამკვიდრებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით. „ავბედითი შავი ყორანი“ მას მთელი ცხოვრების განმავლობაში არ ტოვებდა. ბიოგრაფიული ცნობებიდან ირკვევა, რომ მას ახალგაზრდობაშიაც ქონია, თანაც სამჯერ, თვითმკვლელობის მცდელობა. 1910 წელს მისმა უახლოესმა მეგობარმა ქუჩუ ქავთარაძემ (ფსევდონიმით დემონი, მათივე დაარსებულ ხელნაწერ ჟურნალ „შუქში“)

თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ამ ამბავს გალაკტიონზე ძალიან უმოქმედია, სასოწარკვეთილს სემინარიაში სწავლაზე თავი დაუნებებია და სოფელ ფარცხნალში დაუწყია მასწავლებლად მუშაობა. ყველა ვინც მის გვერდით იყო ნებსით თუ უნებლიეთ ტოვებდა, ეს კი მის ხასიათს და ბუნებას მძიმე დაღს ასვამდა.

ვისაც სიყრმითვე მე თაყვანს ვცემდი,

ყველა მომცილდა, ყველა წავიდა. (1913 წ მარტამდე)

ფაქიზი სულის პატრონს კი როგორც განებივრებულ ბავშვს ისე ჭირდებოდა ხოლმე სითბო და სიყვარული. ამიტომ წერდა დედა მას შემდეგ სიტყვებს_ „ ჩემო სხვანაირად მოსაფერებელო შვილო, ჩემო გატუნია“...

გალაკტიონი – ამ სახელის წარმოთქმა უკვე საკმარისია, რომ ყველა ქართველის გონებაში პოეზიის მეფე, გალაკტიონ ტაბიძე ამოტივტივდეს. მიუხედავად მისი გენიალურობისა, ის მთელი ცხოვრების განმავლობაში სულიერად მარტო იყო, რაც აშკარად იჩენს თავს მის პოეზიაში. პოეზიის მეფეს არასდროს არ ქონია სამწუხაროდ დალხენილი ცხოვრება. მას არასდროს უცხოვრია ფუფუნებითა და ამქვეყნიური მგზნებარებით. უსახსრობის გამო დაანება პეტერბურგში სწავლას თავი და დაბრუნდა საქართველოში. უსახსრობის გამო ვერ ახერხებდა ზამთრის მოსასხამის, ლაბადის ყიდვას და თხოვდა მწერალთა კავშირს გამოეყოთ თანხა და მისთვის შეეძინათ ის რომ გამთბარიყო . იგი გამუდმებით განიცდიდა სულიერ ობლობასა და სიმარტოვეს. ამის გამოა, რომ ბევრ საერთოს ნახულობს ნ.ბარათაშვილთან. მარტოობის ამ კოშმარულ განცდას გალაკტიონი მთელი ცხოვრების განმავლობაში ებრძოდა. ზოგჯერ მკითხველს დილეტანტურადაც ებადება კითხვა : _ რომ არა მისი ასე დუხჭირი ცხოვრება და მუდმივად მარტოობა, მიუხედავად მისი გენიისა, იქნებოდა კი იგი პოეზიის მეფე?! იქნებოდა კი უკვდავი?!.. ჩემეული შეხედულებით პოეზიის ღმერთის შემოქმედება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისი დუხჭირი ცხოვრების და დაბრკოლებების შედეგი. მის გონებაში პატარაობიდანვე ყვაოდნენ არტისტული ყვავილები, მარად დაუმჭკნარი.

პოეტს ბავშვობიდანვე თან სდევდა სულიერი სიმარტოვისა და მიუსაფრობის განცდა, მეგობარივით ყველგან ახლდა თავისი განუყრელი მარტოობა. ოცდახუთი წლის გალაკტიონ ტაბიძემ დაწერა:

- როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი!

ექვსი წლის შემდეგ გაიმეორა: „ვწუხვარ: ერთადერთი ვარ!”

ბევრი დაწერილა პოეტის შესახებ, ალბათ, კიდევ ბევრი დაიწერება, თუმცა ყველაზე უკეთ აქვს აღწერილი პოეტის სიმარტოვე ვახტანგ ჯავახაძეს, თავის შესანიშნავ წიგნში „უცნობი“: „გალაკტიონი იმდენად მარტოსული გახლდათ, იმდენად თავისებური და განსხვავებული, მასთან დაახლოება და გაშინაურება, მისი გაცნობა და შეცნობა შეუძლებელი იყო. ჩაუწერია კიდეც: - თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარო. აკაკიმ დაასწრო, თორემ ეს გაფრთხილება გალაკტიონის პიროვნებას უფრო შეეფერება, და ამიტომაც დაესესხა და გაიმეორა.

სიყმაწვილიდანვე მარტო დარჩა. ყველგან და ყოველთვის მარტო იყო. ვეება მხრებით დაატარებდა საკუთარ მარტოობას და ისე გაუცხოვდა, თავისი ბუნებრივი ხმით არც კი გველაპარაკებოდა(ჯავახაძე, 2013 : 1)

და კიდევ:

„ სხვასთან ერთად იშვიათად შემხვედრია.

-ძალიან მარტო დარჩა. მეტისმეტად მარტო.

-პოეტი რომელსაც უყვარდა მარტოობა.მთელი ცხოვრება მარტომ გაატარა თითქმის. მეგობარივით ყველგან ახლდა თავისი განუყრელი მარტოობა.

-ჩემი მეგობრები სოფელში მხოლოდ წიგნები იქნებიან.

-ამიერიდან მრჩება ერთადერთი მეგობარი- „წიგნი“

-არასდროს მე მარტო არ ვყოფილვარ,ჩემს გვერდით იყო წვიმა და ქარი.

-პოეტი მარტო არასდროს არის.

ერთადერთი სტრიქონი დაწერა და დაბეჯითებით შემოგვედავა:

-თქვენ , რა თქმა უნდა ,არ გესმით ჩემი.

სათაურიც მოინიშნა : „საშინელი მარტოობა (ჯავახაძე, 2013 )“

გალაკტიონის შინაგანი სამყარო შემოქმედების განუყოფელი ნაწილია. ღამის საიდუმლოება, ღამის სიმშვიდე მის აფორიქებულ და დაღლილ სულს მხსნელივითაა მოვლენი. საკუთარი სიკვდილის წარმოსახვაც სულიერ დაღლილობას ასახავს:

„აველ დაღლილი მარმარილოს თლილ კიბეებით -
დარბაზში, სადაც ვისვენებდი ჯერ ისევ დილით;
ორხიდეების მწყობრად იდგა მუქი შლეიფი
განაზებულნი ჩემი ფერმკრთალ სულის სიკვდილით.“ (ორხიდეები)

დაღლილი ადამიანი უსასოოა, მისთვის ცხოვრება დაცლილიაფერებისგან, ყოველი დღე ერთნაირია - უღიმღამო, ნაღველითა და მოწყენილობით სავსე:

„დღე მომავალი, დღე ხვალინდელი
გუშინდელ დღისგან არ განსხვავდება.
ირგვლივ კაცთ სახე დაღონებული
ხვალინდელ დღესაც არ განშორდება.
მოწყენილობა და წუთების თვლა
ხვალაც იგივე განმეორდება.“

თუკი სხვა ლექსებში პოეტი უბრალოდ აღწერს თავის სულიერ მდგომარეობას და სვამს კითხვებს, რომლებზეც პასუხს არსაიდან ელის, ამისგან განსხვავებით ლექსში „ის მიდიოდა ქუჩაში ერთი“ ჩანს როგორ ნებდება, როგორ ხდება სულერთი ის, რის გამოც ამდენს წუხდა და რისთვისაც ამდენი ხანი იბრძოდა:

„მძიმეა ტვირთი? მაშ სხვებმა ზიდონ,
ის ახლა გახდა წყნარი და მშვიდი.“

რთულმა ცხოვრებამ, მარტოობამ და გაჭირვებამ სევდა მის თანამდევ სულად აქცია, მელანქოლია გახდა მოტივი ცხოვრებისა და შემოქმედებისა:

„იმ დარდად ჩემს გულს ხშირად სწოლია
ტყეთა მსუბუქი მელანქოლია.
არ გებრალებით? მე მქონდა გული
ეხლა ის არის, როგორც ყინული.“

სულით ობლობის მოტივი გალაკტიონის ადრეული ლირიკის ერთ-ერთი ძირითადი მოტივია . სულიერი ობლობისა და ცხოვრების ამაოების ტრაგიკული განცდა გალაკტიონის ადრინდელ ლექსებშივე ფილოსოფიური თვალთახედვითაცაა გააზრებული. მათში მძაფრად იგრძნობა ლიტერატურულ ტრადიციათა, უპირველეს ყოვლისა კი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის გამოძახილი, გავლენას ახდენდა პოლიტიკური ვითარებაც და თავად პოეტის პიროვნულ-ფსიქოლოგიური ბუნება - ადამიანებთან მისი დამოკიდებულების შინაგანად რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი.

სათაური „უდაბნო“ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებს - „ვპოვე ტაძარი“ გვახსენებს, სადაც ტაძარი ქრება და ლირიკული გმირი უდაბნოში რჩება. გალაკტიონთან არსად ჩანს ტაძარი, პერსონაჟის გარშემო მხოლოდ უდაბნოა.

ლირიკული გმირი გვიმხელს, რომ იგი სიყმაწვილეშიც სულით ობოლი იყო, დროსა და ჟამს არ გაუნელებია მისი წამება, იგი ახლაც მარტოა, სრულიად მარტო, რადგან მთელი ქვეყანა უდაბნოდ ქცეულა მისთვის:

„სიყმაწვილეში მე ვჭკნებოდი, როგორც ფოთოლი,
ობოლი ვიყავ მე მაშინაც, სულით ობოლი.
ჟამი მიჰქროდა ახალი დღით განრინებული,
არ მშვიდდებოდა ჩემში მაინც გული ვნებული.
დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა.
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა.“

პერსონაჟს არავითარი მიზანი არა აქვს, ყველაფრისადმი გულგრილია, არ სურს მისწვდეს მიუწვდომელს, ვრცელს და დაეჭვების საგნად ქცეულა პოეზიაც:

„რად მინდა მივწვდე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს?
ჩემს უდაბნოს ვერ გავსცილდები მაინც ვერასდროს,
მეგობრობაში, სიყვარულში, შურში, მტრობაში,
მარტო ვიქნები, და რა ვპოვო მარტოობაში?
ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა ჩემი სიმღერა?
წუთით მიტაცებს, სამუდამო წყლულს ვერ შლის, ვერა!

ალბათ, მხოლოდ ამ სტრიქონების წაკითხვაც საკმარისია იმისათვის, რომ ითქვას: სულით ობლობის მოტივის არსებობა გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში არ არის მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგი, არამედ მისი წინააღმდეგობებით სავსე სულიერი სამყაროს, შეუსაბამო გარემოსა და ვითარების სამწუხარო, თუმცა შემოქმედების მასაზრდოებელი შედეგი.

ტიციან ტაბიძე, გალაკტიონზე წერდა: „არსად მზის ქვეშ არ იქნება მომღერალი, რომელსაც არ ესუნთქა მარტოობით... სული ცხოველი, სული შეციებული, რომელმაც არ იცის სითბო და ნელცივობა- არ იწვის, არ იყინება,უთუოდ დაიჩრდილება მარტოობასა და ტანჯვაში. ეს ორი რამ ყოველთვის თანამგზავრია პოეტის, მაგრამ მოხდება ხოლმე,ზოგიერთი მას მოიშორებს მცირე ან დიდი ხნით, ზოგისთვის კი ის სამუდამოა, დაუშორებელი, თან სდევს, როგორც მთვარიან ღამეს საკუთარი ჩრდილი და მაშინ მისთვის ყველაფერი იქარგება მარტოობისა და ტანჯვის

ქარგაზე, ყველაფერი ჩნდება ამ ფონზე და მკერდზეც დაეკიდება მარტოობის ორდენის ბრილიანტები“.

მისი იდეალები, მისი შემოქმედება და გენია ბევრში აღძრავდა „შურს“, „ბოღმას“, „ღვარძლს“, ისინი ეგოეიზმით დაბრმავებული აფასებდნენ მას, როგორც ყალბ, ფარისეველ პოეტს. თითქოს აზრი ნიკოლოზ ბარათაშვილიდან ქონოდა აღებული , ხოლო მუსიკალურობა აკაკიდან. ეს შეფასება არცაა ლოგიკას მოკლებული, თუმცა საჭიროა სათანადო განმარტებების გაკეთებაც. გალაკტიონს ბარათაშილთან აერთიანებს შინაგანი ბუნება, ხოლო აკაკი მისთვისაც დიდი პოეტი იყო და განიცდიდა მის გავლენას, მაგრამ ეს გავლენა არასდროს ყოფილა მიმბაძველური. გალაკტიონი თავის თითოეულ ლექსში იმდენად ინდივიდუალურობას ამჟღავნებს, რომ მსგავსი ინდივიდუალიზმის გამოსახვა წარმოუდგენელიც კია.

გალაკტიონის ჩვეული სულიერი ობლობა და კოშმარული მარტოობის განცდა, რომელიც განსაკუთრებით იგრძნობა 1910-იან წლებში დაწერილ ლექსებში. პირველი კრებულის ლირიკული გმირი, როგორც წესი, „საუკუნეთა მიჯნის“ პოეზიისათვის დამახასიათებელი რომანტიკული ინდივიდუალისტია. მეორდება არა „მერანი“-სებური გმირული პათოსი, არამედ „შემოღამების“ ელეგიურობა. აწმყო დანახულია როგორც უდროობის ჟამი:

ყრმა მგოსანს ჩანგი ხელში ეპყრა აკვნესებული
და არ იცოდა ქვეყნად ვისთვის ეძღვნა ეს ქნარი. („მუზა“,1909)

ქვეტექსტური სევდიანი განცდა ლექსებს თითქოს „შავი ყორანივით“ დასჩხავის. პოეტს ამ განცდების გაზიარება მხოლოდ ბუნებისთვის შეუძლია.

ლექსში „შავი ყორანი“ გ. ტაბიძე ბარათაშვილისებურად შავი ყორანის სიმბოლურ სახეში განასახიერებს ეპოქის ბნელი ძალების ბუნებას, რომელთანაც შეურიგებელ კონფლიქტში იმყოფება ლექსის ლირიკული გმირი, გამომხატველი პოეტის გრძნობებისა და მისწრაფებებისა:

გზა გავიარე, მსურს მოვიხედო
და დავინახო მთასა ქედები,
შავი ყორანი გზაზე მომჩხავის:
ნუ იხედები, ნუ იხედები...

ცხადია, რომ გ. ტაბიძის მიერ დახატული ეს ბოროტი ფრინველი ახალი ნაირსახეობაა იმ „თვალბედითი შავი ყორანისა“, რომელიც ისეთი გააფთრებით უკან

მისჩხაოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის მერანს - ცხოვრების ბნელი და ბოროტი ძალებისადმი ადამიანის დაუმორჩილებლობის, მისი მუდმივი წინსვლისა და ახალი, ნათელი სამყაროსაკენ გმირული სრბოლის უკვდავ პოეტურ სიმბოლოს“ (ჟღენტი 1976: 471-472).

საქართველოს საოცარ პანორამებში მყოფს გულიდან წამოსული განცდები, ემოციები და შთაბეჭდილებები გადააქვს ქაღალდზე და საშვილიშილოდ გვიტოვებს რითმების ჩუქურთმას. მნიშვნელოვანია პოეტის ერთგვარი აღიარებებიც სხვადასხვა ლექსში რომ მის მარტოობას მხოლოდ ბუნებას ან ღამეს უზიარებს, მაგ:

ოდესღაც , სადღაც მარტოობაში
გულით ამომსკდა სიმღერა წყნარი,
ჩემი სიმღერა ქვითინი იყო,
სულით ობლობას კვნესოდა ქნარი. (1911წ)

შემთხვევითი არაა, რომ მარტოობის კავალერი გალაკტიონს, ტიციანმა „მე და ღამეს“ გამოჩენისთანავე მიანიჭა. მართლაც, „მე და ღამე” ყველაზე უფრო მეტად გამოხატავს პოეტის მარტოობასა და სულიერ ობლობას. გალაკტიონი მხატვრული სახეების კონტექსტში წარმოაჩენს სასოწარმკვეთ მარტოსულობას, რაც განსაკუთრებით შუაღამისას, სიჩუმისა და იდუმალების ფონზე უფრო მძაფრად ვლინდება. ეს ლექსი ეხმიანება ბარათაშვილის „სული ობოლს”. აქაც იგივე ტკივილია, იგივე ნაღველი, იგივე სიძნელე მარტოსულობისა და უნუგეშობისა, ადამიანთა უნდობლობისა და გაუტანლობისა. რა იწვევს სულიერი ობლობის ამ მტანჯველ განცდას, რომელსაც ვერ ანელებს „სიამენი სოფლისა”. რა აქცევს პოეტს, ამ ყველასგან გამორჩეულ ადამიანს, ღვთის ნიჭით მომადლებულ კაცს კრულად, დაწყევლილად. იქნებ, უპირველესად, სწორედ ნიჭი შემოქმედებისა.

პოეტი სულიერი ობლობის გაუსაძლის ტკივილს ფურცელზე უმშვენიერეს სტრიქონებად ამოწერს, ამით ტანჯვას ესთეტიკურ ღირებულებად აქცევს. ამიტომაცაა, რომ ეს ნაღველი გიზიდავს, რადგან იგი მხოლოდ ტკივილი აღარაა, არამედ მშვენიერებაა, რომელიც სულიერად განწმენდს და ამაღლებს ადამიანს .პოეტი იკეტება საკუთარ შინაგან სამყაროში, რათა განერიდოს ყოველდღიურობის ეკლებს, წარმავლობის სასტიკ ბრჭყალებს და როგორმე დაიცვას თავი სულიერი განძარცვისაგან. პოეტს, ფიქრებისგან რომ ვერ დაუღწევია თავი, მოსვენება დაუკარგავს, ვერ იძინებს. მას, ადამიანებისგან გარიყულს, ბუნება ეგულება ნუგეშად:

სიო უამბობს ველთა ზღაპარს: „სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება“.

პოეტი საუბრობს საიდუმლოზე, რომელსაც „ნიავსაც კი არ აკარებს“ და ამავდროულად, გამოხატავს მეგობრებისადმი უნდობლობას: „რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული, ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული“.

საერთოდ, მეგობრებისადმი უნდობლობა გალაკტიონის პოეზიაში არაერთხელ არის გამოხატული. გავიხსენოთ: „ოჰ, ჩემი გული ბევრს დაიმონებს, მეგობრები კი არ მეყვარება” („შენ ერთი მაინც”), ან „მე მიღალატეს ძველმა რითმებმა, ძველ მეგობრებსაც ვამჩნევ მე ღალატს” („სიბერე”).

„ცრემლი უნდობარი გახრჩობს მარტოობის,
მაგრამ მეგობარი, ვაი, არსად არის.”

ამგვარ უნდობლობას განაპირობებდა რეალური ცხოვრება, სავსე მლიქვნელობით, პირფერობით, შურით, სიხარბითა და ღალატით.ეს ყველაფერი კი უფრო ამძაფრებდა, გალაკტიონის სულში მარტოობისა და მიუსაფრობის განცდას.

გალაკტიონის „მე და ღამის” ფიქრის ნაკადი სულის სიღრმეში მიედინება, იმ საიდუმლოსკენ, რომელსაც პოეტი ვერავის გაუმხელს და ვერც ვერავინ გაამხელინებს (ვერც საყვარელი ქალი, ვერც უამესი წუთები...). ეს საიდუმლო მის გულში „საუკუნოდაა” შენახული და სამარეში ჩაჰყვება. ეს საიდუმლო მხოლოდ მარადისობისთვისაა გახსილი, ამიტომაც გაუგებარი იქნება კონკრეტული დრო-სივრცისთვის. ეს საიდუმლო პოეტს სამყაროსკენ უხსნის გზას, მისი შუაგულისაკენ, მასთან შესარწყმელად. ეს საიდუმლო აქცევს გალაკტიონს პოეტად, შემოქმედად, თუმცა, ამ საიდუმლოს დაშიფრულად, სიმბოლოებით, პოეტური სახეებით თავის პოეზიაში განფენს. მხოლოდ ღამემ იცის მისი საიდუმლო, თეთრად გათენებულმა ღამემ, იცის მისი წამებისა და ტანჯვის, მისი სულიერი ობლობის შესახებ. აქ აღარ არის ღამე ილიასეული განცდით, ღამე, როგორც უმოძრაობისა და ბოროტების სიმბოლო (გავიხსენოთ „მგზავრის წერილები”), პირიქით, გალაკტიონის შუაღამე სულიერი აქტივობის, თავბრუდამხვევი სულიერი მოძრაობის, შემოქმედებისა და აღმაფრენის დროა. ამ დროს ხომ ყველაზე მძაფრად შეიგრძნობა მარტოობის სიტკბო-სიმწარე.მარტოდ მყოფ გალაკტიონს თითქოს მხოლოდ,ღამე შემორჩენია თავისი განცდების მეგზურად, სწორედ , ეს განცდაა შემდეგ სიტყვებში: „ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!“

რადგან არავინ იცის ღამის გარდა, (არც მეგობრებმა) , თუ როგორ დარჩა ობლად გალაკტიონი და რას განიცდიდა მარტოდარჩენილი პოეტი: „იცის - როგორ დავრჩი ობლად,როგორ ვევნე და ვეწამე.“

დამახასიათებელია, რომ ლექსში- „მახსოვს“- მხოლოდ მთვარემ იცის პოეტის საიდუმლო. იგი ამბობს : „მთვარევ , შენ იცი ეგ საიდუმლო,რომელსაც გულით დავატარებდი.“ იქვე , დასძენს :

„შენ იცი მხოლოდ, თუ რასაც ვგრძნობდი
მარტოობაში შუაღამისას,
რომ ღამის სახეს უფრო ვწვდებოდი,
უფრო ვწვდებოდი, ვინემ კაცისას.“

ამ ორი ლექსის საფუძველზე , შეიძლება ითქვას, რომ პოეტის მისწრაფება იყო:

„და მე მოვკვდე, სიმღერებში , ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა“

სულიერი ობლობის, მიუსაფარობის და მარტოობის კოშმარული განცდა გალაკტიონის პოეზიაში ადრიდანვე შეინიშნება და ბოლომდე გასდევს, პოეტის შემოქმედებას. ადრინდელი  გრძნობა, რ.თვარაძის სიტყვებით თუ ვიტყვით, „ბავშვობისდროინდელი ჰარმონიის რღვევისა“ და „პიროვნების მიერ საკუთარი არსის ძიების“, „თავისთავში ჩაღრმავებისა და მეობის შეცნობის“ შედეგად გაჩენილი, ადამიანური მარტოობის ტრაგიკული განცდაა. ამ განცდას კი უფრო მეტად, ამძაფრებს მისი ცხოვრების ავი ბედისწერა, რომელიც შავი ყორანივით ასდევნებია პოეტს და არასდროს ანებებს თავს, ამ განცდას აძლიერებს პოეტისთვის იმის აღმოჩენა , რომ სინამდვილე და ოცნება სხვადსხვაა, რომ ცხოვრება წარმავალია, ამქვეყნიური ყოფა კი ამაო.ეს სასოწარკვეთა ხშირად ეუფლებოდა ,პოეტს და ყველაფერზე ხელს ჩაიქნევდა თითქოს,სიცოცხლეს უაზროდ თვლიდა, სწორედ ეს გრძნობაა გამოხატული ლექსში „სად?“

„საით მივყავარ , ჩემს მოწყენილ გზას?
სად ვპოვებ შვებას , მიუსაფარი“

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, პოეტი თვითონვე ცდილობს , თუმცა პასუხს ისევ მარტოობამდე მიჰყავს, მეოცნებე პოეტი , ისევ და ისევ მარტოა, გულნატკენი,უიმედო და მიუსაფარი:

„არ ვიცი! მაგრამ უმიზნო დღეებს

ვითვლი და ვითვლი ყმაწვილურ ჟინით,
ყოველ დღეს გულის ტკივილით ვხვდები
და ვეთხოვები მწარე ქვითინით.
მარტოდმარტო ვარ... ვისაც ოცნება
ედემის ციურ ხატებად სთვლიდა.
ვისაც სიყრმითვე მე თაყვანს ვსცემდი,
ყველა მომცილდა, ყველა წავიდა."

და კიდევ :

„ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს."

ეს განცდა იგრძნობა ამ ტაეპებშიც:

„სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალიგიერი,
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!"

ეს ყველაფერი კი, ისევ და ისევ ეხებოდა პოეტის სულის სიმებს, ღრმად პოულობდა ადგილს მის გულში და ამძაფრებდა მიუსაფრობისა და მარტოობის განცდას და ამიტომაც უფრო მეტს წერდა და ფიქობდა პოეტი სიკვდილზე:

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ სჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე."

სულიერი მარტოობის გრძნობით გულმოკლული პოეტი ლექსში „ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს" წერდა:

„ვეტყვი - რომ ყველა მომბეზრდა ქვეყნად,
რომ დავიღალე მე ამ კუბოში"

ლექსში ნათლად არის გამოხატული, რომ მიუხედავად გალაკტიონის ირგვლივ მოფუსფუსე ხალხისა, ის მაინც მოწყენილი და მარტოსულია :

„ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს.
დაღონებული მივდივარ ბრბოში"

მიუსაფრობისა და საზოგადოების უნდობლობის განცდა, ნათლადაა გამოხატული მის ლექსში „გზაში“,პოეტი ხშირად ოცნებობდა:

„სადმე ყრუ ადგილს დავესახლებოდი,
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი
სადაც იქნება ცოფი ნაკლები,
და უფრო ნაკლებ-ადამიანი“

გალაკტიონ ტაბიძის კიდევ ერთი ლექსი „თოვლი“, გამსჭვალულია სასოწარმკვეთი მარტოობით, რომელიც პოეტის სულიერ ემბლემადაა ქცეული, ლექსში გამოხატულია, მარტოსული პოეტის განცდა, სადაც პოეტი შვებას პოულობს, იანვართან ძმობაში და იტანჯება „ნივთიერ“ სამყაროში , თუმცა ღვთის უძვირფასეს საჩუქარს, სიყვარულს არ კარგავს და სულ ახსოვს, მისი „თოვლივით მკრთალი ხელები“,მიუხედავად ამისა პოეტი მაინც სასოწარკვეთილია სიტყვა „როგორმეს“ გამეორებით გამოხატულია დაუცველობა, ტკივილი და უიმედობა :

„ თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული ფიფქით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!“

ამავე ლექსში გამოხატავს პოეტი სულით ობლობას, რის სიმძაფრესაც ახდენს სიტყვა „მარტოს“ გამეორებით,“და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო“.

პოეტის მარტოობის და მიუსაფრობის განცდა ჩანს კიდევ ერთ ლექსში „გოტიეს“, სადაც იგი წერს:

„ ეხლა კი გზა ეკლებზე უფრო უეკლესია,
არავისთვის არ არის სული უფრო სათელი.
ეხლა მარტოდ მარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია
და საკვდავად მიღიმის ჩამავალი ნათელი.“

მარტოსულ პოეტს უყვარს ღამე, თუმცა ზოგჯერ როცა მძლავრად შეუტევს მარტოობის განცდა, იმედგადაწურულ პოეტს ღამეც კი ვეღარ აძლევს შვებას, თითქოს ტანჯვადაც ქცეულა ღამე, რომლის გათენებასაც მოელის იგი :

„ახლა, რა თქმა უნდა, ძლიერ გვიანაა.
გულში მწუხარებამ ღამე გაათია…

მაინც არ მასვენებს მწარე სინანული -

რომელი საათია? რომელი საათია?

.....

ღმერთო, როგორ მოხდა, წვიმა მოსისხარი

თითქოს შეუწყვეტი კუპრის ნაკადია,

აღარ გათენდება ღამე საზიზღარი!

რომელი საათია? რომელი საათია?“

მარტოსული, რომ იყო და ნამდვილი მეგობარი, რომ არ ჰყავდა ეს ჩანს მისივე წერილებში, რომელსაც ოლიას უგზავნიდა და ეუბნებოდა, რომ უხაროდა კიდეც რომ არ დარჩა ცისფერყანწელებთან, რადგან ის მათზე მეტად ნიჭიერია და როდესაც წარმატებას აღწევს გალაკტიონი, ეს მათ აღიზიანებთ. სამწუხაროდ, ხშირია ადამიანთა ღვაწლის შეფასება მისი გარდაცვალების შემდგომ. გალაკტიონი თავის სიცოცხლეშივე აღიარეს პოეზიის მეფედ, მაგრამ მას ამ ეპითეტებისდაგვარად არავინ არ აფასებდა სათანადოდ. მას ლაღ და უშურველ ემოციებს მხოლოდ ახალგაზრდა თაობა აწვდიდა. სიკვდილის შემდგომაც მათ განადიდეს და აიყვანეს იმ მწვერვალზე რომლის ღირსიც თავის დროზე იყო „ მარტოობის ორდენის კავალერი“. სიცოცხლის უკანასკნელ დღეს მწერალთა საზოგადოებიდან, მხოლოდ ირაკლი აბაშიძემ მოიკითხა, კონსტანტინე გამსახურდიამ კი მისასალმებლად გაწვდილი ხელი ჰაერშივე გააშეშებინა და გულგრილად ჩაუარა... გალაკტიონი იმდენად დიადი იყო, რომ მისი სიკვდილის დროსაც კი შურდათ, სიმონ ჩიქოვანმა თქვა, რომ სიკვდილშიც გვაჯობაო...

„ სარკმელს გააღებს გულამღვრეული გალაკტიონი

და ქვაფენილზე შურდულივით დაენარცხება“

„ღმერთი რომ ხილული იყოს, რელიგია არ იარსებებდა. გალაკტიონს კი იმდენად შეეჩვია თბილისი აღარავის უკვირდა მისი გამოჩენა, ყველანი ცნობდნენ, ყველამ იცოდა მისი სახელი, რაც ძალაუნებურად, არღვევდა საზღვრებს ჩვეულებრივსა და არაჩვეულებრივს, ყოველდღიურსა და მარადიულს შორის... ჩვენ არ განგვიცდია მისი წარმოდგენის ტანჯვა და სიამე, მაგრამ ჩემ თაობას, ეტყობა, ბედად ეწერა უფრო დიდი შთაბეჭდილების განცდა, ვიდრე ღმერთის წარმოდგენაა. მან ღმერთის სიკვდილი იხილა. ის დღეები, როცა გალაკტიონი მწერალთა კავშირში ესვენა, საზეიმო უფრო იყო ვიდრე სამგლოვიარო...“( ო.ჭილაძე 2003 : 11.)

განდეგილივით მარტომყოფი თავის თავში ინახავდა და ხარშავდა ათას  დარდსა და ფიქრს. ზპგჯერ კი მწუხარე გალაკტიონის წამალი იყო ღვინო. მართალია, ღვინოს არც ის შეუძლია გაიგოს ან ბოლომდე დაავიწყოს, როგორ „ევნო და ეწამა გალაკტიონი“, თუმცა ის მაინც არის თავისი განუყოფელი ნაწილი როგორც რეალურ ცხოვრებაში, ასევე პოეზიაში და ძირითადად, ეს სასმელი გვევლინება სიმბოლოს სახით. ზოგადად, ღვინო ქრისტეს სისხლს განასახიერებს, როგორც სულისა და ხორცის მაკურნებელი, მაგრამ გალაკტიონთან მხოლოდ ამ გააზრებით არ გვხვდება. ღვინო თრობის სიმბოლოა. გალაკტიონის ბახუსისმოყვარულობა საქვეყნოდ ცნობილი ამბავია. ის მთვრალი იყო ყველგან, მას ეს სჭირდებოდა, რათა ნაკლებად ეგრძნო ტკივილი, სევდა; დროებით მაინც გაქცეოდა უბედურებას, სირთულეებს. „ელეგიაში“ ამის შესახებ ღიად აღნიშნავს:

„დამათრობელი - როგორც ჩემი მოგონებები,
წინ მიდგას ღვინო, ლალისფერი და ძველი ღვინო...
ვსვამ განუწყვეტლად, ვსვამ რომ დავთვრე მოგონებით,
რომ მეც საზარლად ვიქვითინო და ვიქვითინო“.

ღვინით ახერხებდა ის მეტაფიზიკურ სამყაროში მოგზაურობას, ოცნებათა ველში ფრენას. ის მისტირის კიდეც მას: „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“, რომელიც „ტანჯვის ლირიკით“ არის შედუღებული. ყურადსაღებია ეპითეტი ცისფერი, რომელიც ზეცის ფერს განასახიერებს. ლეგიტიმურია, ვიფიქროთ, რომ არაამქვეყნიური გალაკტიონი არა მიწიერი ღვინით, არამედ ციური ღვინით არის მთვრალი. ეს ისევ და ისევ მეტყველებს „პატარა ბავშვის“  განცდათა სიმძიმეზე, პალიტრაზე და ზოგადად მის პიროვნულ უნიკალურობაზე. ღვინო პოეზიაში პოეტური ტკბობის გამოხატულებაც არის.

მიუხედავად ყველაფრისა, გალაკტიონმა იცის, რომ თრობა პრობლემებს ვერ მოუგვარებს, ღვინო არ არის თავდები ცხოვრებისეული უღელისა თუ პრაქტიკული ტვირთებისათვის:

„არც ვალებს უხდის და არც უდგება
მევალეებთან ვინმეს თავდებად“.

ბოლოს კი დაგროვილმა პათეტიკურმა ემოციებმა, მის მიმართ, უმტყუნა და გადაადგმევინა საბედისწერო ნაბიჯი. ექვს სააათს ათი წუთი აკლდა, როცა პოეზიის

მეფემ საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა... „ცამეტი ტყვიით, ცამეტ თვითმკვლელობაზე მეოცნებემ, ზუსტად ცამეტი მეტრი იფრინა(https://www.radiotavisupleba.ge/a/galaktionis-bolo-nakvalevi/26911371.html).

ასე გადავიდა ქართული პოეზიის მეფე მარადისობაში:

„ რომ აჩრდილნო მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,

რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკდები,

რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!“

გალაკტიონის შემდეგ ქართულ მწერლობას დარჩა გალაკტიონის მწარე გაკვეთილი: პოეზია უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს! ჭეშმარიტმა პოეტმა უნდა დაივიწყოს მიწიერი ინტერესები და არასდროს არ უნდა გამოეთიშოს შთაგონების წამებს. ვინც პირადად იცნობდა დამეთანხმება: ამ თვალსაზრისით - გალაკტიონი ყველაზე მეტად „შეწირული“ ლირიკოსია( ჯავახაძე, 1988 : 488-489).

რთულია, ამომწურავად ისაუბრო გალაკტიონის სულიერ მაარტობასა და მიუსაფრობაზე, მოიყვანს და დაიმოწმებს ბევრ მაგალითს მისი ლირიკიდან ,თუმცა ვერავინ შეძლებს გადმოსცეს ის შინაგანი მდგომარეობა, რაზეც თვითონ პოეტი საუბრობს იოსებ გრიშაშვილისადმი გაგზავნილ წერილში:

„ ...იცი, საყვარელო სოსო, ამ ბოლო დროს რაღაც უჩინარი სენი მეპარება, საშინელი სენი მარტოობისა, ესეც ხომ თავისებური ავადმყოფობაა! და, ვით სიკვდილით დასასჯელი სახრჩობელიას წინ,თვალით ვეძებ მონათესავე სულს.... საშინელებაა!

აშკარადა ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემ მარტოობას, ჩემს არარაობას... მე დღეს შესაძლებელია, ორასი ადამიანი ვნახო და დაველაპარაკო, შეიძლება გულიც გადავუხსნა კიდეც წუთის გავლენის ქვეშ... და მაინც ...მარტო ვარ, მარტო...

რა გაეწყობა....

მარტო ვარ, მარტო...

(https://hiin.facebook.com/528998700446172/posts/2890638554282163/)“

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში უხვადაა ელეგიური ხასიათის ლექსები, რომლებშიც წარმოჩენილია პოეტისავე სულიერ მდგომარეობას. ელეგიურობა ნეორომანტიზმისთვის დამახასიათებელი მოვლენაა და „პოეზიის

მეფე“ ამითაც ენეთესავება ამ საინტერესო ლიტერატურულ მეთოდს. მწუხარება წუთისოფლის მიმართ, უიმედობა, ტირილი ყოველივე ამაოების გამო, მარტოსულობა, ტკივილი, განცდა სიყვარულისა და თუნდაც სამშობლოს და გარშემომმყოფების გამო არის ის ფენომენები, რომლებიც გალაკტიონს ათრობდა და აწერინებდა ლექსებს. ამიტომაც იყო თრობა და წერა მისთვის ერთი და იგივე. ელეგიური განწყობის ღრმად დანახვისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი სახე-სიმბოლოების კარგად ცოდნა, რაც მიიღწევა სხვა ლექსებში ჩაქსოვილი კონტექსტებით და იდეებით. ეს კიდევ ერთხელ მაფიქრებს, რომ გალაკტიონის შემოქმედება არა ცალკეული ლექსებისაგან შედგება, არამედ ყველა ლექსი ერთმანეთის გაგრძელებაა. ხელწერა ყველგან ერთნაირია, რადგან მწუხარება აწერინებდა გალაკტიონს. ელეგია ძვერ საბერძნეთში დაბადებული სამგლოვიარო სიმღერაა, რომლებსაც დაღუპული გმირების მიმართ ასრულებდნენ და თემატურად გამოხატავდა ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებას. გამომდინარე აქედან, ელეგია თავდაპირველად ეპიკური ხასიათისა იყო, შემდეგ კი ლირიკაში გადაიზარდა, თუმცა ეს სახეცვლილება ლოგიკური და დიფუზიურია, ვინაიდან პირდაპირ კაშირშია ადამიანის სულიერ მდგომარეობასთან, წუხილთან, უიმედო განწყობილებასთან. აქედან გამომდინარე, ელეგიაში შეიძლება წარმოგვიდგეს სატრფიალო, ფილოსოფიური, პატრიოტული, ნიჰილისტურ-პესიმისტური და სარაინდო იდეები. ელეგიის სახეს და ერთგვარ განმარტებას თავად გალაკტიონი გვთავაზობს თავის ერთ-ერთ ლექსში, რომლის მიხედვითაც, ელეგია არის შავით შემოსილი, მწუხარება: „შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია“, „მაგრამ მწუხარებას ნუღარ ედარები“.

გალაკტიონის შემოქმედებაში ყველა ზემოთ დასახელებულიი თემა გვხვდება როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლივადაც. ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ცხოვრებაში ყველაფერი უერთიერთკავშირშია, კოსმოსურია, ჯაჭვისებურია. პოეტის განცდები, სევდა, წუთისოფლის მიმართ ამაოების განცდა, უიმედობა შეგვიძლია ამოვიკითხოთ სტრიქონებში (მხატვრული ხერხებით) და სტრიქონებს შორისაც.

ელეგიური ხასიათისაა ლექსი სახელწოდებით „ელეგია“. სათაურშივე დევს პოეტური ქმნილების იდეა, მიზანი. მთელი ლექსი სავსეა რიტორიკული კითხვებით, შეძახილებით, სადაც ერთგვარი მკაცრი, უკმაყოფილო დამოკიდებულება იგრძნობა თავისსავე ბედის მიმაართ. მაგალითად,

„დროო ბოროტო, სად დამარხე ოცნება წყნარი?!“ - უბედურებისაგან გათანგული პოეტი ემდურება ჟამთასხვლას, ცხოვრების მძიმე მდინარებას, რომელმაც გალაკტიონს წყნარი ოცნება დაუმარხა, სხვა სიტყვებით რომ ვთვათ, აღარ დაუტოვა ოცნებისთვის დრო, პრაგმატულმა ყოფამ ყოველგვარი მეტაფიზიკურ სამყაროში ტკბობის იდეა მოსპო. სხვა ლექსშიც გამოთქვამს წუხილს ამის შესახებ: „გაქრა გიჟი ოცნება“. რა იყო პოეტის ოცნებათა ველი? ამ კითხვაზე პასუხი მის რამდენიმე ლექსშია მიმოფანტული. გალაკტიონის ოცნებად შეიძლება მივიჩნიოთ, საყვარელი ადამიანით ტკბობა („რაც უფრო შორს ხარ: „მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი, ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი, მიუწვდომელი - როგორც ედემი“); თავისუფალ სამყაროში მეფური განცხრომა, ამაღლების ესთეტიკურობით არსებობა („ოცნება კლდეზე“)...

„მარქვი, ოჰ, გველო, რად დაგჭირდა, რომ მოგეწამლა ყვავილოვანი სიყმაწვილე და ჩემი ქნარი?“ - გველის სიმბოლო აქ მარტივია და გასაგები - ის, რაც ყველაფერს შხამავს, სპობს, კლავს დიდი ტკივილით და თან უდროოდ. ასე უდროოდ მოკლა სინამდვილემ გალაკტიონის სიყმაწვილე. ქნარში, ჩემი აზრით, ისეთი ლექსების სიმფონიებს გულისხმობს, რომელიც მიმართული იქნებოდა მარტივი ცხოვრებით ტკბობაზე, თუმცა არაპრაგმატული გალაკტიონისთვის ვერ მოიძებნა სამყაროში ისეთი სივრცე, სადაც შეძლებდა ის ნეტარებით არსებობას - ეს იყო მისი ბედისწერა, რაც საკუთარი ხელით დაიწერა, რომელიც მოსწონდა და არ მოსწონდა. რასაც  გველის ნაკბენით უდროოდ ჩამკვდარ სუფთა ცხორებაში რეინკარნაცია შეეძლო იყო მეეტლე, ცხენები ან/და ღვინო . განტვირთვის ეს იდეა იკითხება ლექსებში, მათ შორის, ასეთებია „გურიის მთებს“, „ღვინოს დააბრალებენ“.

პოეტის ელეგიური განწყობა პატრიოტული სულისკვეთებითაც იყო გამოწვეული. ამის საუკეთესო მაგალითია გალაკტიონის „ეს არ არის საქართველო“. ლექსი არ არის მდიდარი მხატვრული ხერხებით, არც ლექსიკური ერთეულებით, მაგრამ მაინც მძაფრად იგრძნობა პოეტის გულწრფელი ტკივილი სამშობლოს მდგომარეობის მიმართ:

„რაა მასზე გულსაწყვეტი,
მედეხო და დიღმის ველო

მიდიოდე და ფიქრობდე:

ეს არ არის საქართველო“

გალაკტიონის ელეგიური განწყობის ლექსებში სიყვარულით გამოწვეულ ტკივილიც გვხვდება. ასეთია „მერი“, რომელშიც სევდა იგრძნობა როგორც მათ შინაარსში, ასევე, ფორმაში. თხრობა ნელია, მძიმე, მძაფრ ემოციებზე დაყრდნობილი. გამოყენებულია მაღალმხატვრული ხერხები, სტრიქონებში იგრძნობა უდიდესი სევდა, გაუბედურებული ადამიანის ფიქრები, ქვითინი, ცეცხლის ალში წვა:

„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიანი ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!

ლექსში ყველაზე მრავლისმეტყველი მხატვრული სახეა ტაძრის გუმბათი, რომელიც იწვის. ჩემი აზრით, ეს მწუხარების უდიდესი გამოხატულებაა, როცა ადამიანში არსებული განცდა, გრძნობა იმდენად მძაფრი და გულწრფელია, რომ სხეულდება - შინაგანი წვა გადადის სხვა საგნებზე, გარემოზე, ბუნებაზე. ამ მდგომარეობას არ შველის ლოცვა, ისევე როგორც არ უნკურნება საუკუნო ტკივილით დაბადებული ადამიანის სული. ბოლოს სრულდება მეფე ლირთან შედარებით. აქ გალაკტიონი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მიტოვებულია:

„ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყდებოდნენ, როგორც მწყებოდა გული
და მე ავტირდი - ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული“.

ამრიგად, მარტოსულობა, პიროვნული იდეალები და თავისუფლება არის უპირველესი მის პირველი პერიოდის ლირიკაში და თითოეული მათგანი ბოლომდე გაჰყვა პოეტის შემოქმედებას. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენი განხილვის საგანი გალაკტიონის მარტოსულობის სულთამხუთავი განცდაა, რომელიც თან გასდევს პირველი პერიოდის ლირიკას.

# თავი III

## ღამისა  და მთვარის მისტიკა

## გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში

გალაკტიონის შემოქმედების უმთავრესი შესასვლელი კარი არის მეტაფორული აზროვნება. გალაკტიონის სიმბოლოების უმეტესობა დაკავშირებულია მსოფლმხედველობასთან. პოეტის უმთავრესი სათქმელი სახე-სიმბოლოთა საგანგებო გაშიფრვა-გაცნობიერების გარეშე ვერ გაიგება.

მხატვრული ტექსტის კვლევის პროცესში სახე-სიმბოლოების დეკოდირება უმნიშვნელოვანესია ავტორის ოსტატობის შეფასების გზაზე, რადგან სახეობრიობა ლიტერატურული ნაწარმოების უმთავრესი ღირსება და მახასიათებელია. სახისმეტყველება ითვლება ტექსტის ღირებულების საზომად. არცერთ პოეტთან არ ჰქონია მხატვრულ სახეს ისეთი ღრმა დატვირთვა როგორც ეს ჰქონდა გალაკტიონთან, მისი შემოქმედება გამოირჩევა ჯადოქრული ოსტატობით შექმნილი მხატვრული სახეებით, რომელთაც ღრმა სიმბოლური დატვირთვა აქვს.

პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ღამისა და მთვარის სიმბოლიკას, ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია შევეცადოთ გავშიფროთ ეს სიმბოლური სახეები, რათა კიდევ ერთხელ გავიაზროთ, რამდენად მდიდარია გალაკტიონის ლირიკული ფანტაზიები.

სწორედ ეს სიმბოლოები ქმნის გალაკტიონის პოეტურ ფენომენს. გალაკტიონმა საკუთარი ხელით დაიწერა ბედისწერა. ის თვლიდა, რომ არ არსებობს ადამიანი, რომელიც გაუგებდა და მეგობრის სტატუსს დაიმსახურებდა, რადგან მისი გაგება მხოლოდ ღამეს და შესაბამისად, მთვარეს შეეძლო („მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ, იცის ჩემი საიდუმლო...“). ამ პათოსს ავითარებს თავის ცნობილ ლექსში „მე და ღამე“. ლექსი ბევრისთვის ნაცნობია და მრავალგზის გადაკითხული, მაგრამ არსად ისეთი სიხშირით არ არის ნახსენები „საიდუმლო“, როგორც ამ კონკრეტულ ტექსტში. ეს ლექსემა და იდეა გამოუცნობლობისა იკითხება როგორც სტრიქონებში ასევე, სტრიქონებს შორის. ყოველივე ეს გალაკტიონის მძიმე, მწუხარე, ნაღვლიან, ტრაგიკულ, აბსოლუტურად უნიკალურ ხასიათზე მიუნიშნებს. კონსტანტინე გამსახურდია სამართლიანად შენიშნავს: „ძლიერს უფრო უჭირს ამ ქვეყნად“ და ეს სიტყვა ისე არავის ერგება, როგორც გალაკტიონს. თავისი

ეგზისტენციალური გასაჭირი მარტივად იკითხება თავის შემოქმედებაში, განსაკუთრებით, ელეგიური ხასიათის ლექსებში. დავუბრუნდეთ ბოლოს ხსენებულ ლექსს, რომელშიც ვკითხულობთ:

„დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.
რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული“

ღამე გალაკტიონისთვის უდიდესი მესაიდუმლეა, ერთადერთი მეგობარი („ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე“). მაშინ, როცა ყველას სძინავს, სიწყნარეა და ცის ქვეშეთში ნაკლებ ხდება მანკიერება, რომელიც გალაკტიონს ასე უხუთავდა სულს, ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო ყველა კარი გაეღო და გალაკტიონის სიღრმეებში ჩაეხედა, არის მთვარე, ღამის გუშაგი. ამ პერიოდში, განმარტოების ხანაში, არის გალაკტიონი უხვ გრძნობებით დატვირთული („... ისე სავსე უხვრ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული“). ღამისფერი ცა არის გალას ცნობიერისა და ქვეცნობიერის ანარეკლი, გულისა და სულის სარკე („ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი, ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი“).

თუმცა მთვარე მხოლოდ ბუმბერაზი პოეტის სულის ანარეკლი არ არის. თავის სხვა შემოქმედებით ნიმუშში, „მთაწმინდის მთვარე“, გვთავაზობს ახალ სახეებს. ლექსი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ გალაკტიონის სულიერ ნათესავებს ვხვდებით აკაკისა და ბარათაშვილის სახით. ეს პირდაპირ კავშირშია გალაკტიონის ხასიათთან, რადგან ის ნუგეშს, თავის ადგილს, სარეალიზაციო ველს ეძებს მეტაფიზიკურ სამყაროში, იმიერში მყოფ ადამიანებთან. ამით კიდევ უფრო ნათელი გახდება პოეტის შინაგანი მდგომარეობა და მეტწილად ჩაგვახედებს ელეგიური ხასიათის ლექსების შრეებში.

მთვარე ერთგვარი სარკეა გალას მიერ აღიარებული პოეტების სავანეებისა, სამყოფელისა: „აქ ჩემს ახლო მოხუცის (აკაკის) ლანდს სძინავს მეფურ ძილით“, „ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული“. მთაწმინდა სევდიანი სასაფლაოების ადგილია, სადაც დაივანეს სიმღერებში ტბის სევდიანი გედის მსგავსად მკვდარმა პოეტებმა. „დიდი ბავშვის“ ტრაგიზმი, სევდა, ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების განცდა სწორედ იმან დაბადა, რომ ის ვერ პოულობს გულის სწორ ადამიანს ფიზიკურ

სამყაროში და მას უწევს იცხოვროს მეტაფიზიკურში მყოფ პირებთან. როდის? მხოლოდ მაშინ, როცა ცა თვალებს დახუჭავს, ადამიანების ხმა ნაკლებად ისმის, ნაკლებ ხდება ბოროტება, ჰაერი იწმინდება, მაშინ როცა ფართო ველია გალაკტიონსითვის ფრთების გასაშლელად, კოსმიურ ძალებთან საურთიერთოდ და ეს მხოლოდ ხდება მწუხრისას, ან შუა ღამისას. სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტულ ლექსშიც უსვამს ხაზს გალაკტიონი იმას, რომ მხოლოდ ღამეს შეეძლო მისი მეგობრობა: „ღამემ სულში როგორ ჩაიხედა“.

როგორც ვნახეთ, ღამე და მთვარე გალაკტიონისთვის სინონიმებია, მისი თანამგრძნობი კოსმიური ძალები, სიწმინდის, ფიქრის, განმარტოების, უმანკოების, თრობის დროების სიმბოლო. პერიოდი, როცა ის მოწყენილი გაუყვება ფიქრთა ველს და აღმოჩნდება მეტაფიზიკურ სივრცეებში, იმიერში მყოფ მეგობრებთან და ის ამის შემდეგ გრძნობს, როგორ ისხამს ფრთებს გალას კოსმიური თავისუფლება. მის ლექსებს ახასიათებს სევდიანი, ნელი რიტმულობიდან გადასვლა მძაფრ, ძლიერ, ჟინმორეულ რიტმულობამდე. შინაარსი განაპირობებს ფორმას. რიტმიკა მაღლდება, როცა ის მეტამორფოზას განიცდის, როცა შეიქმნის ისეთ სამყაროს, როგორიც მას სურს. სწორედ ამ დროს არის პოეტი ბედნიერი და საკუთარ იდეაში არსებული, ცოცხალი. ყოველივეეს დროებითია, თუმცა მრავალჯერადი - რამდენჯერაც შეღამდება, რამდენჯერაც მთვარე აირეკლავს მეტეხს, მტკვარს, მთაწმინდას, იმდენჯერ განმარტოვდება მოწყენილი გალაკტიონი და თავისუფლების და მეფური განდიდების მწვერვალზე დადგება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შუაღამის ფენომენი მნიშვნელოვანია და მკითხველს სხვადასხვაგვარი ახსნისკენ უბიძგებს. ღამეს მრავალნაირი გააზრება ეძლევა გალაკტიონის პოეზიაში, ერთი მხრივ, ,,შუაღამე შავზე შავი'', ,,ყრუ ღამისთევები'', ,,ღამე ბნელზე ბნელი'', ,,ღამე უვნებო და ურიჟრაჟო'', ,,უეცრად შემკრთალ შუაღამის მღვრიე მტევანი, ღამე მარტოობის მტევნის დახურული'', ,,ღამის ღამე'', ,,გამწარებული ხმა შუაღამის'', ,,წყეული ღამე'' - სულიერ შეჭივრებასთან არის დაკავშირებული.

ამ მაგალითების პარალელურად, ფიგურირებს ,,ღამის ნათელი, ღამის სიცილი, შუაღამის ჟამთა სიავე'', ,,ღამე-რაღაც მზიანი'', ,,ღამემ სულში ჩაიხედა'', რაც შთაგონებულობას უსვამს ხაზს. ღამე ნათელია, მზიანია შთაგონების ძალით, მუზის მოვლინება ამზიანებს სულის სიბნელეს.

ღამის კულტი რომანტიკოსებმა შექმნეს. ნოვალისის ,,ცისფერი ღამე'' ვარიაციებით მრავალი პოეტის შემოქმედებაში გადავიდა.

ამ თემაზე საუბრისას, ლოგიკურია უპირველესად გალაკტიონის შესანიშნავი ლექსი „მე და ღამე“ გავიხსენოთ. „მე და ღამის ფონი შუაღამეა. ფერადოვნებისგან , ერთი შეხედვით დაცლილი, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი თვალისთვის. მთვარით დაფენილ სხივებში საგნები დღისგან განსხვავებული ფერადოვნებით მოჩანან. თანაც, შუაღამე იხსნება შინაგანი მზერისთვის და თვალები ხედავენ დაუნახავსა და გამოუთქმელს. ლექსში არა რეალური, არამედ სულიერი პეიზაჟები მოსჩანს, არანაკლებ თვალწარმტაცი და მიმზიდველი. თვითონ გალაკტიონი წერდა : „ განა შუაღამეს არ აქვს თავისი განსაკუთრებული სილამაზე. როგორც, მაგალითად, მზის ამოსვლას“ ამ თვალსაზრისით, გალაკტიონს განსაკუთრებით მოსწონდა ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზედ“.

შუაღამე თითქოს ამძაფრებს იმ საიდუმლოს, რომელიც დღის სინათლეზე მტანჯველ კითხვებად გამოიკვეთება : რა არის სიცოცხლე? რა არის სიკვდილი? გალაკტიონისთვის იდუმალება, ყველაზე ძვირფასი რამ იყო, ამიტომაც მის ყოველ ლექსში არის უცნაური, „გაუგებარი“, აუხსნელი სახეები და სიმბოლოები. გალაკტიონი ამის თაობაზე თვითონვე წერდა : „ბევრი მგოსანთაგანი , რომელიც კი არის ღირსი ამ საღვთო სახელის ტარებისა, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ იმით კმაყოფილდება, რომ შეაქვს ლექსში სინათლე, ფერები და მუსიკა, მაგრამ ძალიან ძვირად ღვრის მასში იმ საიდუმლოს წვეთებს, რომელებიც ასე უხვადაა დაფრქვეული ბარათაშვილის ლექსებში“.

ამ თვალსაზრისით გალაკტიონი, ერთი მხრივ ხვდება ბარათაშვილს (რომანტიზმი), რომელმაც საიდუმლოს მისტიურ ფენომენს სულიერი ტკივილების გამოსახატად მიმართა, მეორე მხრივ, სიმბოლისტებს, რომელთაც მთელი სამყარო სიმბოლოებში დაშიფრულ საიდუმლოდ გამოაცხადეს.

„მე და ღამის“ ერთი შეხედვით რეალისტური სახეები, თანდათან რომანტიკული განწყობილებით იბურება და ჩნდებიან სიმბოლოები. ყველაზე დიდი საიდუმლო თვითონ შუაღამეა წუთისოფლის სიმბოლო), რომელიც გაჟღენთილია მზის მოსვლის (ღვთის მოლოდინის) რწმენით.

შუაღამე, სიმბოლურად, პოეტის საკუთარი სულიცაა, რომლის ბნელ კუნჭულებსაც გულდასმით მიმოიხილავს. შუაღამის ფენომენი, საერთოდ, მრავალმნიშვნელოვანია და მკითხველს სხვადასხვაგვარი ახსნისაკენ უბიძგებს.

დანიელი ფილოსოფოსის, სიორინ კირკეგორის ნათქვამი რომ გავიხსენოთ, „ მოვა შუაღამე, როცა ყველამ თავისი ნიღაბი უნდა მოიხსნას“ გალაკტიონიც „ მე და ღამეში „თითქოს ნიღაბს იხსნის და საკუთარ თავს წარუდგება შიშველი და ნამდვილი სახით. თუმცა, მტანჯველია საკუთარი სულის „ბნელ კუნჭულებში“ შეხედვა, მაგრამ ეს ერთგვარად გამწმენდი და ამამაღლებელია (გალაკტიონ ტაბიძე, მ.ჯალიაშვილი , 2015 :162-163)“.

,,მე და ღამის'' შუაღამე გრძნებით იწვის, შთაგონებული პოეტი ამ დროს ქმნის თავის განუმეორებელ სტრიქონებს და ეს აწმყო დრო, განსაკუთრებულად ექსპრესიულს ხდის მეტყველებას. ლექსი ყველაზე კარგად გამოხატავს პოეტის მარტოსულობასა და სულიერ ობლობას. გალაკტიონი მხატვრული სახეების კონტექსტში წარმოაჩენს თუ რას განიცდის, როგორ იტანჯება, როგორი მიუსაფარია. ეს მიუსაფრობა განსაკუთრებით შუაღამის ფონზე გამოიკვეთება. საოცარია მარტოსულობის შეგრძნება , მთელი სამყარო ცარიელდება თითქოს და რჩებიან ორნი, პოეტი და ღამე.

,,ეხლა როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის დნება,

სიო სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება''.

პოეტი მეტაფორით წარმოაჩენს გარემოს-,,შუაღამე იწვის, დნება''. შუაღამე , საზოგადოდ დიდი საიდუმლოს გამხელის ჟამია. პოეტს ფიქრებისაგან ვერ დაუღწევია თავი, მოსვენება დაუკარგავს, ვერ იძინებს. მას ადამიანებისგან გარიყულს ბუნება ეგულება ნუგეშად: სიო უამბობს ველთა ზღაპარს. პოეტს ესმის ბუნების ენა. მას ბუნებაც თანაუგრძნობს, ემეგობრება.

ლექსში მთვარე იდუმალების ბურუსით მოსავს ირგვლივ ყოველივეს. მისი შუქი საბანივით ეფინება მიწას. ეს საბანი ვერცხლისფერია. იდუმალების განცდას ამძაფრებს იასამნის სურნელი. ყველაფერი ხელს უწყობს იმას, რომ პოეტმა ყოფის ჩვეულებრივ მდინარებას თავი დააღწიოს და ჩაღრმავდეს საკუთარ თავში. ლექსში მეტაფორითა და შედარებებით არის წარმოჩენილი სათქმელი:

,, ცა მტრედისფერ , ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,

ისე არის სავსე გრძნობით, ვით რითმებით ეს წერილი.

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,

ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული''

პოეტი ერთმანეთთან აკავშირებს თავის ლექსსა და ზეცას. ეს კავშირი პოეტის გულსა და ზეცას შორის იდუმალია, ამიტომაც არის ირგვლივ ყოველივე საიდუმლო შუქით დაფარული , შესუდრული.

გალაკტიონის ,, მე და ღამის'' ფიქრის ნაკადი სულის სიღრმეში მიედინება, იმ საიდუმლოსკენ, რომელსაც პოეტი ვერავის გაუმხელს. ამ საიდუმლოს სიმბოლოებით, პოეტური სახეებით საკუთარ პოეზიაში აქსოვს.

,,მხოლოდ ღამემ უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,

იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა მთვარემ''.

იცის-როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,

ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე''

ამ სტრიქონებიდან ვიგებთ, რომ თითქოს ცარიელდება მთელი სამყარო და ერთმანეთის პირისპირ რჩება პოეტი და ღამე, იდუმალებით სავსე ორი სამყარო, ერთმანეთში რომ ირეკლებიან. გალაკტიონის შუაღამე სულიერი აქტივობის, თავბრუდამხვევი სულიერი მოძრაობის, შემოქმედებისა და აღმაფრენის დროა. ამ დროს ყველაზე მძაფრად შეიგრძნობს პოეტო მარტოობის სიტკბოებასა და სიმწარეს. საიდუმლოსთან მარტო დარჩენილი გალაკტიონიც მთლიანად ეძლევა შემოქმედებას.

მიუხედავად ღამის ამგვარი თაყვანისცემისა, გალაკტიონისთვის უპირველესი საკუთარი ,,მეა''. სწორედ ამ ,,მედან'' იბადება ეს პოეტური ღამე, რომელიც პოეტს ოცნების მხარეში გაიტაცებს. დილით კი ფრთებს დაკეცავს და დღის ამაოებაში ჩაიკარგება. ხსოვნა კი ამ ღამის იმარხება პოეტის სულის ,,ბნელ კუნჭულებში''. მერე კი ისევ, როდესაც შუაღამე კვლავ ,,დაიწყება'', ყველაფერი კვლავ ,,გაცოცხლდება'' და სიჩუმეც ამღერდება.

პოეტი ლექსში ახსენებს ,,წვას'' და ,,დნობას'', რაც ანთებული სანთლის ასოციაციას იწვევს. განათებული ღამე ამ შემთხვევაში შეიძლება რწმენის სიმბოლოთაც გავიაზროთ. პოეტის გულში გაჩენილი საიდუმლო კი-ღმერთთან მიახლოების წადილად. სიყვარულითა და რწმენით განათებულ ღამეში პოეტი ბუნებას ერწყმის, ესმის სიოს ენა და ,,ველთა ზღაპრებს'' უგდებს ყურს. მთვარის სხივებით შევერცხლილი არემარე კი ჯადოსნურ ელფერს იძენს, პოეტი კი ამ დროს

შემოქმედებითი ენერგიით ივსება (გალაკტიონ ტაბიძე, მ.ჯალიაშვილი , 2015 :165-166-167)“.

გალაკტიონისთვის მთვარე შემოქმედების წყაროა. მუზებიც თითქოს მთვარიდან ეახლებიან, ამიტომაც არის, რომ როგორც ცა არის დასერილი სხივებით და სავსე გრძნობებით, ასევეა მისი ლექსიც რითმებით გალამაზებული.

მთვარის სახე უფრო მეტ სიღრმესა და იდუმალებას გალაკტიონის შემდეგ დაწერილ ლექსებში შეიძენს. მათ შორის, უპირველესად, ,,მთაწმინდის მთვარეში’’, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია არა მხოლოდ გალაკტიონის შემოქმედებაში, არამედ მთელს ქართულ პოეზიაში. თვითონ პოეტიც ამ ლექსის შესახებ ამბობდა, ,,მთაწმინდის მთვარე’’ ჩემი პროგრამული ლექსიაო და წუხდა სათანადოდ გაანალიზებული არ არის, როგორც ერთ-ერთი გასაღებთაგანი ჩემი პოეზიისაო.

აქვე , უნდა გავიხსენოთ ბარათაშვილის სტრიქონები :

„გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?

მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო-გადახრით შუქმიბინდული!“

მაია ჯალიაშვილის, მოსაზრებით სწორედ ეს პოეტური სახე „ნაზად მოარე, შუქმიბინდული მთვარისა“ გახდა გალაკტიონის ლექსის შთაგონების წყარო.

„ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი

ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...

ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!

მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით

და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით

მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე,

ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!“

1919 წლის კრებულის ლექსების გარემო, უმნიშვნელო გამონაკლისით ,,ღამის’’ ან ,,საღამოს ‘’ ნიშნით არის აღბეჭდილი შემდეგ ლექსებში: ,,ღამე მარტოობის მტევნებით დახურული’’, ,, შემოიღამებს მთის ნაპრალები’’, ,, ღამემ მოვერცხლილ....’’, ,,მყუდრო საღამო და ღამე ბნელი’’, ,,ღამეა, მთვარე და ხეივანი’’, ,,მოველი ღამესა და შენ’’, ,,წარსულმა ღამემ’’, ,,იყო სარამო ლოცვები ზარი’’, ,,ღამე ნათელში’’, ,,შეღამდა’’, ,,მე წავალ’’, ,,გამომაღვიძა ღამის ალმა’’ და სხვა მრავალი. მაგრამ უნდა აღინიშნოს

რომ ,,მთაწმინდის მთვარის'' ღამე არაჩვეულებრივია, ის გამოცხადების ღამეა, მოლოდინით სავსე, როგორც სხვაგან არის ნათქვამი, ისიც ღამით:

,, მე რაღაც იდუმალ მოლოდინს ვუნდები.....
ირგვლივ ზვირთებია
და გემი ,,დალანდი'' რომლითაც ვბრუნდები''.

პოეტი ლექსში ესაუბრება საკუთარ თავს, სამყაროს და თითქოს მისი სული დროსა და სივრცეში იშლება. აწმყო, წარსული და მომავალი ერთ მთლიანობად იკრება მისთვის, რომ მარადისობამ პოეტის აღსარება მოისმინოს.

,,მთაწმინდის მთვარის'' მთავარი სათქმელიც ესაა: პოეზიით სიკვდილის დაძლევა. სწორედ ამიტომ ირჩევს ფონად სასაფლაოს, სადაც უნდა შეიგრძნოს პოეტმა სიკვდილის რეალობა და სიცოცხლის წარმავლობა. ხელოვნებისა და სიკვდილის დამოკიდებულების თვალსაზრისით საყურადღებოა პოეტის 1919 წელს გამოცემული გალაკტიონის ლექსების კრებულის სახელწოდება ,,თავის ქალა არტისტული ყვავილებით'', რომელსაც თვითონ პოეტი ასე განმარტავდა: თავის ქალა-სიკვდილი, არტისტული ყვავილები-ხელოვნება, სიკვდილი და ხელოვნება.

,,მთაწმინდის მთვარე'' წარმოგვიდგება, როგორც ერთი ,,არტისტული ყვავილი''(ხელოვნება), რომლის საშუალებითაც პოეტი სძლევს სიკვდილს, ამიტომაც მთავრდება ლექსი სიკვდილთან შეგუებისა და მასთან შერიგების სურათით. სიკვდილი ამ ლექსში გაიაზრება არა როგორც დასასრული, არამედ მარადისობაში გადასადვლელი ხიდი თუ კარი:

,,რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენგან ჩემი ქნარი''

პოეტმა ამ ლექსით დაისახა სიკვდილის, სიცოცხლის ყველაზე დიდი მტრის, ყველაზე დიდი შიშის დაძლევა პოეზიით, ოცნებათა ლურჯი იალქნის გაშლით, რომანტიკული აღმაფრენით, ლურჯი ცის ტრფობითა და მისკენ დაუსრულებელი მისწრაფებით.

ამ ლექსში მთვარე უმანკოა, წყნარია, ნაზია, მდუმარებით შემოსილი ,,შეღამების ქნარია''. ლექსში მთვარე ირგვლივ ყოველივეს იდუმალების ბურუსში ხვევს, ,,მსუბუქ სიზმრად აქცევს''. სწორედ მთვარეს ,,გაჰყავს'' პოეტი რეალობის განზომილებიდან პოეტურ სივრცეში და იწვევს ჯერ არ განცდილის შესაცნობად.

გალაკტიონი დღიურებში განმარტავს რატომ მთვარე და არა მზე, იმიტომ რომ მთვარე ვაჟურობის საწყისია და მზე ქალურობისო. მთვარე ასტრალური თვალსაზრისით დედამიწის სიცოცხლის მიმნიჭებელი და გამაძლიერებელია. თავისი ავსებისას სიყვარულის ძალების აღმავლობასაც იწვევს. ,,მთაწმინდის მთვარის'' ლირიკული გმირიც შინაგანი ძალების ერთგვარ მოზღვავებას გრძნობს, იგი ივსება სიყვარულითა და ეუფლება ყოველივეს ძლევისა და გადალახვის წყურვილი. მისთვის ამ დროს სიკვდილის გზაც კი ვარდისფერია და მზადაა არყოფნას შეურიგდეს. მისი სიზმარი ამ მთვარიან ღამეს თითქოს ფრთებს ისხამს და ლურჯ იალქნებს შლის ცხოვრების ბობოქარი ტალღების გადასალახად (გალაკტიონ ტაბიძე, მ.ჯალიაშვილი , 2015 : 64-65)".

გალაკტიონთან მთვარე ,,ზამბახია'', რომელიც ამძაფრებს მისი იდუმალების განცდას, სიმბოლურად ზამბახისფერიც იდუმალებაზე მიანიშნებს. ამ ლექსიდან ჩანს რომ პოეტისთვის სიცოცხლე ღირს მხოლოდ შემოქმედებისთვის, მხოლოდ პოეზიისთვის. ამიტომაც არის, რომ მისი მთავარი საფიქრალი და მიზანი ისაა, როგორმე სიტყვებით გამოთქვას, თუ ,,სულში ღამემ როგორ ჩაიხედა''. ლექსში ნახსენები მტკვარი და მეტეხი ემსგავსება მსუბუქ სიზმარს დაჩნდება წარმოსახული გზა სხვა სამყაროსკენ. ამ გზას მთვარის შუქი ანათებს და პოეტს თითქოს გზას ულოცავს და ამხნევებს ,,ვარდისფერ გზაზე'' სასიარულოდ. ამ გზას არყოფნისკენ კი არა, არამედ მარადისობისკენ, ,,მზიანი ღამისკენ '' მიჰყავს პოეტი. ამ ღამეს პოეტი თითქოს განიწმინდება სწორედ იმისთვის, რომ ღმერთს შეხვდეს.

ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიური საკითხების გააზრებით გალაკტიონ ტაბიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფური ლირიკის გამგრძელებელია. წინაპრის მსგავსად არც ის ემორჩილება უნუგეშო ხვედრს, რომელიც მას ცხოვრების სინამდვილემ არგუნა. ,,განახლდა გული'' ,,სულო ბოროტოს'' შორეული ექოა. ,,წყეული ღამის შავი ბურუსი '' იგივე ,,ბოროტი სულია'', რომელსაც პოეტი აუმხედრდა:

,,წამების ცეცხლში განახლდა გული,
ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე.
გზა დამიცალე შავო ბურუსო,
წყეულო ღამევ , გზა დამიცალე!''.

საინტერესოდაა გააზრებული ღამის პოეტური სიმბოლო ლექსში ,,აღარ არის მენესტრელი'', სადაც ღამე გვევლინება საღვთო მისტერიებისა და სულიერი შემეცნების სფეროდ.

,, ეს ოცნება არის ჭრელი, ფიქრი ბნელი ღამისა,

აღარ არის მენესტრელი უნაზესი ღამისა''.

მწუხარებით განმსჭვალული პოეტი მიისწრაფვის მთვარიანი ღამისაკენ, რათა სავსებით გადავიდეს ოცნებაში იგი ქმნის მთვარისა და ღამის პოეზიას , ნაღველი რომელმაც შეიპყრო მღელვარე სული, გაუგებარი იყო მეგობრებისთვის, მხოლოდ ღამემ იცოდა მისი საიდუმლოება :

„რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,

ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული...“

ეს სიტყვები ამოზრდილი იყო პოეტის გულიდან ისევე, როგორც ყვავილი და ბალახი -ნიადაგიდან. ამ სტრიქონებში მოისმოდა უიმედო სევდაში გადასული რომანტიკოსის გულისცემა დ ა ნერვების ცახცახი. საღამო, ღამე, შუაღამე პოეტისთვის იყო ჟამი მიმწუხრისა.

გალაკტიონისთვის ღამე არა მარტო „სულის“ მესაიდუმლე , დამშვიდების წყაროა, მსგავსად რომანტიკოსი პოეტებისა, არამედ შემოქმედების პირობაცაა.

რომანტიკოსთა წარმოდგენით ღამე გარემოს ფარავს ადამიანისგან, აიძულებს ადამიანს რომ ჩაუკვირდეს საკუთარ თავს, რაც შეძლება ღრმად. ამ შემთხევაში საკუთარი თავის შეგრძნება და სიბნელის განცდა ერწყმიან ერთმანეთს. გ. ტაბიძე გვიხატავს თავის შეშფოთებული სულის მდგომარეობას ღამით. შუაღამეა , ყველგან სიჩუმე მეფობს, მაგრამ მას გაუკრთა ძილი, ვერ მოისვენა, დაღლილი გადის ბინიდან და ხეტიალობს, სიჩუმეში მარტოოდენ ნიავი მოძრაობს და არხევს ცაცხვის ფოთლებს, რომელთაც ზემოდან მთვარის ნათელი დაჰყურებს. პოეტი ეკითხება საკუთარ თავს :

„რას ვეძებ ნეტა ამ ხეტიალში?

ბედნიერებას? ოჰ, არა, არა!

სიყვარულს? - განა ამ სიყვარულმა

მე ოცნება არ დამისამარა? -

მე საფლავს ვეძებ, რომ დამიამოს

და დამავიწყოს გულის ღრმა წყლული“ („განწირულება“)

საინტერესოდ არის გააზრებული ღამის პოეტური სიმბოლო, ნოვალისის რომანტიკულ შემოქმედებაში, ამ მხრივ გალაკტიონსა და ნოვალისის შორის უდიდესი მსგავსებაა, მათ შემოქმედებაში ღამე გვევლინება საღვთო მისტერიებისა და სულიერი შემეცნების სფეროდ. ამასთანავე, როგორც ნოვალისი, ისე გალაკტიონი ღამის პოეტურ სახეს უკავშირებენ სიკვდილის, სიზმრისა (ოცნების) და სატრფოს პოეტურ კონცეპტებსა და სახეებს: სიკვდილისა და სიზმრის  პოეტური სახეები როგორც ნოვალისთან, ისე გალაკტიონთან არის ახალი  საღვთო ეგზისტენციისაკენ მიმართული ტრანსცენდირების შუალედური, გარდამავალი საფეხური, რომლის გავლის შემდგომაც ხორციელდება ლირიკული გმირის სულიერი სრულქმნა და ღვთაებრივ ყოფიერებაში დამკვიდრება.

ნოვალისი: „და მე ვესწრაფვი იქით, შორეთში, წმინდა, უთქმელ, იდუმალ ღამეს. კეთილშობილი ბალზამი იღვრება შენს  ყაყაჩოთა თაიგულიდან. დამაშვრალ სულს ეზიდები ზეცად. ენითუთქმელი და მიუწვდომელია კაცთა გონებისათვის სულის ჩვენის აღტაცება. და ჰა, ლურჯი შორეთიდან ეშვება სანატრელი მწუხრის საბურველი. სალხენად ჩემდა გაფანტა ნათელი დღისა - ბორკილი სულისა. გაქრა წუთისოფლის დიდებულება, ნაღველი ჩემი განაქარვა ახალმა, ენითუთქმელმა სამყარომ. ღამემ და ზეცამ მომივლინეს მარადი ძილი. ქვეყანა შენივთდა და ზეცად აფრინდა ჩემი ახლადშობილი და გამოხსნილი სული. ჩემი იდუმალთმეტყველი გული ღამისა და მისი ასულის - სატრფოს ერთგულია"  (ნოვალისი, 2007:  9-10, 18, 23). გალაკტიონი:

„და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები...“

ასეთია გალაკტიონის პოეზია, ბურუსიანი, განუსაზღვრელი. პოეზიის საგანი გალაკტიონთან არ არის სინამდვილე, რომელიც ჩანს, რაც გაცხადებულია. მასთან პოეზიის ამოცანა დაფარულის მინიშნებაა, რომელსაც და ფარულად გვიტოვებს და არ ააშკარავებს. ვახტანგ ჯავახაძისა არ იყოს გალაკტიონი ვეებერთელა ტაძარია, რომლის კარის პოვნაც რთულია, მაგრამ თუ მოხდება სასწაული და ამ კარს ვიპოვით, შიგნით შესულები კვლავ აღმოვჩნდებით ახალი ტაძრის წინაშე, რომელსაც გაცილებით მეტი იდუმალება ექნება.

# თავი IV

## სიკვდილის ფენომენი გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში

„სიკვდილის გზა არრა არის,

ვარდისფერ გზის გარდა“

სიკვდილის ფენომენი გალაკტიონის მთელ შემოქმედებას გასდევს თავიდან ბოლომდე. სიკვდილზე ფიქრს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. თვითონ მთელი ცხოვრება არ ასვენებდა თვითმკვლელობაზე ფიქრი. ეს ჩანს მის ნაწარმოებებშიც და ყველაზე კარგად კი აღწრილი აქვს ვახტანგ ჯავახაძეს თავის შესანიშნავ წიგნში - “უცნობი”, რომელიც გალაკტიონს ეძღვნება. მასში აღწერილია გალაკტიონის ცხოვრების თითოეული ეპოზოდი, რომელშიც მოყვანილია თავად გალაქტიონის ჩანაწერიც, რომლებსაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აკეთებდა. ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერი აქვს ვ. ჯავახაძეს მოყვანილი:

_ “ჩემი ტვინი დაიღალა გამოცანებით, ჩემი სხეული დაიღალა სიცოცხლით, იდეა სიკვდილის, რომელიც განადგურებას ნიშნავს, ჩემთვის ტკბილია. მე მიხარია, რომ ჩემივე საკუთარი ნებით მე შემიძლია შევაჩერო ეს მოუსვენარი გულისცემა, ეს აღელვებული და მხურვალე სისხლი, ეს მტანჯველი ტკივილები ნერვების. მე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ სურვილი არსებობისა აღარა მაქვს, მე ვეღარაფერს ვერ ვხედავ, ჩემი დემონის ცეცხლიან თვალების გარდა”:

“სიკვდილის პირად ოდეს ვიქნები,

მე ჩემს დემონებს ვსთხოვ, რომ დახურონ ყველა წიგნები”.

მან ჯერ კიდევ 1909 წელს 18 წლისამ სცადა პირველად თავის მოკვლა. იგი დედას სწერს: - “თავს მოვიკლავ და ის იქნება, მობეზრებული მაქ მაინც ცხოვრებაო!”. სიჭაბუკეში დაღდასმულმა სულმა ბოლომდე ვერ მოიშორა თანამდევი აჩრდილი მეფისტოფელისა, რომელიც დროდადრო გამოეცხადებოდა ხოლმე და თავს შეახსენებდა:

“მე მსურს დემონი გავდევნო ლოცვით,

ის ჩემთან ერთად ლოცულობს მაინც.”

ორჯერ სცადა პოეტმა თავის მოკვლა, ერთხელ სიჭაბუკეში და მეორედ 1959 წელს, რომელიც გამოუვიდა. ზუსტად ნახევარი საუკუნე სიკვდილს ეთამაშებოდა.

1929 წელს რვეულში ერთ გვერდზე ამღვრეული ხელით დაწერილია დაუმთავრებელი ლექსი - “ცხოვრება პათოსს დაშორებული”:

“რაა ჩემი ცხოვრება?
მარტო გამათხოვრება,
ზოგიერთს კი ჰგონია
. . . . . .
ვიყავ დიდი პოეტი,
ეხლა ვარ «უცხოეთი». შენ ავარა, ავარა,
გულში რამ გაგიარა?
ჰკოცნი ხელებს ვისასა?”

მომდევნო ფურცელზე კი თოთხმეტჯერ, აქა-იქ, იგივე ხელითა და კალმით დასრულებული ორად ორი სიტყვა დაუწერია: ეხლა შემიძლია? ეხლა შემილია! ეხლა შემიძლია... რამდენიმე წლის შემდეგ კი უკიდურესად სასოწარკვეთილი კვნესა აღმოხდა, სინანულისა და საყვედურის მინორი:

“შენი დედაბა, სამშობლოო, მითქვამს ათასჯერ,
არავინ ჩემებრ არ ტანჯულა ცხოვრების მიერ,
აწ ჩემთვის ვეღარ მოიგონებ იმნაირ სასჯელს,
რისგანაც გული გაიტანჯოს ამაზე ძლიერ”.

სიკვდილისა და თვითმკვლელობის დემონი ლექსებშიც ხშირად გაიელვებს ხოლმე:

„მზის სადღეგრძელოს მარადი ჭიქით ვსვამ, მიხარია ცეცხლის კდემანი,
სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით ისევ მეძახის ჩემი დემონი.”

ერთგან წერს:

„ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!”

ერთი დაუმთავრებელი და გამოუქვეყნებელი ნახევარი სტროფი აქვს:

„მოვიკლავდი თავს, მაგრამ ამით, ჩემო სამშობლოვ,
არ მინდა მძიმე მოგაყენო შეურაცხყოფა...”

ერთიც დასრულებული და სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული:

დრო აღარაა ბოდვის და მეოცნებე მკერდის,
„არ მეშინია ცოდვის, არ მეშინია ღმერთის.

გულში დაგროვდა ზიზღი და ბნელი ღამის ბინდი,

არ მეშინია სისხლის, არც თვითმკვლელობა მინდა.”

სიკვდილს სხვა თვალით უყურებდა და ზომავდა, სიცოცხლეც თავისებურად და უცნაურად უყვარდა, მათ შორის საზღვარსაც კი ვერ ამჩნევდა თითქოს:

_”სიცოცხლე ისე ძლიერ მიყვარს, რომ შეიძლება სიცოცხლის სიყვარულის გამო თავიც გავწირო, თავიც მოვიკლაო” - უთქვამს ერთგან.

სწორედ სიკვდილ-სიცოცხლის ასეთი განწყონა და გააზრება ახასიათებს გალაკტიონ ტაბიძის მთელ შემოქმედებას.

მზე, მშვენიერება, სილამაზე და პოეზია უნდა იყოს ის „შუქთა კამარა“, რომელიც მოულოდნელად გამოანათებს და სამარეში მწოლიარეს გზას უჩვენებს. ამბობს კიდეც:

„მარმარილოს ქვეშ (მწუხარება უამრავ დროთა!

მე პოეზიამ დავიწყების ცელს ამარიდა);

საუკუნეთა სამალავი მეკარგებოდა;

ერთხელ ზმანებით მე ამოველ ბნელ სამარიდან.“

(„ მგლოვიარე სერაფიმები“)

„დიდი ხელოვნება არა უბრალოდ სიკვდითან შერიგების, არამედ მარადისობაში დამკვიდრების საშუალებაა“. მარადისობაში გადასული ხელოვანისთვის აღარ არსებობს აწმყო, წარსული და მომავალი. „დროის- ლურჯა ცხენების- სადავეები ახლა უკვე თავად მას უპყრია ხელთ“. სწორედ ამ აზრის დეკლარაციას წარმოადგენს ლექსი „ეფემერა“, რომელიც „ნახტომია“ მარადისობაში.

„გალაკტიონის შემოქმედებითი გზა არის გზა "ლურჯა ცხენებიდან" "ეფემერამდე", სიკვდილიდან – უკვდავებამდე, აქყოფნიდან (რაც თითქმის იგივეა, რაც არყოფნა) –მარადიულ, აბსოლუტურ ყოფნამდე“. ქრონოლოგიურად ეს გზა საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა, რადგან გალაკტიონმა სრულიდ ახალგაზრდამ გასცა პასუხი ძირითად კითხვებს. პოეტს „ახალგაზრდობიდანვე აედევნა თვითმკლელობის დემონი:

“_ გადაწყვეტილებას აქვს დიდი ხნის ისტორია. ეს იდეა დამდევდა ყოველთვის, რაც თავი მახსოვს (რატომ არ დაიქცა ის დღე, რა დღესაც მე დავიბადე). ვერ ვიტყვი, რომ ჩემს სულში ერთბაშად, უეცრად დაბნელდა. არა, ამ სულიერ სიცარიელეს აქვს დიდი, ძალიან დიდი ხნის ისტორია. ყველაფერი ეს დიდი ხნის ამბავია. და იმ

ღამიდან მე მტკივა გული. _ ჩემი ტვინი დაიღალა გამოცანებით, ჩემი სხეული დაიღალა სიცოცხლით, იდეა სიკვდილის, რომელიც განადგურებას ნიშნავს, ჩემთვის ტკბილია. მე მიხარია, რომ ჩემივე საკუთარი ნებით მე შემიძლია შევაჩერო ეს მოუსვენარი გულის ცემა, ეს აღელვებული და მხურვალე სისხლი, ეს მტანჯველი ტკივილები ნერვების. მე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ სურვილი არსებობისა აღარა მაქვს, მე ვერაფერს ვერ ვხედავ, ჩემი დემონის ცეცხლიან თვალებს გარდა. _ არავის არ ვუყვარვარ ქვეყანაზე! უკეთესია, რომ მოვკვდებოდე! სიკვდილი კი თითქო ამბობს: გალაკტიონ ტაბიძე, შენ ჯერ არ მოკვდები, კიდევ ბევრ რამეს გააკეთებო!

_ ოჰ, რომ იცოდე, როგორ მწყურია სიკვდილი! და სხვა [ვ.ჯავახაძე, უცნობი: 460].

მის პოეზიაში გვხვდება ყველა "წყეული" თემა: სიკვდილი უსამართლო და დაუნდობელია, ის ყველას მოგველის, ანადგურებს ყოველივეს, აქრობს და აჭკნობს მიწიერ დიდებას თუ სილამაზეს, მისგან ვერაფერი გვიხსნის, გარდა ამქვეყნიური ვალის მოხდისა, სწორად ცხოვრების გზით სასუფევლის დამკვიდრებისა...

აქ შევხვდებით მწუხარე თვალებიან ანგელოზს, იმქვეყნად წასაყვანთა პერგამენტზე ჩამოწერილი გრძელი სიით; დროის ქარისაგან განადგურებულ, გადაცვენილ, დამჭკნარ და მოწყენილ ატმის ყვავილებს; "ქართა ქარვას" გაყოლილ ახალგაზრდობას; ჩამავალი მზის სევდას; სიკვდილი, ერთგვარად, პერსონიფიცირებულიც კია პოეტის მიერ და მკითხველი მასთან ერთად ხედავს:

"მოდის სიკვდილი, ჭკნობის მსურველი,
დაჭკნა ყვავილი, გაქრა სურნელი"...

თუმცა, გალაკტიონის უმთავრესი თავისებურებაა, რომ იგი, როგორც კაცი და როგორც პოეტი, არ უშინდება სიკვდილს, ,მისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელსაც ადამიანი ოდესმე აუცილებლად იგემებს, ამიტომ, როგორც "კაცი მეცნიერი", სიკვდილთან შეგუებისა და ამით მასთან "გამკლავების" გზებს ეძებს.

ამ თემას ეძღვნება გალაკტიონის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი "შერიგებაც".

სათაურ "შერიგებას" პოეტი უკავშირებს ლექსის ბოლო სიტყვას, წრეს კრავს და მკითხველისთვის ცხადს ხდის, რომ პოეტი ურიგდება, ანუ მშვიდად და აუღელვებლად ხვდება სიკვდილს:

"დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი".

ისევე, როგორც “მთაწმინდის მთვარეს”, ამ ლექსსაც პოეტი სიკვდილის სიახლოვესა და ამით აღძრული შიშის ძლევას უძღვნის. ეს ორი ლექსი მრავალმხრივ ჰგავს ერთმანეთს, რადგან ორივე მათგანში სიკვდილის შიში უკვდავების იმედითაა დაძლეული, უკვდავებისთვის კი სიკვდილი არარაა, ახლადშობა და ახალ რეალობაში გადასვლაა. ამიტომ ამბობს პოეტი:

“რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნოს თქვენთან ჩემი ქნარი”

გალაქტიონი სიკვდილისკენ მთელი არსებით მიისწრაფოდა. ამიტომ მიმართა საკუთარ თავს თითქოს გასამხნევებლადაც:

“ვინა თქვა შენი გარდაცვალება,
არა, სწორედ შენ დღეს დაიბადე” (“მიდიხარ...ისე...”).

უბის წიგნაკში კი წერდა: “მე ვიყავი ყოველთვის მზად სიკვდილისთვის, მე მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ!”

პოეტს სწამდა, რომ მისი სიდიადე სწორედ მისი გარდაცვალების შემდეგ წარმოჩნდებოდა, ამქვეყნიდან გავიდოდა მოკვდავ კაცთაგანი, მაგრამ მყისიერად დაიბადებოდა უკვდავი პოეტი, სიკვდილი გააცხადებდა მის სიდიადეს. ამიტომ დაამთავრა უბის წიგნაკი ამ სიტყვებით:

“გალაკტიონ ტაბიძე აღარ არის,
გაუმარჯოს გალაკტიონ ტაბიძეს!
მეფე მოკვდა. გაუმარჯოს მეფეს!”

“შერიგება” ყოვლის წარმავლობის აღიარებით იწყება. დრო შეუჩერებლად გადის, თავის გზაზე ყველაფერს ცვლის, თან მიაქვს ადამიანის სიცოცხლე, რადგან დროის შეუნელებელი სვლა სიკვდილის მთავარი იარაღია. ქარის ქროლვა წუთისოფლის მარადიული ცვალებადობისა და დროის დინების სიმბოლოა, ყველანი წუთისოფლის ქარში მოვდივართ და ამ ქარსვე მივყვებით, მის “ტოტებში” გაბლანდული...

“ტოტებს ქარისას გადაყვა მარტი” - გავიდა კიდევ ერთი თვე და კიდევ ერთი ნაბიჯით მოახლოვდა სიკვდილი, დაუპატიჟებლად დაიბუდა გონებაში ამქვეყნიდან გასვლის ფიქრმა, რამაც აღძრა სუდარის სითეთრის განცდა: „თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები და წავალ ქარში...”

თუმცა “მოვირთვები”გვაგრძნობინებს, რომ ზეიმითა და სიხარულით ეგებება სიკვდილს, თანაც ამაღლებული და მშვიდი.

სიკვდილი “თეთრი აკლდამის” სიმბოლოთი შემოჰყავს პოეტს, ალბათ, სუდარის სითეთრისა და სიკვდილის სიცივის, მდუმრების, გახევებულობის გამო, რის ასოციაციასაც ქმნის აკლდამა. ხოლო სიკვდილის შიშის ძლევა - თეთრ აკლდამაზე ამაღლებით, მისთვის მშვიდად, მძიმე განცდების გარეშე ცქერით: „ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე.”

გალაკტიონმა იცის, რომ “მიწა თავისას მოითხოვს”, “რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე”, თუმცა ახერხებს სიკვდილის შიშის ძლევას და ამაღლებას. საამისოდ იყენებს მოცარტს, თითქოს ქარს გაყოლილს, ვისი საფლავის ადგილმდებარეობაც კი დაზუსტებით არავინ იცის, მაგრამ მოცარტის სახით მიგვანიშნებს, რომ ბევრი დიდებული პიროვნების ხვედრი ასეთია - ფიზიკურად მარცხდება და ნადგურდება მუხთალი წუთისოფლისა ადამის უსამართლო შთამომავალთაგან, თუმცა მისი სულიერი მადლმოსილება ის საყრდენია, რომლითაც დღემდე არსებობს კაცთა მოდგმა.

პოეტს ლექსში შემოაქვს რამდენიმე სიმბოლო: “სიმღერა, მზე, ბაღი, მყინვარი, გვირგვინი, სილამაზე...”

გალაკტიონს სიკვდილთან შეხვედრას, პირველ რიგში, უიოლებს ამქვეყნიდან სიმღერით წასვლის იმედი, რადგან სიმღერის ტალღებით სავსე გულში შიშისთვის ადგილი აღარ რჩება; მისთვის ორსავე სოფელში საოცნებო მდგომარეობა, სანუკვარი ნატვრაც სწორედ ეს არის - მყოფობდეს “გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით”, ცოცხლობდეს პოეზიით:

“და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად...”

თუ სიმღერით მოკვდება, პოეტისთვის სიკვდილი საშიში არაა, ახალი სიცოცხლის დასაწყისია მხოლოდ, ამიტომაც არის თბილი, მზიანი და ვარდისფერი (“სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა”). პოეზიაში, მშვენიერება და სილამაზე “შეარიგებს” გალაკტიონს სიკვდილთან. იგი გაუბოროტებელ სულს ინარჩუნებს, მშვენიერებისა და სილამაზის მსახურად რჩება, ცოცხლობს “შუქთა მარადი ნთებით” და ლექსებით აქებს მშვენიერებას.

გარემო, თავისი სითბოთი და მომხიბვლელობით ავიწყებს მოკვდავობის განცდას და უკვდავების კარიბჭესთან აახლოებს.

სტრიქონში: “დღეს ყველგან მზეა, ახლა ამ ბაღებს” პოეტი დააფიქრებს მკითხველს მოულოდნელი სიტყვებით: “ყველგან” და “ამ”. რადგან ორივე მათგანი

კითხვებს ბადებს: სად ყველგან? რადგან აქამდე პოეტს ადგილები არ ჩამოუთვლია და რომელ ბაღებს? - რადგან "ამ" მისათითებელი ნაცვალსახელია და რაიმეს მიგვანიშნებს, ლექსში კი ბაღებზე საუბარი არ ყოფილა. ორივე ამ კითხვას გალაკტიონი ღიად ტოვებს და მკითხველმა მას დამოუკიდებლად უნდა გასცეს პასუხი.

სავარაუდოდ, "ყველგან" სოფელს, ზესთასოფელსა და პოეტის სულს გულისხმობს, ბაღები კი, შესაბამისად, - ამქვეყნიურ, სამოთხისეულ და სულის ბაღებს, სიტყვას - ყვავილად, ლექსებს კი არტისტულ ყვავილებად რომ გადააქცევს. ამით გადმოგვცემს გალაკტიონი სამყაროს "ფერუთვალავი მშვენიერებისა" და მზე-უფლის სითბოს, ძალასა და ზეგავლენას ზეცის კაცებზე, უფლის კაკუნს რომ აყურადებენ თავიანთი გულის კარზე.

გალაკტიონსაც სილამაზე ხიბლავს, მზე ათბობს და ლექსად იღვრება მშვენიერების საქებლად. იგი უფლის შვილია და თავისი "საქმიანობა შეუმოსავს", როგორც ბრწყინვალე "საქორწინე სამოსელი", ამით ირთვება და ზეიმით მიდის "უფლის ქოწილში",სიკვდილის დაძლეული შიში კი "სიმღერის მსუბუქ ზვირთებად გადაკეთდება" მის გულში.

პოეტურ სიდიადესა და უკვდავებას გალაკტიონი მყინვარის სახე-სიმბოლოს მოშველიებით გამოხატავს. იგი მყინვარს საკუთარი სულის ანალოგად მიჩნევს; ორივე მათგანი "მაღალ ზრახვათა მეფეა", რადგან გონებრივად და სულიერად მაღალნი, უფალსა და ცასთან ახლოს არიან, ყველასაგან გამორჩეულები.

ორივე შეყვარებული და მეოცნებეა, რაც გაზაფხულზე განსაკუთრებით იჩენს თავს, ვარდებს, "მაისებს", ნამდვილ გაზაფხულს, როცა "მაისი ფერში ნაირ-ნაირშია", პოეტიცა და მყინვარიც ერთნაირი აღტაცებით ხვდებიან: მაისი ალით ააზამბახებს, ვით შეყვარებულს და მეოცნებეს".

ორივე ლამაზი გვირგვინითაა დამშვენებული. მართალია, გალაკტიონს, როგორც პოეტს, დაფნის გვირგვინი ამკობს, ხოლო მყინვარს - თოვლისა და ყინულის იაგუნდების, მაგრამ ეს ორივე გვირგვინი "ოდნავ მსგავსია", რადგან მარადიულია და უკვდავებას უქადის პატრონს:

"ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,
ლამაზი შუქთა მარადი ნთებით:
მე - მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,

მყინვარს - უმძიმეს იაგუნდებით”.

უკვდავების იმედი პოეტს მიწიერ პრობლემებს და სიკვდილის შიშს დააძლევინებს,ირგვლივ გამეფებული სითბო და სილამაზე სულში საოცარ ნათელს ჩაუღვრის და ყველაფერი ეიოლება, ხვდება, რომ, ვინც ამ სამყაროში მოვიდა “ნუკრის თვალებით, თმით, მიმოზებით”, როგორც პეპელა, ან “გედი, დაჭრილი ოცნების ბაღით”, ამ აზამბახებული ბაღების ხილვით გრძნონა მორეული უკანასკნელ სიმღერას იტყვის, “ტბის სევდიანი გედი” თავის მისიას შეასრულებს და ვალმოხდილი, გულდამშვიდებული შეხვდება სიკვდილს...

თუმცა სამყაროში სიკეთეც არსებობს და ბოროტებაც, სიკვდილის აკლდამაც იხილვება და მზის ნათელიც, უფლის შვილად დაბადებულს, მშვენიერება და “სული, თოვლზე უსპეტაკესი” ამაოებასა და მწუხარებაზე ამაღლების ძალას აძლევს:

„ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე,
მშვენიერების ლექსით მქებელი”

“შერიგებაც” გვიჩვენებს უკვდავებით მოიმედე, ვალმოხდილი პოეტის მშვიდად და ამაყად შეხვედრას სიკვდილთან, რომლის კარიც მისთვის უკვდავების კარიბჭეა:

„მიდიხარ, შენ ბედს ბევრი ინატრებს,
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი!”

პოეტის მისტიკურ-დეკადენტური განწყობილება გამოხატულია ლექსში “ათოვდა ზამთრის ბაღებს”:

„ათოვდა ზამთრის ბაღებს, მიჰქონდათ შავი კუბო,
და შლიდა ბაირაღებს თმაგაწეწილი ქარი,
გზა იყო უდაბური, უსახო უპირქუბო,
მიჰქონათ კიდევ კუბო... ყორნების საუბარი:
დარეკე! დაუბარე. ათოვდა ზამთრის ბაღებს.”

აქ მისტიკურად არის დანახული და წარმოსახული მთელი სამყარო. ასეთი მისტიკური ექსტაზით უცქეროდა ცხოვრებას გ. ტაბიძე. ტრაგიკული განცდა სინამდვილისა ხშირად უბიძგებდა პოეტს იმქეყნიური უფსკრულისაკენ, რომელსაც იგი პოეტური ღაღადისით ქება-დიდებას ასხამდა. გ. ტაბიძის მისწრაფება ყრუ ადგილისაკენ, ადამიანთა საზოგადოებისაგან განდგომის გრძნობა ნათლად არის

გამოხატული მის ლექსში “გზაში”. მაგრამ ამ განწყობილებას ასაზრდოებს საზოგადოებრივი ცხოვრების ის მომწამლავი ატმოსფერო, რომელიც რეაქციის შავბნელმა დრომ წარმოშვა. ამ ვითარებაში პოეტი ხშირად ოცნებობდა:

„სადმე ყრუ ადგილს დავესახლები,
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი
სადაც იქნება ცოფი ნაკლები,
და უფრო ნაკლებ ადამინი.”

ადამიანური ყოფის არსზე ფილოსოფიურად დაფიქრებულ ახალგაზრდა გალაკტიონს უფრო და უფრო უმტკიცდებოდა ცხოვრების წარმავლობის რწმენა. ამქვეყნიური ყოფის ამოებით თავზარდაცემულ პოეტს სასოწარკვეთა ხანდახან იმდენადაც შეიპყრობდა, რომ ყველაფერზე ხელჩაქნეული სიცოცხლეს უაზრობად თვლიდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი, იგი ბარათაშვილისებური ფიქრიანობით ცდილობდა ადამიანური არსებობის აზრისა და დანიშნულების გაცნობიერებას, რად ვცხოვრობ, რისთვისო? - კითხულობდა ერთგან, მაგრამ ამქვეყნიური ყოფის ეს ფილოსოფიური მისწრაფვა მიუწვდომელ საიდუმლოდ ესახებოდა: „ვწუხვარ, ვეძახი ცხოვრების მიზანს, მაგრამ არავინ იძლევა პასუხს“

სულიერი ობლობისა და მარტოობის ეს კოშმარული განცდა გ. ტაბიძის მთელ შემოქმედებას გასდევს თავიდან ბოლომდე.

გ. ტაბიძის პოეზიაში თავიდანვე დაიმკვიდრა დიდი ადგილი სიცოცხლის საზრისის ძიებისა და ცხოვრების მიუსაფრობიდან თავდასახსნელ გზათა მიგნების პრობლემამ. საწუთრო პოეტის წინაშე მრავალ უმწვავეს კითხვას სვამდა, რომლებზეც პასუხის გაცემა და სამომავლო ორიენტირების დასახვა ურთულეს საქმედ ქცეულიყო: „საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას, სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?”

პოეტის მწუხარებას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ არსად ჩანს ცხოვრების მიუსაფრობიდან თავდასახსნელი ეს გზა. უმიზნო დღეების ტყვეობაში მოქცეული მწერალი ამაოდ ეძებდა სასოწარმკვეთი მდგომარეობიდან გამოსავალს: “მარტოდმარტო ვარ, ვისაც ოცნება ედემის ციურ ხატებად სთვლიდა, ვისაც სიყრმითვე მე თაყვანს ვსცემდი, ყველა მომცილდა, ყველა წავიდა.”

ცხოვრების ამაოებისა და წარმავლობის განცდას გ. ტაბიძის ლირიკაში ფილოსოფიური შინაარსი აქვს შეძენელი. რომანტიკული გრძნობებით შეპყრობილი ახალგაზრდა მეოცნებე პოეტი უღრმესი მწუხარებით აღწერს, როგორ ერთიანად

ამსხვრევს მკაცრი ცხოვრებისეული რეალობა ამაღლებულ იდეალებს. მისთვის თავზარდამცემია გაცნობიერება იმისა, რომ ადამიანი უძლურია წინ აღუდგეს კაცთა შორის გამეფებულ გულქვაობას და ყოვლის წარმავლობას, რომ ნამდვილი და ჭეშმარიტი სიყვარული მხოლოდ ილუზიაა.

გალაკტიონის ლირიკაში ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია "მესაფლავე".ნაწარმოების შექმნის უმთავრესი მიზანდასახულება იმისი გაცნობიერებული გააზრებაა, რომ "სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა".

„მესაფლავე" ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული მსოფლმხედველობრივი მრწამსის ურთიერთდაპირისპირების მაჩვენებელი ნაწარმობია. ერთი მათაგანის გამომხატველია თავად პოეტი, რომელსაც დაუეჭვებლად სწამს სიყვარულის სიმტკიცე და მარადიულობა, მეორისა კი ცხოვრების ათასგვარ ჭირში გამოვლილი მესაფლავე, რომელიც დიდმა გამოცდილებამ ღრმად დაარწმუნა იმაში, რომ ცხოვრება თვალთმაქცობაა, ჭეშმარიტი ამაღლებული ადამიანური გრძნობები კი მხოლოდ მოჩვენება.

პოეტი მძაფრი ემოციური ექსპრესიით გამოხატავს ამ დაპირისპირების არსს და გვიჩვენებს, როგორ ულმობლად ამსხვრევს ყოფითი რეალობა პოეტის გულუბრყვილო რწმენასა და ოცნებებს. ამ დაპირისპირებას შთამბეჭდაობას ისიც სძენს, რომ ამდაგვარი მსოფლმხედველობრივი შეჯახების ასპარეზად ავტორმა სასაფლაო აარჩია.

„მესაფლავე, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
ეჰ, არ მჯერა მე ეგ რაღაც... მომაბეზრე კიდეც თავი;
და შეწყვიტე, თუ ღმერთი გწამს, ეგ დაცინვა გულსაკლავი."

ამ მსოფლმხედველობრივ პაექრობაში პოეტმა სრული კრახი განიცადა - ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარული მათი დაღუპული სატრფოსადმი მხოლოდღა ილუზია გამოდგა. მათ ადვილად გასტეხეს ერთგულების ფიცი და ერთმანეთს შორის ახალი სიყვარულის ძაფები გააბეს.

თანახმა ვარ! ერთადერთი, მომავალი მასულდგმულებს...
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, ნუ ვიგონებთ დროს უბედურს,
მე შენი ვარ სამუდამოდ... წამიყვანე, სადაცა გსურს"...

ამ ფაქტით თავზარდაცემული პოეტი საბოლოოდ რწმუნდება იმ სამწუხარო ჭეშმარიტებაში, რასაც თავიდანვე უქადაგებდა მას "გულსაკლავი დაცინვით" მესაფლავე.

„ასე ხდება ქვეყანაზე - ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება,
და ვაი მას, ვის სიკვდილი სიცოცხლეშივ ავიწყდება..."

ავტორის სათქმელის არსი შეჯამებული ფორმით ნაწარმოების ბოლოს ვლინდება:

„ განისვენეთ, განისვენეთ, დავიწყებულ არსთა ძვლებო...
თქვენს ყოფაში არ ერევა ცოცხალთ ფიქრი საარსებო...
გენისვენეთ, ძლიერი და უკვდავია თქვენი ძილი...
რაღად უნდათ, სად სჭირიათ თქვენს საფლავებს ვარდ-ყვავილი?"...

საბოლოოდ, მესაფლავეში გადმოცემულია პოეტის ჯერაც გულუბყვილო შეხედულებები ადამიანის სიცოცხლის სასრულობის შესახებ არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერი თვალსაზრისით. ადამიანი ქრება ხორცითაც და სულითაც და, რაც ყველაზე სავალალოა ,იგი ქრება ადამიანთა მეხსიერებიდანაც. ანუ ის ქრება საერთოს:

„მესაფლავე, ეხლა კი გაქვს ნება , რაც გსურს, კვლავ იგი თქვა...
სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა."

გალაქტიონის კალამს ეკუთვნის ასევე ლექსები: „სასაფლაოზე" (1909), „სასაფლაოზე"(1912), " სასაფლაოზე"(1914) და სხვა. გალაქტიონისთვის სასაფლაო ასოცირდება რაღაც იდუმალთან, რომელიც პოეტში არა შიშს, არამედ პირიქით სიმშვიდესა და ნეტარებას იწვევს:

„მივეჩქარები, რომ სალამი მივცე საფლავთ ქვებს...
იქ არ მოისმის ადამიანთ უღვთო ხარხარი;
იქ ანგელოსი წრფელად გალობს ზეციურ ჰანგებს
და ჩუმად უგდებს მის სიმღერას ყურს მთა და ბარი."

( „სასაფლაოზე")

გ.ტაბიძის შემოქმედებაში განსაკუთრებით ათიანი წლების მეორე ნახევარსა და ოციან წლებში შექმნილ ლექსთა შორის, ბევრია ისეთი, რომელთა ახსნა-გაცნობიერება თითქმის შეუძლებელია. მათში იმდენი რამაა სიმბოლური იდუმალებით მოცული, რომ მათ შინაგან ბუნებას ბოლომდე ვერასოდეს ჩასწვდება

მკითხველი. გალაქტიონის ინტეგრალური ლექსების დიდი ნაწილი სიმბოლიზმის გატაცების წლებშია დაწერილი. და მათი თავისებურება ის არის ,რომ „ისინი რთულ ასოციაციურ ხილვებზე დაფუძნებული და მოვლენათა სპეციფიკური აღქმა-გააზრების შედეგად შექმნილი ნაწარმოებებია.“ნაწარმოებებს შორის ინტეგრარული პოეზიისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ყველაზე მეტად ავლენს „ლურჯა ცხენებში“.

სად მიდის სული გარდაცვალების შემდეგ? რა ემართება ადამიანის ცხოვრებას? რა ხდება მიღმა სამყაროში? ლექსში “ლურჯა ცხენები” ამ კითხვებზე პასუხია დაშიფრული სიმბოლოებისა და ტროპის სხვა სახეებში.

„ლურჯა ცხენები“ სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოა. ლექსში თავისებური ფორმითაა გააზრებული სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული ურთიერთმიმართების პრობლემა. პოეტი გრძნეული იდუმალებით წარმოსახავს მიუსაფარი მდუმარებითა და სიცივის თარეშით მოცულ სამუდამო მხარეს - ადამიანის მიწიერი არსებობის ამ ბოლო სადგურს. ეს არის ჰადესის სამყარო ძველბერძნული მითოლოგიით. „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით „ სავსე ამ სამუდამო მხარის მარადიულ ბინადრად ქცეულ ადამიანთა თვალებში სამუდამოდ გამქრალა ყოველგვარი ვნება-წამება, „ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში“ და „უსულდგმულო დღეების „ დაუსრულებელ აჩქარებულ სრბოლას ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა დაუკარგავს.

“ლურჯა ცხენები” გალაქტიონმა შემოიყვანა ქართულ პოეზიაში. ლურჯი ზეცათა საუფლოს, ღვთის სამყოფელის, ღვთაებრივი სამყაროს ფერია. ლურჯა ცხენები თავიდანვე მიანიშნებენ მათ არამიწიერ წარმომავლობასა და დანიშნულებაზე. ცხენი, ზოგადად, ინტელექტის, გონიერების სიმბოლოა. ლექსის სათაურიდანვე ყურადღება მახვიდება ორ სიმბოლოზე: ლურჯ ფერსა და ცხენზე. ლექსი იწყება “სამუდამო მხარის”, იმავე, მიღმა სამყაროს, საიქიოს წარმოდგენით:

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩამდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე”

პოეტი გვიხატავს სამუდამო მხარეს. ეს სამუდამო მხარე უპირისპირდება ცოცხალთა, წარმავალ მხარეს, წუთისოფელს. ეს არის სულის მიღმურ სამყაროსთან

შეხვედრის პირველი შთაბეჭდილება. ამ ლექსში სულის თავგადასავალია აღწერილი სხეულის გარდაცვალების შემდეგ.

პირველივე სტროფიდან პოეტმა დახატა სიცივე და უნუგეშობა. მკითხველი აღმოჩნდა სამყაროში, სადაც მხოლოდ ცივი მდუმარეაა. ეს განცდა მძაფრდება შემდეგ სტრიქონებშიც:

„მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა".

პოეტი ლექსში იყენებს ტრადიციულ წარმოდგენებს სიკვდილის საუფლოზე:

„შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან".

ამ საშინელ გარემოში, შავი ფერის სამეუფოში, უცებ შემოიჭრება ღვთაებრივი ლურჯი ფერი - ლურჯა ცხენების გამოჩენა სიზმრისეულ ხილვას ჰგავს. ლურჯა ცხენებს სიკვდილის საუფლოში სიცოცხლის სამყაროს შუქი შეაქვთ. ისინი აქ გარდაცვალებულთა სულებს მოასვენებენ.

„სიზმარიან ჩვენებით - ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!"

ლექსში მთელი ყურადღება გადაინაცვლებს ლურჯა ცხენებისკენ, რომლებიც თავიანთი ქროლვით, "გრგვინვა-გრიალით" უპირისპირდებიან სამუდამო მხარის მდუმარებას. ლურჯა ცხენებს შემოაქვთ სინათლე, ცეცხლი, ხმაური ამ საყოველთაო გაყინულ მდუმარებაში.

„ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები".

პოეტმა პოეზია შექმნა და ეს პოეზია იქცა ძალად, რომელმაც ცივი სამარის კედლები დაამსხვრია და სული სინათლეს აზიარა.

„უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება".

ქვესკნელი დაღუპვის სიმბოლოა, უსულდგმულო, ესე იგი, უსიცოცხლო დღეები ქვესკნელში იმარხება, ხოლო სულს ლურჯა ცხენები სამზეოზე ამოიყვანენ.ასეთია წუთისოფლის ბორბლის მარადიული წრებუნვა. ასე „ჩნდება და ქვესკნელდება უსულდგმულო დღეები" და ყველაფერს წარმავლობისა და მიწიერი ამაოების , „ ჩამავალ მზით ნაფენი" „ნისლის ნამქერი" ფარავს. მიუხედავად ყველაფრისა სიცოცხლე მაინც კლავინდებულად უკვდავია. იგი მარადიულად გრძელდება და

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ წრებუნვას დასასრული არ აქვს. სწორედ ესაა სამყაროს არსებობის შეუცვლელი  და ჟამთა სვლით დაურღვეველი უზენაესი კანონი და წესი. სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოდ დასახული ლურჯა ცხენები დაუოკებელი და დაუსრულებელი სრბოლის ეს ალეგორიუ-ფილოსოფიური გააზრება, როგორც სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების რწმენა, გალაქტიონმა გამოხატა ლექსის ბოლო სტროფში:

„მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“.

(„ ლურჯა ცხენები“)

მაგრამ რომელ გზას ირჩევს გალაკტიონი? როგორი ყოფიერება იშლება მის თვალწინ – „ღვთაებრივად ჰარმონიული, როდესაც მხოლოდ ერთი აქტის, რწმენის საშუალებით უეცრად არსებობა ტრანსცენდენტურ აზრს იძენს (იასპერსი), თუ აბსურდული, რომელსაც ადამიანი სძლევს ზუსტად იმით, რომ საბოლოოდ კარგავს იმედებს და სიკვდილს ეგუება (კამიუ)? „, როგორც მისი ლექსებიდან ირკვევა, იგი ცდილობს აირჩიოს პირველი გზა:

"დაჰქრიან უდაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!"

ანდა:

"დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე."

თუმცა ამაოდ, იგი ბოლომდე მარტო რჩება, როგორც ჭეშმარიტი „მარტოობის ორდენის კავალერ“.  ადამიანი კი მარტოა არა იმიტომ , რომ „იგი მარტოა ღმერთის წინაშე“, არამედ იმიტომ, რომ „იგი მარტოა არარას წინაშე“- აი, ასეთია მისი მრწამსი. მაგრამ მისი პროტესტი მანიფესტურია, მისი შერიგება სიკვდილთან ამაყი და გმირული:

„და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე სიკვდილის ლანდი მომეჩვენება
განსასვენებელ ზიარებაზე ჩემთან არ მოვა შენი ხსენება
დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით გამაქანებენ სწრაფი ცხენები!
ღამენათევი და ნამთრალევი ჩემს სამარეში ჩავესვენები“.

(„სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“)

სიკვდილის გარდაუვალობა და საშველის უქონლობა „ჯვარს ეცვი! თუ გინდა! საშველი არ არის, არ არის, არ არის!“, გალაკტიონის სასოწარკვეთილების არსებითი ნიშანია.

გალაკტიონის პოეზიაში ხშირად გვხვდება უდაბნოს სიმბოლური სახეც. უდაბნო, როგორც  გარკვეული მსოფლმხედველობითი შინაარსის მქონე ხატი, რომანტიზმის პერიოდში ჩნდება.  და გარკვეულ ადგილს იჭერს გალაკტიონის შემოქმედებაშიც. რას არქმევს პოეტი „უდაბნოს“ და რა გზას ხედავს მისგან თავდასახწევად? გალაკტიონი თავის სამშობლოს პირდაპირ უწოდებს უდაბნოს:

„დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის  არ მესმის ნანა,
ჩემთვის მარტოოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა.
მოვკვდე და გული ვის დავწყვიტო, ვინ დავაობლო?
ჩემთვის მარტოოდენ უდაბნოა ჩემი ქვეყანა“

(„უდაბნო“)

სხვაგან კი ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ და შეუთავსებელ რამეს ერთ სახეში  აქცევს, როდესაც ამბობს: „ ჩემს სამშობლოში მე მოველ მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახავერდები“. ბუნებრივი მონაცემებით ეს ქვეყანა მართლაც ხავერდოვანია, მაგრამ ამ ხავერდოვნებას მისი რეალური შინაარსი, არსება - უდაბნო შეუნიღბავს. ვინც  ღრმად სწვდება სამყაროს არსს, მასში უდაბნოს ჭვრეტს.

ლექსში „უდაბნო“ სამყარო უდაბნოდაა გამოცხადებული, სადაც არც მეგობარია და არც ნათესავი... არ არსებობს სიყვარული და მეგობრობა... არაფერი, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს. და მისთვის გადარჩენის, ამქვეყნიურ უდაბნოში გაძლების, სიკვდილთან შერიგების გზა პოეზიაა. გალაკტიონი პოეზიისა და მშვენიერების სახით ურიგდება სიკვდილს, ამქვეყნიურ ტანჯვას პოეზიად გარდაქმნის.

ყოვეთვის არსებობდა ბოროტების მოტივიც, რომელიც ერთ-ერთი შინაარსია უდაბნოს ცნებისა. გალაკტიონთან ისახება იდეა სულიერებას მოკლებული , მკვდარი მატერიის თანდათანობით გასულიერებისა და გასხივოსნებისა, რის სიმბოლოდაც

„ნაწვიმარ სილაში ვარდი“ მიაჩნია. სილა უდაბნოს, უნაყოფობის სიმბოლოა, წვიმის ცვარი კი - ღვთით მოვლენილი მადლისა. ციური მადლით განაყოფიერებული უდაბნო - ამქვეყნიური ცხოვრება მატერიის გასხივოსნების დასაბამია. მისი ერთ-ერთი პირველი აღმონაცენი კი ვარდია, რომელიც მშვენიერების სიმბოლოს წარმოადგენს. საბოლოოდ ასე ესახება გალაკტიონს მკვდარი მატერიის გასულიერებისა და უკვდავების მოპოვების შესაძლებლობა.

გ.ტაბიძე იზიარებს სულის მარადიულობის იდეას, და სიკვდილს არც მიიჩნევს ტრაგიკულ მოვლენად. ხელოვნება, პოეზია მისთვის უკვდავების დამკვიდრების გზაა და, ფიზიკური გაქრობის მიუხედავად, შემოქმედი ადამიანის სულები მარადიულად არსებობენ. ყველა ადამიანის ხვედრი საბოლოოდ სიკვდილია. სიკვდილის სიახლოვე ყელაფერს ასხვაფერებს: „ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე“ და ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია წინაპართა საფლავები, რომელთა პირისპირ მყოფი პოეტი აღავლენს თავის ფილოსოფიურ ფიქრებს „მთაწმინდის მთვარეში“. სიკვდილი იავარმქმნილი ძალაა, მაგრამ იგი მხოლოდ ფიზიკურ სხეულს ემუქრება და არა სულს.

გალაკტიონი არაერთხელ შეგვახსენებს სიკვდილის არსებობას, მის გარდუვალობას, კანონზომიერებას, მაგრამ შიშისგან მაინც თავისუფლდება, რადგან პოეტის სული აკლდამებზე ამაღლებული და მარადიულია. სულიერი სიმამაცის სტიმულია რწმენა უკვდავებისა, შეგნება იმისა, რომ იგი მეფეა, სიკვდილის დამმარცხებელილექსების ავტორი: „რომ მეფე ვარ და პოეტი და სიმღერით ვკვდები, რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი“ („მთაწმინდის მთვარე“). საკუთარი პოეზიის გამორჩეულობის რწმენა აძლევს პოეტს ძალას, დაძლიოს სიკვდილის შიში და გამორჩეულთათვის დათქმული „ვარდისფერი გზის“ სილამაზეს გვაზიაროს. პოეტი უარყოფს სიკვდილის ტრადიციულ შავ გზას. სიკვდილის პირველი სტადია შავია, „შავი ფრთებით“ მოდის იგი გალაკტიონთან, მაგრამ შემდეგ უზენაესთან შეხვედრა დიდი და მბრწყინავი სინათლის ფონზე ხდება.

„მთაწმინდის მთვარეში“ გალაკტიონმა გადაიხედა მიღმურში, გადასწია სიკვდილის ფარდა და უკვდავების ვარდისფერი შუქით განათებული გზა შეიცნო. ეს ხილვა ტრანსცენდენტურია, სულის უკვდავების შესახებ არსებული წარმოდგენის შემოქმედებითი გამოძახილია.

არ შეიძლება ამ თემაზე საუბრისას არ გავიხსენოთ ლექსი „ი.ა“, ლექსში საოცრად არის წარმოდგენილი ბავშვის დაღუპვა:

„ქალაქში მტვერში წაიქცა ბავშვი
ნუკრის თვალებით, თმით - მიმოზებით.
და მწუხარების მალე ნიავში
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.
შეშლილი სახით ჯიოდა ქუჩა,
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა!
მზეზე ჰყვაოდა სოფლად ალუჩა
და გაისმოდა დების სიმღერა.“

არ შეძლება ამ ყველაფერმა არ შეგძრას და გულზე სამუდამოდ არ აგეღბეჭდოს, ბავშვის სიკვდილი გალაკტიონის პოეზიაში ქვეყანზე წყვდიადის ჩამოწოლას ედარება :

„კუბო, უმიზნოდ მცურავი ქარში
და უმიზეზოდ მოკლული შველი!
დაედევნება ბავშვებს სიზმარში
ეს მოგონების ლანდი, სანთელი.
რას იზამს მაშინ, რას იზამს მაშინ
მზე, ნაკადული, მთები და ველი?“ (სროლის ხმა მთაში)

საბოლოოდ , კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ გალაკტიონის პოეზიაში სიკვდილზე ფიქრს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მის შემოქმედებაში გვხვდება ყველა ცნობილი თემა: სიკვდილი უსამართლო და დაუნდობელია, ის ყველას მოგველის, ანადგურებს ყოველივეს, აქრობს და აჭკნობს მიწიერ დიდებასა და სილამაზეს, მისგან ვერაფერი გვიხსნის, გარდა ამქვეყნიური ვალის მოხდისა,სწორად ცხოვრების გზით სამუდამო სასუფევლის დამკვიდრებისა. სიკვდილი ერთგვარად პერსოფიცირებულიც კი არის პოეტის მიერ და მკითხველს მასთან ერთად ხედავს:

„მოდის სიკვდილი, ჭკნობის მსურველი,
დაჭკნა ყვავილი, გაქრა სურნელი“...

თუმცა გალაკტიონის პოეზია სიცოცხლის მარადიული ხეა. სიცოცხლისი-სიკვდილზე გამარჯვება.

# თავიV

## სიყვარული მარტოობის

## ნეორომანტიკული სევდის საბურველში

### „რადგან სულ სხვაა, სიყვარული უკანასკნელი“

„ყველა შეყვარებულს, ვისაც კი კალამი აუღია და რაიმეს დაწერა განუზრახავს, სიყვარულით შთაგონებული ლექსი უთუოდ ექნება შექმნილი. ეს მარადიული, ღირებული, სასურველი თემაა კაცობრიობისთვის. ყველა შეყვარებულს თავისი თვალით დანახული და შეცნობილი სიყვარულის სწამს და სჯერა. ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებით, შემოქმედები ამ ღვთაებრივ გრძნობას არაჩვენებურად, განსხვავებულად აღიქვამენ და მათი გრძნობაც მეტად სენსიტიური და ემოციურია.

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები!
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი
ხელუხლებელი – როგორც მზის სხივი,
მიუწვდომელი – როგორც ედემი. („რაც უფრო შორს ხარ“)

ეს ლექსი წამით დაგაფიქრებს ,გალაკტიონის უცნაურობაზე და გაფიქრებინებს: შორს მყოფობაში „რაა სიამე?!“ ეს ჩვენთვის, ჩვეულებრივი ადამიანებისთვისაა გასაკვირი, თორემ გალაკტიონისთვის მიუღწეველი, მიუწვდომელი სიყვარულია ძალისა და შთაგონების მიმცემი. ის დროსავით მოუხელთებელი, ედემივით ხელშეუხებელი, ღმერთივით გამოუცნობი უნდა იყოს. რუსთველის სიტყვები: „სიყვარულსა მალვა უნდა..“ გალაკტიონთან უცნაურად ტრანსფორმირდა: სიყვარულის ბუნებაში შეღწევა არც უნდა და არც საჭიროდ თვლის პოეტი. მან იცის, რომ სიყვარული ერთგვარი ბოდვაა, რომელსაც დაჯერება სჭირდება. პოეტს მოსწონს ამ ეიფორიაში ყოფნა, რომელიც მეტაფიზიკური მდგომარეობის განცდას უქმნის. იცის გალაკტიონმა, რომ „სიყვარულის გარეშე ცხოვრება მარტივია, უბრალოდ, მის გარეშე აზრს კარგავს ყველაფერი“ (ლევ ტოლსტოი), ამიტომაცაა მის „ავადმყოფ სულს“ თეთრ ანგელოზად მოვლენილი სიყვარულის ქალღმერთი შორეული ზმანებებითაც აკმაყოფილებს. სიახლოვით არ უნდა დაიმსხვრეს ოცნება, თითქოს ეშინია –არ შეცდეს, არ დარჩეს ობლად და მარტოსულად.

ცნობილია, რომ სიტყვას უდიდესი ძალა აქვს. ჩვენ მიერ წარმოთქმული ფრაზები ჰაერში არ განიბნევა, უკვალოდ არ რჩება. ის ადამიანის ქვეცნობიერში

ღრმად იდგამს ფესვებს და თითქოს განსაზღვრავს კიდეც ჩვენს მომავალს. გალაკტიონის შემთხვევაში მითუმეტეს არ დაკარგავდა პოეტის სულიდან ამოხეთქილი და ღრმად განცდილი სიტყვები ძალასა და ენერგიას. გალაკტიონმა თითქოს თავადვე განსაზღვრა და განჭვრიტა თავისი მომავალი.

ტაბიძის სიყვარული ძალიან ჰგავს „ვეფხისტყაოსანში“ განმარტებული მიჯნური ადამიანის თვისებებს. „ რაც უფრო შორს ხარ „გალაკტიონის ამ ლექსის პირველი სტრიქონი კი თითქოს პარადოქსულად გაისმის: "რაც უფრო შორს ხარ – მით უფრო ვტკბები!" ლირიკულ გმირში სატრფოს შორს ყოფნა ტკივილს, დარდსა და სევდას კი არა, ტკბობას, სიხარულს იწვევს. მკითხველს გაუჩნდება კითხვა: რატომ? როგორ შეიძლება საყვარელ ადამიანთან დაშორება გახარებდეს? პასუხი ლექსის შემდეგ სტრიქონებშია. ლირიკულ გმირს სატრფოს სიშორე იმიტომ ახარებს, რომ: "მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი". მას თავისი ოცნება უყვარს, რომელიც სანამ განხორციელდება, მანამ არის სანუკვარი. როცა სატრფო შორს არის, მაშინ ათასი ოცნება ჩნდება. ლირიკული გმირი მას ოცნებაში გააიდეალებს, სრულყოფილებად აქცევს, ისეთ თვისებებს მიაწერს, რომლებიც შეიძლება ხორციელ-რეალურ ადამიანს არ გააჩნდეს. აქ არის ოცნების რეალობაზე აღმატება. ოცნება უფრო სანუკვარია, ვიდრე რეალობა.

რეალობა ერთმნიშვნელოვანია, ოცნება კი მრავალმნიშვნელოვანი. არის თუ არა ამ ლექსის ლირიკული გმირის წარმოსახვა და ოცნება შთაგონებული "ვეფხისტყაოსნის" იდეალებით? ალბათ, კი. რადგან მიჯნურს მართებს "შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა" . აქაც სწორედ ამ სიშორეზე არის ყურადღება გამახვილებული.

ლირიკული გმირი, მართლაც, "ვეფხისტყაოსნის" იდეალებით არის შთაგონებული, მისთვის სიყვარული წმინდა და ამაღლებულია, ამიტომაც ამბობს, რომ მისი ოცნება არის "ხელუხლებელი – როგორც მზის სხივი". ასეთ არაჩვეულებრივ შედარებას იყენებს პოეტი ოცნების მიუწვდომლობის წარმოსაჩენად. მზის სხივს ვხედავთ, მაგრამ ხელს ვერ შევახებთ, იგი ხომ არამატერიალურია, ხელშეუხებელია, წმინდაა, სიხარულისა და სითბოს მომტანია. მას ვერ ლაქავს ვერაფერი, ვერც ცხოვრების ჭუჭყი. ასეთი უმანკო, სუფთა და მაცოცხლებელია პოეტისთვის სატრფოზე ოცნება.

საყვარელ ქალზე ოცნების გალაკტიონისეულ ხედვას პარალელი ნიკოლოზ ბარათაშვილთანაც ეძებნება. ლექსში „არ უკიჟინო სატრფოო“ შეყვარებული პოეტი მზედ გარდასახვას ნატრობს, რათა ნამად ქცეული სატრფო შეინივთოს, შეისისხლხორცოს:

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,

საღამოს მისთვის ჩავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო,

.....

მინდა შენ იყო სატრფოო მშვენიერისა ცის ცვარი,

რომ განაცხოვლო, შავარნო, მდელო, სიცხითა დამჭკნარი...“

(ბარაშაშვილი, 1978: 185)

1912 წელს გალაკტიონი ქუთაისის ერთ–ერთ ქუჩაში შეხვდა მერი შერვაშიძეს. რუსეთის დუმის დეპუტატ პროკოფი შერვაშიძის ასული 1918 წელს დაქორწინდა იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ადიუტანტ გიგუშა ერისთავზე და შესაბამისად ამ ულამაზეს ქალს გალაკტიონთან სასიყვარულო ურთიერთობა არ ჰქონია. მხოლოდ გალაკტიონი იყო მისი სილამაზით აღფრთოვანებული და ეს არც იყო გასაკვირი. ეს ქალი გახდა ახალგაზრდა პოეტის მუზა და სიყვარულის ქალღმერთი, თუმცა ამასთან დაკავშირებით გალაკტიონი თავის დღიურში წერდა: „მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა ჩემი ლექსი „მერი“, ძალიან ხშირად მკითხავდნენ, ვინ იყო ეს მერი, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი პასუხზე. როგორც პოეტი, მე ვსარგებლობდი უფლებით, თითოეული ლექსისთვის დამერქმია ის სახელი, რომელიც მსურდა. ერთხელ მე ამის გამო გულიც კი მომივიდა. თითქმის გაცოფებაში მოვედი და ამხანაგებმა გაიგეს, რომ მეტი აღარ შეიძლება მათი ჩაცივება. მერი კი… ალბათ, არსებობდა. იყო ასეთი ქალი!“

ოცნება შორეულ ქალზე, პოეტის შთაგონების წყაროა, გალაკტიონის პოეზიაში ხშირადაა შორეული ქალის სახება, მაგალითად : ლექსში „ მოვა , მაგრამ როდის?“

„შორეული ქალის ეშხი

მოვა... მაგრამ როდის?

სიყვარული სასახლეში

მხოლოდ ერთხელ მოდის!

ასეთია ნაზი ბედი,

ბედი რჩეულ ფერის;

სიცოცხლეში თეთრი გედი

მხოლოდ ერთხელ მღერის!“

შორეულ ქალზე ოცნება ცხოვრებას სიზმრად გადააქცევს, სიზმარში კი არამიწიერი ფერებია და უჩვეულო განცდები. შორეული ქალის მოსვლა ათრობს ლირიკულ გმირს და ელის მის მოსვლას, თან ეს მოლოდინი ატკბობს. ის ერთადერთი და განუმეორებელი სიყვარული იქნება. გალაკტიონის პოეზიაში , სწორედ ამგვარი შორეული ქალია მერი.

„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!

მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,

სანდომიან ცის ელვა და ფერი

მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!“

მერის საოცნებო ქალის, წარმოსახული ჯვრისწერა - ესე იგი, ოცნების დაკარგვა ლირიკული გმირისთვის ტრაგედიაა და სასოწარკვეთა სწორედ ამიტომაც ჩნდება ლექსში :

„ქარი და წვიმის წვეთები ხშირი

წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული

და მე ავტირდი - ვით მეფე ლირი,

ლირი, ყველასგან მიტოვებული.“

გალაკტიონი „დღიურში „ წერს, სახელი „მერი“- მე არ გამომიგონებია: თუმცა ლექსის ობიექტად ეს სახელი პირველია საქართველოში, მერი- ხშირად გხვდება ბაირონის ლირიკაში, მერი-ასულდგმულებს შელის, მერის- აღტაცებაში მოჰყავს პუშკინი , მერი- ერთ-ერთი უკეთესი ტიპია ლერმონტოვის და ათასი ინგლისური და ფრანგული რომანების გმირი ქალია მერი. ჩამოთვლილი პოეტების არცერთი მერი ერთმანეთს არ ჰგავს. ასე, ალექსანდრ ბლოკის მერი-სიმბოლური სახეებაა, ჩემი მერი- რომანტიკული, მაგრამ რეალური და ცხადია. კრიტიკოსებს კი სურთ, ამ ლექსით გააბან არ არსებული კავშირები ჩემსა და ბლოკს შორის. ეს ლექსი დამოუკიდებელი ლექსია (გალაკტიონი „დღიური“).“ მერი იქცა შორეული საოცნებო ქალის სიმბოლოდ:

„მიმაფრენდა ნაპრალებზე ლურჯა ცხენი, გადვიჩეხე,

უკურნებლად დაჭრილი ვარ... დამეხსენი!

შეკიდებიან მთვარეს - როგორც მძიმე მტევნები,

თეთრ-ვარდისფერი ალუჩები და შადრევნები.

ქანდაკებებმა ჩაიარეს მოხდენილ წყებად.

სადღაც შორს მუსიკა ქარივით კითხულობდა:

ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი?

ჩახმახის წუთი. ბნელ სივრცეში აშლილი ბოლი,

შავი ყვავილის სამუდამოდ მკვდარი ფოთოლი. ლეუციფერი: -

ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი?“

(„ვინ არის ეს ქალი?“)

ლექსში „ რაც უფრო შორს ხარ“ კი ვკითხულობთ:

„ და თუ არა ხარ ის, ვისაც ვფიქრობ,

მე დღეს არ ვნაღვლობ, დაე, ვცდებოდე!

ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ოცნების

თეთრ ანგელოსად ევლინებოდე.“

ლირიკული გმირისათვის არ არის მნიშვნელოვანი, მისი ოცნების ქალი არის თუ არა ისეთი, როგორიც წარმოუდგენია, მისთვის ოცნება და წარმოსახვაა მთავარი. ოცნება ადამიანს ჩვეულებრივ ყოფას ულამაზებს, ამიტომაცაა ალბათ რომ პოეტს სავსებით ჩვეულებრივი ქალი, წარმოუდგება როგორც თეთრი ანგელოზი.

სიყვარული ცეცხლია, რომელიც შეყვარებულ გულს ედება - ეს ტრადიციული მეტაფორაა. გავიხსენოთ აკაკის სიტყვები :

„რაც არ იწვის, არ ანათებს, -

უჩინარად ლპება ნელა.

მოდი, დამწვი, სიყვარულო,

მიაშუქე, სადაც ბნელა!

ერთი წამიც კი სიცოცხლის,

თუ სხივების მომფენია,

უსინათლოს და უგრძნობელს

საუკუნეს მირჩევნია.“

(აკაკი,„რაცარ იწვის ,არ ანათებს“, 1988:460)

ბარათაშვილსაც სჯეროდა მშვენიერ სულთა შორის სიყვარულის ღვთაებრიობის და იმისიც, რომ ადამიანს შეეძლო ამგვარი ამაღლებული სიყვარული :

„მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,

რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,
და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?“

(„რად ჰყვედრი კაცსა..“1978:190)

ამგვარი სიყვარული ბარათაშვილს გაოცებით ათქმევინებდა „ ნუთუ ამ გრძნობის წადილსაც ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ...“ ნუთუ შეიძლება ჩემი სიყვარული იმავე სიტყვით მოვიხსენიო, როგორც სხვები ამბობენო.

სიტყვა „ სიყვარული“ ვერ იტევდა მის განცდებს, ამიტომაც წერდა: „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“. ან კიდევ: „ და ჩემთა გრძნობათ შედამი ვერ დასდევან კაცთა სახელი“.

1912 წელს გალაკტიონმა ტიციანთან ერთად შემთხვევით გაიცნო წმინდა ნინოს სასწავლებლის მოსწავლე ოლია ოკუჯავა. ის ძველი ბოლშევიკების მიხეილ (მიხეილ ოკუჯავა საქართველოს ცეკას პირველი მდივანი იყო) და ვასილ ოკუჯავების და იყო, თავადაც სოციალისტური ხელისუფლების მომხრე და ქომაგი. პოეტი გალაკტიონი, ბუნებრივია, ამ ოჯახისთვის სასურველი სასიძო ვერ იქნებოდა. 1014 წლის 6 იანვრით დათარიღებულ წერილში გალაკტიონი ოლღას წერდა: „ მე ვგრძნობდი, რომ რაღაცნაირი სიცივე შემქონდა თქვენს სახლში და მინდოდა მეყვირა, რომ არავინ არ მინდა შევაწუხო, რომ მხოლოდ ოლიასთან ყოფნა მინდა– მეთქი“.

1916 წელს მათ ჯვარი დაიწერეს, თუმცა მათი თანაცხოვრება ხანმოკლე და ეპიზოდური იყო. 1929–ში ოლღა უზბეკეთში გადაასახლეს, საიდანაც მხოლოდ 1932 წელს დააბრუნეს. სულ რამდენიმე წელში, 1937 –ში, მიმოწერის უფლების გარეშე დაპატიმრეს (თბილისის ციხიდან ვლადიმირის ციხეში გადაიყვანეს, შემდეგ – ორიოლიში გადაასახლეს). ამ პერიოდში ცოლ–ქმრის მიმოწერა მეტად შეზღუდული იყო. საქმე კი იმით დამთავრდა, რომ ოლია ოკუჯავას ტროცკისტობა და მოღალატეობის ბრალდება შეუფარდეს და მედვედევოს ტყეში დახვრიტეს. ლექსს „უკანასკნელ მატარებელში“ გალაკტიონი წერდა:

„ნეტავ ასეთი რად მერგო ბედი
ყოველჟამს ვკარგო თითო იმედი,
გამოსალმების ხელოვნებისთვის
ნუთუ არვინ არს პოეტის მეტი?“

„გალონმა შენ ბევრი გაწყენინა, მაგრამ გალონი ცუდი ბიჭი როდია, – გალონს შენ ძალიან, ძალიან უყვარხარ“, – წერდა გალაკტიონი ოლიას 1914 წლის 31 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში. „ხანმა უნდობარმა“ არ დაინდო მათი სიყვარული და ცალ–ცალკე ნაპირზე გარიყა ისინი.

ლიტერატურული საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი იმ რომანტიკული სიყვარულის ამბავი, რითაც გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. მათი რომანტიკული სიყვარული დიდი ემოციური შთამბეჭდაობით შემოგვინახეს მათმა პირადმა წერილებმა და დღიურებმა. ამ სიყვარულის გამოძახილი მძლავრად ისმის გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაშიც. ბევრი მისი ლექსი, რომელიც სიყვარულის ამაღელვებელი გრძნობითაა შთაგონებული, სწორედ ოლია ოკუჯავასადმი ტრფობის გამოძახილია. გალაკტიონი ერთ- ერთ წერილში ნათლად გვიჩვენებს თავის დამოკიდებულებას მისთვის საყვარელი ქალის მიმართ : „..შენი წერილი მივიღე და ძალიან ვხარობ, ჩემო ოლოლ, რა საჭიროა დარდი და წუხილი? რა საჭიროა, რომ ყოველ წუთში შავი ფიქრები გიტრიალებდეს თავში? უნდა ეცადო, რომ მწარე წუთები ტკბილ წუთებად წარმოიდგინო, უნდა ჩაჰკლა მწუხარება გულში. ჩვენი სიცოცხლე ისე ხანმოკლე და უდღეურია, რომ არავითარი ფასი არ ექნება მას, თუ ისე არ გავატარეთ, როგორც ჩვენ გსურს. … ოლია, ნუ სწუხარ დაკარგულ იმედებს და აუსრულებელ მიზნებს – დაივიწყე!..

..როგორი კილოთი მწერ უკანაკსნელ წერილს? რამ გამოიწვია შენი აღელვება? გრწამდეს, მიყვარხარ შენ ერთი და მხოლოდ შენ! ჭორებს ყურს ნუ უგდებ, ვისაც რა უნდა ისა სთქვას… ამ წერილს საჩქაროდ ვწერ, ასე რომ, მინდა უკანასკნელ ფოსტას მოუსწროს… იყავი კარგად, მე შენს მეტი არავინ, არავინ არ მიყვარს…“

მიჯნურს პოეტს არ აშინებს ცხოვრებისეული განსაცდელი და ტანჯვა , რადგან მას სიყვარული აძლიერებს :

„ რაა ჩემთან ქარიშხალი, რას დამაკლებს მწარე ბედი!

ვივლი, სანამ სიყვარულის სხივს არ მომცემს შემოქმედი.“

აღსანიშნავია, რომ ლექსი „ მზეო, თიბათვისა“ პოეტმა ოლღა ოკუჯავას მიუძღვნა; „მძაფრი ქარტეხილებისაგან“ დაცვა და უფლის შეწევნა ნამდვილად სჭირდებოდა ქალს. 1917 წელს გალაკტიონმა ოლღა მოსკოვში გააცილა. რას გრძნობდა საყვარელ ადამიანთან განშორებული კაცი ან როგორი მძაფრი ემოციით აცილებდა ის ოლღას , სტრიქონებს მიღმაც იკითხება:

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,

ლოცვად მოხლმოყრილი გრაალს შევედრები.

იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,

ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები…

(ტაბიძე, „მზეო თიბათვისა“, 1971:107)

მეუღლის ასეთმა ტრაგიკულმა ბედმა (ისინი 1916 წელს დაქორწინდნენ) სულიერად შეძრა პოეტი, რაც მძაფრად გამოვლინდა მის შემოქმედებაში. ოლიას გადასახლებით პოეტისათვის თავსდატეხილი ტრაგედიის შესაცნობად ლექსი- „უკანასკნელი მატარებელი“ საუკეთესო მაგალითია, რომელიც ბედისწერის უსამართლო განაჩენით სასოწარკვეთილი კაცის სულის გმინვას გამოხატავს:

ცხოვრების ეტლის სადარებელი საცაა გავა მატარებელი,

მიემგზავრება იმედი ჩემი, ბედის ვარსკვლავის სადარებელი.

...მატარებელი თვლემს როგორც ლავა, მატარებელი ხუთ წუთში გავა,

ვინც სხვებს აცილებს, დროა ჩასვლისა, მატარებელი ხუთ წუთში გავა.

აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები, მივდევ ვაგონებს, მახრჩობს გრძნობები.

გემშვიდობები სამარადისოთ, სამარადისოდ გემშვიდობები!

(გალაკტიონი, 1971;101).

როგორც ჩანს, შემოქმედებს განსაკუთრებული სიყვარული შეუძლიათ, ამიტომაცაა ასე ზუსტად რომ განსაზღვრავენ სიყვარულის მნიშვნელობასა და როლს კაცობრიობის აზროვნებაში. ძნელია, მოძებნო ისეთი ზუსტი ფორმულირება სიყვარულისა თუ უსიყვარულოდ არსებობისა, როგორსაც გალაკტიონი გვთავაზობს, და ჩვენც, მისი სიტყვის ძალით განებივრებულებს, ფრთები შეგვესხმება და უსაზღვრო ბედნიერების განცდით.

1914 წელს გალაკტიონ ტაბიძე შეხვდა თავის პირველ სიყვარულს. ქუთაისში სრულიად ახალგაზრდა გალაკტიონს შეუყვარდა თავისი მასწავლებლის, რაფიელ ჩიხლაძის ქალიშვილი –რაისა. უიღბლო აღმოჩნდა ეს ურთიერთობაც. გოგონა კიევში წავიდა სასაწავლებლად და იქვე დაოჯახდა. ამ ურთიერთობას უნდა უმადლოდეს ქართველი ერი ლექსს „ უსიყვარულოდ“.

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე,

სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ…

უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე,

არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ…“

სიყვარულით გაჯერებულმა სიტყვებმა მარადიულად შეაყვარა გალაკტიონი ქართველ ხალხს. არ მეგულება ადამიანი, რომელიც ამ სიტყვებს წაიკითხავს და თავის გულში არ მოეფერება მარტოობისთვის გაჩენილ პოეზიის მეფეს; კაცს, რომელიც სიზმრებს ხედავდა არაჩვენებურს; რომელმაც დარწმუნებით იცოდა, რას იტყოდა მასზე შთამომავლობა; რომ სამყაროსავით, ქვეყანასავით ერთადერთი და განუმეორებელია. გალაკტიონმა ისეთი მუხტი, ძალა და ენერგია შესძინა ქართულ სიტყვას , რომ ცოტა დაუჯერებელიც კია ჩვეულებრივი მოკვდავისგან. სიცოცხლეში მარტო იყო… თითზე ჩამოსათვლელ ადამიანთან თუ ურთიერთობდა; არ ენდობოდა თუ არ ესმოდა არავისი, ან ვისთვის ეცალა გალაკტიონს, ვინ გაუგებდა მის მეოცნებე და არაჩვენებურ ტვინს?! ზოგი შურით კვდებოდა, ზოგიც არ იმჩნევდა მის გამორჩეულობას. გალაკტიონი კი წერდა, წერდა და უყვარდა…(გალაკტიონ ტაბიძის ხუთტომეული, ტომი I, 2011.)

სიყვარულზე დაწერილი გალაკტიონის ლექსები საოცარი ვნებითა და ენერგიითაა დამუხტული, რომელსაც შეუძლია ადამიანს განუცდელი სიხარული მიანიჭოს. გალაკტიონს, ბუნებით სიტყვაძუნწს, პოეზიაში გაჩუმება ვერ წარმოედგინა; გამოსავალს ეძებდა სულში დაგუბებული ლექსების ნიაღვარი.

განსაკუთრებით გამორჩეულია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „თოვლი“, რადგან ლექსში „თოვლი“ ,როგორც ტიციანი წერდა ,“შადრევანივით ჩქეფს პოეტური სახეები“, რომელთა მიღმა იმალება პოეტის წადილი, რომ ჩასწვდეს ღვთისგან შექმნილ უთვალავ ფერიან სამყაროს არსს, გაიაზროს სიცოცხლის მიზანი.

„ გალაკტიონის ლირიკა სავსეა სიმბოლოებით და ამ ლირიკაში თოვლი ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა.

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა:
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.

დასაწყისშივე გაიდო ხიდი გალაკტიონსა და მის უსაყვარლეს მასწავლებელს, ჩვენს უდიდეს გენიოსს, ბარათაშვილს შორის. გალაკტიონი სულ კითხულობდა, ხომ ვგავარ აკაკისო და ჰგავდა ბარათაშვილს. ყველაზე მეტად სწორედ ამ ლექსში არის გალაკტიონი ბარათაშვილის მემკვიდრე. ბარათაშვილს უყვარდა ლექსის დაწყება

სიტყვით „მიყვარს“ („მიყვარს თვალები მიბნედილები“, „მიყვარს ტიკტიტი ჩვილის ყრმის“, „მიყვარს ყაბახი“...), ეს მისი სტილია. გალაკტიონი აძლიერებს ემოციას და ამბობს არა „მიყვარს“, არამედ „მე მიყვარს“ და „მე ძლიერ მიყვარს“. როცა ის ამბობს „ძლიერ მიყვარს“, ნათელია, რომ ის სალაპარაკო ენიდან გადის. სალაპარაკო ენაში ჩვენ არ ვამბობთ „ძლიერ მიყვარს“, ჩვენ ვამბობთ „ძალიან“. ეს ნიშნავს, რომ მან ასწია ტონი და თითქმის ღმერთივით გველაპარაკება. „თოვლი“ სამაგალითო ლექსია იმის გასაგებად, თუ რა ხერხები აქვს სიმბოლიზმს.

ერთ-ერთი მთავარი სიმბოლისტური ხერხი გახლავთ სინესთეზია. ეს ტერმინი აღებულია ფსიქოლოგიიდან, მაგრამ ლიტმცოდნეობაში დიდი ხანია დამკვიდრებულია, როდესაც სწორედ სიმბოლიზმზეა ლაპარაკი. სინესთეზია ნიშნავს, რომ ერთი გამღიზიანებელი, რომელიც, მაგალითად, თვალს აღიზიანებს, ამავე დროს, შეიძლება აღიზიანებდეს ყურს. პოეზიაში კი ეს არის ხილული ხატი, რომელსაც ამავე დროს აღმოაჩნდება ხმოვანი ჟღერადობა, ტაქტილური ჟღერადობა და ა.შ. აი, როგორ აქვს გამოხატული გალაკტიონს სინესთეზია: „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის“, ანუ თოვლი არის იისფერი. არსებობს მოსაზრება, რომ იისფერი თოვლი არავის უნახავს. შეიძლება, გალაკტიონსაც „არ უნახავს“, ისე დაინახა. ეს ცოტა მაკვირვებს, რადგან მე მინახავს იისფერი თოვლი. როდესაც დიდი თოვლი მოდის და მას სიმაღლე უჩნდება და მისი გაჭრა ხდება საჭირო, მაგალითად, ბილიკის გასაჭრელად, ეს გაჭრილი თოვლი ზემოდან დახედვისას ნამდვილად იისფერია. ამავე დროს, როდესაც მეცნიერებამ თოვლის ფიფქები მიკროსკოპით შეისწავლა, ისინი სწორედ იისფერი და მოლურჯო შეფერილობისა აღმოჩნდა. შესაბამისად, გალაკტიონსაც დიდი შანსი ჰქონდა, ენახა თოვლის ეს სილურჯე; იგი ნამყოფია ზამთრის რუსეთში, სადაც თოვლის ჭრა ჩვეულებრივი მოვლენაა (ბერძენიშვილი, სტატია https://newsaunje.ge/index.php?do=full&id=334 )“

ლექსში ყურადღებას იქცევს რამდენიმე სახე –სიმბოლო ფერი, მუსიკა, სურნელი ,რომლებიც შერწყმულ- გადაწნულია  და იქმნება საოცარი სევდისა და სინაზის განცდა. პოეტი მიესწრაფვის შეურყვნელს ,უმანკოს ,“ქალწულებრივს“, შორეულს, იდუმალს .იისფერი თოვლი სწორედ ამგვარ ემოციას ბადებს.

პოეტს უყვარს და მისი სურვილია ქვეყნიერებას გააგებინოს ამის შესახებ, სურს ზღვარი წაშალოს ოცნებასა და რეალობას შორის ,პოეტს გარეთ გამოაქვს თავისი

მწუხარე გრძნობა, რადგან ვინც უყვარს მიუწვდომელი და შორეულია, თუმცა, ამ მიუწვდომლობასაც აქვს თავისი ხიბლი .

ლექსის მეორე სტროფში პოეტური აღმაფრენა იცვლება სევდით, რადგან მიდის დრო ,პოეტი ბერდება , იხსენებს მწუხარებას, ჩივის უიღბლობაზე.

„ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები“.

პოეტი შვებას იანვართან ძმობაში პოულობს და იტანჯება ნივთიერ სამყაროში, თუმცა, არ კარგავს ღვთის უძვირფასეს საჩუქარს სიყვარულს. მუდამ ახსოვს სატრფოს თოვლივით მკრთალი ხელები ეს ხელები დახრილია უღონოდ თოვლთა დაფნაში. უღონობა მიანიშნებს იმაზე, რომ იდეალი ღვთისმშობელი ვერ იფარავს სასოწარკვეთისგან. მაგრამ თოვლთა დაფნის სახეს მაინც შემოაქვს სიმშვიდისა და ჰარმონიის განცდა .თოვლის სითეთრე დაფნის სიმწვანედ იცვლება. ეს მიანიშნებს ნუგეშზე ,რომელიც პოეტის სულში ფოთლებივით ჩაეფინება. ქალი დაფნასთან, ბუნებასთან ასოცირდება, რომელმაც უნდა განაახლოს პოეტი. სიყვარულის გზით უკვდავებას აზიაროს:

„ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალიხელები.
ძვირფასო! ვხედავ….ვხედავ შენს ხელებს,
უღონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
იელვებს ,ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში.“

პოეტი მზერას მიადევნებს მანდილს, რომელიც ფრინველივით დასრიალებს ჰაერში, მისი გაქრობა- გამოჩენა მიგვანიშნებს პოეტის შინაგან განწყობაზე. ჭეშარიტად ბუმბერაზი უნდა იყო ადამიანი, რომ ახალგზარდობაში განსჭვრიტო ის, რაც ხანში შესულს რეალობად გექცევა. მან დაწერა ლექსი უკანასკნელ სიყვარულზე, რომელიც უფრო ძლიერად მიაჩნია, რადგან შემოდგომის ყვავილივით ამტანია:

„მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკენლი

როგორც ყვავილი შემოდგომის,

ხშირად პირველს სჯობს“

გალაკტიონის პოეზია, სიყვარულითაა სავსე:

"ამაოდ მომესმის დედოფალთ გროვიდან

ძახილი უცნობი, მსუბუქი, ცისმარი:

მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან.

მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ - სიზმარი!"(„მე მოვალ“)

ამგვარი „უგონო სიყვარულით იყო შერყეული“ პოეტის გული. უგონო რადგან ამგვარ სიყვარულს გონებით ვერ შესწვდები, ვერ გაიაზრებ.“

ამრიგად, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში სიყვარულია მთავარი მამოძრავებელი ძალა, უსიყვარულოდ უკვდავებაც კი არ არსებობს. ეს თემა და პოეტის მიერ ამ საკითხზე შექმნილი ლექსები ამოუწურავია, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონისთვის ცხოვრება – ესაა დაკარგული სიყვარულის ტრაგიკული განცდა, სულიერი თავისუფლების შეგრძნება და მუდმივი სწრაფვა იდეალური მხარისკენ, ღმერთისკენ და პოეზიისაკენ და ამ სწრაფვისას პოეტს არასდროს ავიწყდება სამშობლო, მასზე ფიქრი და სიყვარული სამშობლოსადმი .

# დ ა ს კ ვ ნ ა

სამოციანელთა ლიტერატურულმა ეპოქამ საუკუნის ბოლომდე მიატანა. ამ დროისათვის ნათელი გახდა, რომ მათ მიერ გამომუშავებულმა პოეტურმა ფორმამ თავისი თავი ამოწურა. ახალმა პოეტურმა თაობებმა უფრო ღრმად ჩაიხედეს სამოციანელთა მხატვრულ- ესთეტიკური აზროვნების წიაღში და მომავლის მაცოცხლებელი კვირტები დაინახეს. ამავე დროს, საუკუნეთა მიჯნა მსოფლიოში ახალი, მძლავრი ლიტერატურულ-კულტურული მოძრაობებით აღინიშნა. გაჩნდნენ მოდერნისტული მიმართულებანი: სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი და სხვა.

ძველის წიაღში ახალი პოეტიკა იბადება, ამას , უწინარეს ყოვლისა, ძველი პოეტიკის წარმომადგენლები გრძნობდნენ. აკაკი წერეთელი, ერთი მხრივ, მკაცრად ილაშქრებს ყალბი ნოვატორების წინააღმდეგ, მეორე მხივ, გზას ულოცავს ახალი თაობის ნიჭიერ წარმომადგენლებს - გ. ტაბიძეს , ი. გრიშაშვილს, ა. აბაშელს. თუ 1914 წლის ბოლომდე ქართული ლექსის განახლების წამმართველი მთელი თაობა იყო, შემდეგ ვითარება ერთბაშად შეიცვალა. გარეგნული სიმშვიდე მოულოდნელად დაარღვია გალაკტიონის შემახილმა - „მე მიღალატეს ძველმა რითმებმა“ /სიბერე/. ლექსი ამ სტრიქონით იწყება და ეტყობა, რომ ეს სათქმელი პოეტს კარგა ხანია გულში აქვს აგროვილი. გ. ტაბიძის მოულოდნელი შემახილი წყალგამყოფი მიჯნა გახდა, ძველი და ახალი პოეტიკისა.

გალაკტიონმა უმშვენიერესი ქართული სიტყვა ისეთ არნახულ კონტექსტებში წარმოგვიდგინა, რომ ჩვენი ენის სილბო და სინატიფე ნათლივ დაგვანახა, ახალი მასშტაბები და განზომილებანი მოუძებნა პოეტურ მეტყველებას. ამ გენიალურ პოეტ-კომპოზიტორს გააჩნდა სიტყვის მუსიკალურ საიდუმლოებათა ამოცნობის არაჩვეულებრივი უნარი.

პირველი კრებულით გ. ტაბიძე „მიდიოდა რომანტიკული ლირიკის ნაცნობი გზით. იგი დიდი სიფაქიზით იმეორებდა ძველ მოტივებს“. ამასთანავე ადრინდელი ლექსების თავისებურება მხოლოდ ნაცნობი რომანტიკული მატრიცების განმეორებით არ ამოიწურება. ეს ლირიკა გარდამავალი სახის მოვლენაა, დასკვნითი საფეხურია ნეორომანტიზმისა და მაუწყებელი ახალი ესთეტიკური ფორმაციის მოახლოებისა. ქართული ლექსის უშუალო წარსულის ფონზე აქ მრავალი თვისებრივი სიახლეა, მაგრამ მომდევნო წლების ლირიკასთან შედარებისას არაერტი

პარამეტრით ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ და არც თუ ისე ახალ მოვლენად გამოიყურება.

პირველი კრებული ცალკეული ფორმალური ნიშნებით ერთგვარი სიახლეა უშუალო წარსული პოეზიის ფონზე. ამასთანავე აქ პოეტი ჯერ კიდევ ძალიან შორსაა იმ მაღალი მწვერვალებისაგან, რომელთა დაპყრობა 1915 წლიდან დაიწყებს. ამასთანავე ჩანასახობრივ თუ მეტ-ნაკლებად სრული სახით აქვე აღმოვაჩენთ საწყისს იმ ცალკეული ნიშან-თვისებებისა, რომლებმაც ქართულ პოეზიაში ახალი ესთეტიკური ფორმაციისს შექმნა განაპირობეს.

თანამედროვეთა და ლიტერატურული პროცესების მონაწილეთა თვალით გალაკტიონისა და მისი თაობის პირველივე ლექსები უაღრესად ახალი მოვლენა იყო. როგორც უშუალო წარსულის, ასევე ქართულ ნეორომანტიკულ ტრადიციაში შექმნილი საერთო ვითარების ფონზე გალაკტიონის პირველი კრებული თვისებრივად ახალი  და ცალკეული მონაცემით - არსებითად ახალი გზის ძიების მაუწყებელი მოვლენაა. ნეორომანტიკულ განწყობილებათა, მოტივთა და ვერსიფიკაციის გამრავალფეროვნებისაკენ სწრაფვის თვალსაზრისით გალაკტიონსა და საერთოდ მის თაობას ნიადაგი მომზადებული დახვდათ. 900-იანი წლების ლირიკაში ნეორომანტიკული მოტივებისა და შესაბამისად, ლექსიკის ერთ-ერთი მთავარი აკუმულატორი იყო იმ დროის ლიტერატურული პროცესების ისეთი უაღრესად საყურადღებო (დანაკლებად შესწავლილი) მოვლენა, როგორიცაა თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე ფართოდ გავრცელებული და მაშინდელი ჟურნალ-გაზეთების ლამის სავალდებულო ჟანრი - ლექსი პროზად (ისინი ხშირად პროზად აწყობილი თეთრი ლექსებია), ფილოსოფიური ხასიათის მინიატურები, ესკიზები, მცირე პროზის სხვადასხვა ფორმები. ამ ტიპის ჟანრთა გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი ბოდლერის, ედგარ პოუს, ოსკარ უაილდის, კატულ მენდესის, მალარმეს, ჟ.როდენბახის, პ.ალტენბერგის, მაქსიმ გორკის და სხვა ლექსებმა პროზად და ფილოსოფიურმა მცირე პროზამ, რომელთა თარგმნა და ანარეკლი ჩვენში უკვე XIX  საუკუნის დამლევს იწყება.

ახალგაზრდა გალაკტიონის პირადი წერილებიც თავისებურად ცხადყოფენ, რომ სამწერლო ასპარეზზე გამოსული პოეტური თაობა დეკადენტური ნეორომანტიზმის „სენით“ იყო შეპყრობილი. სევდიანი ლიტერატურული კილო, რომელიც ბარათაშვილის წერილების ასოციაციებს იწვევს, არსებითად განსხვავდება ილიას,

აკაკის, ვაჟას წერილების საქმიანი კილოსაგან. ჩვენს წინაშეა ადრესანტის მიბრუნება ბარათაშვილისეულ კოდთან, რომელიც ხელოვნებასა და სინამდვილეს შორის საზღვრის წაშლას გულისხმობს.

არაიშვიათად გაიელვებს გალაკტიონთან ნეორომანტიზმში დამკვიდრებული „ქარიშხლის“, „შავი ღრუბლის“, „მწუხრის“, „შავი ბურუსისა“ და „ღამის“ ალეგორიული სახეები. ერთობ ხშირია მარადიული თემები, რომელთა დამუშავებისას უფრო რომანტიკული ელეგიის გამოძახილი იგრძნობა: „მიყვარს საღამო წყნარი, მშვიდი და მოწყენილი. მწუხრის ზეწარი ეფინება მდუმარ მიდამოს“. ასეთ ლექსებში „სრული სახით წამოიმართება ბარათაშვილის აჩრდილი. იგრძნობა მისი სევდიანი სახისა და მისი თვალბედითი შავი ყორანის „ასოციაცია“.

საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა სასაფლაოთა თემას: „სასაფლაოზე“ (1909), „საფლავი“, „სასაფლაოზე“ (1910), „სასაფლაოზე“ (1912), „მესაფლავე“ (1912), „სასაფლაოზე“ (1914) და სხვ. „ხშირად გვხვდება უდაბნოსა და ოკეანის სიმბოლური სახეები“ (1, 35), რომლებიც ასევე რომანტიკულ პოეზიაში იღებენ სათავეს.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში უხვადაა ელეგიური ხასიათის ლექსები, რომლებშიც წარმოჩენილია პოეტისავე სულიერ მდგომარეობას. ელეგიურობა ნეორომანტიზმისთვის დამახასიათებელი მოვლენაა და „პოეზიის მეფე“ ამითაც ენეთესავება ამ საინტერესო ლიტერატურულ მეთოდს. მწუხარება წუთისოფლის მიმართ, უიმედობა, ტირილი ყოველივე ამაოების გამო, მარტოსულობა, ტკივილი, განცდა სიყვარულისა და თუნდაც სამშობლოს და გარშემომმყოფების გამო არის ის ფენომენები, რომლებიც გალაკტიონს ათრობდა და აწერინებდა ლექსებს. ამიტომაც იყო თრობა და წერა მისთვის ერთი და იგივე. ელეგიური განწყობის ღრმად დანახვისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი სახე-სიმბოლოების კარგად ცოდნა, რაც მიიღწევა სხვა ლექსებში ჩაქსოვილი კონტექსტებით და იდეებით. ეს კიდევ ერთხელ მაფიქრებს, რომ გალაკტიონის შემოქმედება არა ცალკეული ლექსებისაგან შედგება, არამედ ყველა ლექსი ერთმანეთის გაგრძელებაა. ხელწერა ყველგან ერთნაირია, რადგან მწუხარება აწერინებდა გალაკტიონს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ასათიანი გ., გალაკტიონ ტაბიძე, თანამდევი სულები,გამომც. „მერანი“, თბ.1983
2. გაჩეჩილაძე ს., ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თ., 1957
3. ნიკოლეიშვილი ა., გალაკტიო ტაბიძე, XX საუკუნის ქართული მწერლობა, გამომც. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2002
4. წერედიანი დ., „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ტ.V, თბ. 2009
5. დოიაშვილი თ., პირამიდებზე მაღალი...( „არტისტული ყვავილების“ პროლოგი), XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ტ.V, თბ. 2009
6. შათირიშვილი ზ., გალაკტიონის „მშობლიური“ და „უცხო“ ინტერტექსტები, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ტ.V, თბ. 2009
7. ნაკუდაშვილი ნ., სიმბოლიზმი, ლიტერატურული მიმდინარეობები, თბ. 1997
8. ნიჟარაძე მ., კიკვიძე ზ. ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, ქუთაისი 2007
9. მისივე, ლიტერატურისმცოდნეობის პროპედევტიკა, ქუთაისი 2007
10. ხინთიბიძე აკ., ქართული ლექსთმცოდნეობა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1992
11. გაბისონია ნ., მიშველაძე რ., ტაბიძე ნ., მოგონებები გალაკტიონზე, გამომც. „პალიტრა“, თბ. 2009
12. გაწერელია ა., რჩეული ნაწერები, ტ.III, თბ., 1981
13. გაწერელია ა., ნარკვევები პორტრეტები ლექსმცოდნეობა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1988
14. ლებანიძე მ., ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ..., გამომც. „განათლება“, თბ., 1991
15. ნიშნიანიძე შ., რჩეული, გამომც. „მერანი“, თბ., 1984
16. ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები, გამომც. „ლიტერა“, 2004
17. ქართველი რომანტიკოსები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გამომც. „საბჭოთა საქართველო, თბ., 1778.
18. ხოფერია ნ., გალაკტიონ ტაბიძე, უბის წიგნაკი, თბ., 1992
19. ტაბიძე გ., უბის წიგნაკი, თბ., 1992

20. ღვინჯილია ჯ., პოეტური ენერგია, გამომც. „მერანი“, თბ., 1983
21. ტაბიძე გ., რჩეული ლირიკა ორ წიგნად, წიგნი I, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971
22. ტაბიძე გ., რჩეული ლირიკა ორ წიგნად, წიგნი II, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971
23. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომც. „საქართველოს მაცნე“, თბ. 1992
24. მურღულია გ., „დავითიანის“ მხატვრულ სახეთა სისტემა, თბ. 1997
25. ბარამიძე ალ., შესავალი წერილი წიგნისა „ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები“, გამომც. „მეცნიერება“, 1975
26. კეკელიძე კ., ბარამიძე ალ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1987
27. გურამიშვილი დ., დავითიანი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, გამოც. „სახელგამი“, თბ. 1955
28. ტაბიძე გ., რჩეული, თბ., 1944
29. ბარათაშვილი ნ., ქართველი რომანტიკოსები, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1978
30. ხუციშვილი ს., ქართველი რომანტიკოსები, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1978
31. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1984
32. წერეთელი აკ., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი I , გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1988
33. ლებანიძე მ., რჩეული, გამომც. „მერანი“, თბ., 1991
34. ნიშნიანიძე შ., რჩეული, გამომც. მერანი, თბ. 1984
35. ალავიძე მ., ლიტერატურული წერილები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისი 1981
36. ჭანტურია ტ., 2009
37. სულაკაური ა., „შემოდგომის მზე“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ.,1986
38. ტაბიძე, „ლირიკა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966 წ , 16 დეკემბერი

39. მიშველაძე რ., უახლესი ქართული ლიტარატურის ისტორია, თბ. 1998
40. აბზიანიძე ზ. ადამიანის კონცეფცია თანამედროვე ქართულ ლირიკაში, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1975
41. ტაბიძე გ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1966
42. ჟღენტი ბ., გალაკტიონ ტაბიძე, თბ.,1978
43. წერეთელი ა., ლექსები, ტ. I, თბ., 1988
44. თვარაძე რ., გალაკტიონი, თბ., 1972
45. ბერძენიშვილი, https://newsaunje.ge/index.php?do=full&id=334
46. (https://drive.google.com/file/d/1A9I_Bc9yEWpsNqDt0XgXNztVJocj57E7/view?fbclid=IwAR1-o_sqEZ-zL-I5HqtowojYVBeIH_0IT-XP3_v_DtO0DWR91ryUamVxbpI).
47. (https://ka.info-4all.ru/obrazovanie/literatura/chto-takoe-neoromantizm/).
48. (https://www.radiotavisupleba.ge/a/galaktionis-bolo-nakvalevi/26911371.html